

შრომითი ღაპები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2019, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2019, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2019, №2

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2019, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯელი

1. **ძალოვანი სტრუქტურებიდან გათავისუფლების კანონიერება**
სამსახურიდან გათავისუფლება უხეში დისციპლინური
გადაცდომისა და სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო 4
სამსახურიდან გათავისუფლება;
გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება 60
2. **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან
გათავისუფლების კანონიერება**
ჩატარებული ატესტაციის შედეგად სამსახურიდან
გათავისუფლების კანონიერება 93
გამგებლის პირველი მოადგილის თანამდებობიდან
გათავისუფლების კანონიერება 107
მოხელის უფლების დაცვა სამსახურიდან გათავისუფლების
შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში 123
სამსახურიდან გათავისუფლებისას ორი თვის კომპენსაციის
გაცემის საფუძველი 154
თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად
ცნობისას ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი
განაცდურის სრული ანაზღაურება 163
3. **სხვა ადმინისტრაციული ორგანოდან
გათავისუფლების კანონიერება**
სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის
არაჯეროვანი შესრულების გამო 187

1. ქალოვანი სტრუქტურებიდან ბათავისუფლების კანონიერება

სამსახურიდან ბათავისუფლება უხევი დისციპლინური
გადაცდომისა და სამსახურებრივი შეუსაბამოების გამო

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ბს-260-260(კ-18)

4 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და გა-
ნაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 30 აგვისტოს ნ. ჩ-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს დაზვერვის სამსახუ-
რის მიმართ.

მოსარჩელემ „ნ. ჩ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ სა-
ქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 3 აგვის-
ტოს №4943შ ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს დაზ-
ვერვის სამსახურისთვის ნ. ჩ-ის საქართველოს დაზვერვის სამსა-
ხურის ... განყოფილების ... თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახა-
ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-
მოცემისა და ნ. ჩ-ის სასარგებლოდ, მისი თანამდებობიდან განთა-
ვისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, სამსახურიდან
უკანონოდ განთავისუფლების გამო გამოწვეული იძულებითი გა-
ნაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინებით საქართველოს
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი
ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება თ. შ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2017 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „ნ. ჩ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 3 აგვისტოს №4943პ ბრძანება; საქართველოს დაზვერვის სამსახურს დაევალა ნ. ჩ-ის საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... განყოფილების ... თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; საქართველოს დაზვერვის სამსახურს დაევალა მოსარჩელე ნ. ჩ-ისათვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი განთავისუფლების დღიდან მის სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული ყოველთვიური ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2008 წლის 19 ნოემბრის №4943პ ბრძანებით, ნ. ჩ-ი დაინიშნა ... თანამდებობაზე. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2009 წლის 30 იანვრის №333პ ბრძანებით, ... ნ. ჩ-ი, 2009 წლის 1 თებერვლიდან გადაყვანილი იქნა ... თანამდებობაზე. საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2010 წლის 5 ივლისის №186პ ბრძანებით, ნ. ჩ-ი, 2010 წლის პირველი ივლისიდან გადაყვანილი იქნა საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... თანამდებობაზე. საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2012 წლის 3 ოქტომბრის №307პ ბრძანებით, ნ. ჩ-ი გადაყვანილი იქნა საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... თანამდებობაზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ეროვნული უშიშროების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის 2004 წლის 1 ივლისის №382 ბრძანებით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ... განყოფილების მთავარ მრჩეველს, ნ. ჩ-ს, მიენიჭა საკლასო ჩინი – „მესამე კლასის მრჩეველი“.

ამასთან, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2011 წლის 28 ნოემბრის №333პ ბრძანებით, ნ. ჩ-ს მიენიჭა „მეორე კლასის მრჩეველის“ მორიგი საკლასო ჩინი. საქართველოს დაზვერვის სამსახურის მიერ, ... წლის, ნ. ჩ-ი დაჯილდოვდა სიგელით, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისათვის, ხოლო ... წლის ნ. ჩ-ი დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით.

საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 14 აპრილის №151პ ბრძანებით, ნ. ჩ-ი დათხოვნილი იქნა სამსახურიდან. მითითებული ბრძანების შესაბამისად, ნ. ჩ-ის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი გახდა მის მიერ დისციპლინური გადაც-

დომის ჩადენა, რაც გამოიხატა ოპერატიული ინფორმაციის (გრიფით საიდუმლო) ინფორმაციის (ცნობა) შინაარსის გაცნობაში და უშუალო უფროსისათვის განდობაში, რაც მის ფუნქციონალურ მოვალეობებში არ შედიოდა. ნ. ჩ-ის სარჩელის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად იქნა ბათილად ცნობილი საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 14 აპრილის №1513შ ბრძანება და საქართველოს დაზვერვის სამსახურს დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა, 2016 წლის 3 აგვისტოს გამოსცა ბრძანება ნ. ჩ-ის საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... თანამდებობიდან 2015 წლის 14 აპრილიდან განთავისუფლების შესახებ. აღნიშნულ ბრძანებაში, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა მიუთითა, რომ მოცემული ბრძანების გამოცემამდე სამსახურის შესაბამის დანაყოფს დეტალურად ჰქონდა გამოკვლეული და შეფასებული სამსახურის მოსამსახურის ნ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედება, რაც გამოიხატა ოპერატიული ინფორმაციის (გრიფით საიდუმლო) ინფორმაციის (ცნობა) შინაარსის გაცნობაში და უშუალო უფროსისათვის განდობაში, რაც მის ფუნქციონალურ მოვალეობებში არ შედიოდა. ნ. ჩ-ის ფუნქციონალურ მოვალეობას წარმოადგენდა სამსახურის ადგილზე მომზადებული და სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნი გრიფიანი (საიდუმლო) დოკუმენტების რეგისტრაციის, მათი გაფორმების, მისამართის, მინიჭებისა და შესაბამისი ადრესატისათვის გაგზავნის უზრუნველყოფა და არა დოკუმენტის შინაარსის გაცნობა და უშუალო უფროსისათვის მოხსენება. აღნიშნულ ქმედებას, მისი და მისი უშუალო უფროსის ერთობლივი გადაწყვეტილებით მოჰყვა გაგრძელება, კერძოდ, ხსენებული ოპერატიული ინფორმაცია გაანდეს სხვა დანაყოფის მოსამსახურეს, რომელმაც, თავის მხრივ, გააფრთხილა თავისი კოლეგა, ფრთხილად ყოფილიყო და მათივე კოლეგისაგან, ვინმე ნ. ჯ-სგან თავი შორს დაეჭირა, რადგან შეიტყო, რომ ამ უკანასკნელს ამბები მიჰქონდა უსაფრთხოების სამსახურში მათზე. იმავე ბრძანებაში, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ სამსახური წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების სარეჟიმო დაწესებულებას. მისი სტაბილურობა და სიძლიერე დამყარებულია მოსამსახურეთა პროფესიონალიზმზე, კეთილსინდისიერებასა და სანდოობის მაღალ ხარისხზე. მოსამსახურე, რომელიც პასუხის-

მგებელია სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ დოკუმენტბრუნვაზე და იგი შეგნებულად, სრულიად გააზრებულად მოქმედებს სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ასეთი მოსამსახურის მიმართ სამსახურის ნდობა სამომავლოდ უკიდურესად დიდი საფრთხის შემცველია, ვინაიდან სამსახური თავისი სპეციფიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს ფარულად და წინმსწრებად (პრევენციულად). შესაბამისად, ვერ იქნება უფრო დიდი მასშტაბების ან/და დანაშაულის ნიშნების შემცველი გადაცდომის მოლოდინში. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე მოხდა ნ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედების შეფასება, როგორც უხეში დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისად დისციპლინური სახდელის სიმკაცრის განსაზღვრა.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელიც კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გარანტირებულია სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლება, ხოლო საჯარო სამსახურში მიღების პირობები განსაზღვრულია კანონით, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე საჯარო სამსახურში მიღებისას, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში თუ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების დროს, დაცულია რაიმე სახის არამართლზომიერი, კანონსაწინააღმდეგო ჩარევისაგან, ხოლო ამავე კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი იცავს მოქალაქის უფლებას საჯარო სამსახურიდან უკანონოდ და დაუსაბუთებლად განთავისუფლებისაგან (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/5/595 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; გვ. 9), კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი „იცავს მოქალაქის უფლებას, ჰქონდეს თავისუფალი ნდობა სახელმწიფო სამსახურზე, ამასთან, გულისხმობს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ გარანტიებს – არ იქნეს დაუსაბუთებლად გათავისუფლებული სამსახურიდან, იყოს დაცული ყოველგვარი გარე ჩარევისგან“. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი პირს იცავს საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებისაგან. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, საჯარო მო-

ხელის სამსახურიდან განთავისუფლების მატერიალური საფუძვლები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული აღნიშნული უფლება გულისხმობს, მათ შორის პიროვნების საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას, რაც თავის მხრივ, ასევე მოიცავს პირის უფლებას არ იქნეს ჩამოშორებული საჯარო სამსახურს მისი ნების საწინააღმდეგოდ, საამისოდ, კანონით გათვალისწინებული სათანადო საფუძვლის გარეშე. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“. სასამართლომ, ასევე, მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის მიხედვითაც თანამდებობიდან განთავისუფლება შეიძლება განხილულ იქნეს პიროვნული განვითარებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ყოფ. მეზუთე სექციის პალატის) 2012 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ“ (განაცხადი №21722/11). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ პირადი ცხოვრება „მოიცავს ინდივიდის უფლებას ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, მათ შორის პროფესიული და ბიზნეს ურთიერთობები“ (იხ. C. v. Belgium, 7 აგვისტო 1996, §25, ანგა-

რიში 1996-III). კონვენციის მე-8 მუხლი „იცავს უფლებას პიროვნულ განვითარებაზე და უფლებას სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაზე“ (იხ. *Pretty v. the United Kingdom*, no. 2346/02, §61, ECHR 2002-III). „პირადი ცხოვრების“ ცნება არ გამოორიცხავს პროფესიული თუ ბიზნეს ხასიათის საქმიანობებს. ადამიანთა უმრავლესობას გარე სამყაროსთან ურთიერთობების დამყარების ძირითადი შესაძლებლობა სამსახურებრივი საქმიანობის განმავლობაში ეძლევათ (იხ. *Niemietz v. Germany*, 16 დეკემბერი 1992, §29, სერია A no. 251-B). შესაბამისად, პროფესიის ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვები „პირად ცხოვრებაზე“ ახდენენ გავლენას (იხ. *Sidabras and Dziautas v. Lithuania*, nos. 55480/00 და 59330/00, §47, ECHR 2004-VIII და *Bigaeva v. Greece*, no. 26713/05, §§ 22-25, 28 მაისი 2009). ასევე, სამსახურიდან დათხოვნა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს (იხ. *Ozpynar v. Turkey*, no. 20999/04, §§ 43-48, 19 ოქტომბერი 2010). და ბოლოს, მე-8 მუხლი ასევე ეხება ღირსებისა და რეპუტაციის საკითხებს, როგორც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების შემადგენელ ნაწილებს (იხ. *Pfeifer v. Austria*, no. 12556/03, § 35, 15 ნოემბერი 2007 და *A. v. Norway*, no. 28070/06, §§ 63 და 64, 9 აპრილი 2009). მომჩივნის გათავისუფლებამ გავლენა იქონია სხვა პირებთან მისი ურთიერთობების ფართო სპექტრზე, მათ შორის პროფესიული ხასიათის ურთიერთობებზე. ასევე, აღნიშნული შეეხო მომჩივნის „შიდა წრეს“, ვინაიდან სამსახურის დაკარგვა მომჩივნისა და მისი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე აისახებოდა. მეტიც, მომჩივნის გათავისუფლების მიზეზი, მის პროფესიულ რეპუტაციას შეეხო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენდა მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომელიც ყველას ავალდებულებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის, პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ში-

დასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას, საჯარო დაწესებულებების მიერ თავისი საქმიანობის წარმოების პროცესში საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, თუ შეთანხმებებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, რაც ნიშნავს იმას, რომ საჯარო დაწესებულებამ, მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს ამა თუ იმ ზემოთ აღნიშნული უფლების (თავისუფლების) ნამდვილი შინაარსით და არ უნდა დაუშვას ამ უფლებით დაცულ სფეროში არამართლზომიერი ჩარევა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. «ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ» საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის მიხედვით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. აღნიშნული უფლების სრული განხორციელების მიზნით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მისაღები ზომები უნდა შეიცავდეს პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და წვრთნის პროგრამებს, პოლიტიკას და მეთოდოლოგიას, რათა მიღწეულ იქნას განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება და სრული შედეგიანი დასაქმება ისეთ პირობებში, სადაც თითოეული ადამიანის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება დაცული იქნება. საქალაქო სასამართლომ ასევე მოიხმო ევროპული სოციალური სფეროს მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტი – ევროპის სოციალური ქარტია, რომლის პირველი მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებუ-

ლებას ხელი შეუწყონ დასაქმების მაქსიმალურად სტაბილური და მაღალი დონის მიღწევასა და შენარჩუნებას. იმავე ქარტიის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მხარეები ვალდებულია იღებენ ალიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება. აღნიშნულ დავასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ქარტიის 24-ე მუხლის რეგულაცია, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები იღებენ ვალდებულებას ალიარონ ყველა მუშაკის უფლება უარი თქვას დასაქმების შეწყვეტაზე „საპატიო მიზეზის გარეშე“, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე სანარმოს შინაგანანესიდან; მხარეები ასევე ალიარებენ მუშაკთა მიერ სათანადო კომპენსაციის ან სხვა შესაბამისი ანაზღაურების მიღების უფლებას საპატიო მიზეზის გარეშე დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის და პირადი ცხოვრების უფლება, მათ შორის გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს და ასევე, ხელი არ შეუშალოს პირს საკუთარი პიროვნების განვითარებაში, ინფორმაციის მიღებაში, საკუთარი აზრის გამოთქმაში. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის მიერ მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლება შეესაბამება თუ არა ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი აქტებით დადგენილ პირობებს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს დაზვერვის სამსახურის სტატუსს, უფლებამოსილებას, საქმიანობის ძირითად სფეროებს, მიზნებსა და პრინციპებს, საქართველოს დაზვერვის სამსახურში მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის სამართლებრივ საფუძვლებს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტი-

ებს. საქართველოს დაზვერვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე. მითითებული კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამსახურის მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი, სოციალური დაცვის გარანტიები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. იმავე კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სამსახურის მოსამსახურე სამსახურიდან თავისუფლდება: ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, მძიმე დაავადების დროს, რის გამოც მას აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება; ბ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლისას; გ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისას; დ) სამსახურებრივი შეუსაბამობისას; ე) სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისას, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ან სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევისას; ვ) შტატების შემცირებისას; ზ) საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს, თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნათა სხვა დარღვევისას, თუ იგი არ აღმოფხვრა შეუთავსებლობის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში; თ) საკუთარი ინიციატივით; ი) სამსახურის შინაგანაწესის დარღვევის, სამსახურებრივი საიდუმლოს გაცემის (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და სამსახურის მოსამსახურისათვის შეუფერებელი სხვა საქციელის გამო; კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე; ლ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას, თუ აღნიშნული არ ხორციელდება მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ფარულად შესრულების მიზნით; მ) სამსახურში მიღებისათვის ან თანამდებობაზე დანიშვნისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას; ნ) ზღვრული ასაკის მიღწევისას; ო) საპენსიო ასაკის გამო; პ) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების უკანონო მოხმარებისას; ჟ) სამსახურის ან მისი ქვედანაყოფის რეორგანიზაციისას ან/და ლიკვიდაციისას; რ) გარდაცვალებისას; ს) სასამართლო

ნესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას; გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. ჩ-ი წარმოდგენდა საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეს და მისი სამსახურიდან დათხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებული იქნა ის გარემოება, რომ იგი გაეცნო სახელმწიფო საიდუმლო გრიფის მქონე ინფორმაციის შინაარსს და ამის თაობაზე აცნობა თავის უშუალო უფროსს, ხოლო თანამდებობიდან განთავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იქნა „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი – მისი სამსახურებრივი შეუსაბამობა და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვით, სამსახურის უფროსი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის მოსამსახურის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი დისციპლინური სახდელი, მათ შორის, სამსახურიდან განთავისუფლება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. შესაბამისად, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, მოსარჩელე ნ. ჩ-ი თანამდებობიდან განთავისუფლდა ერთი მხრივ, სამსახურებრივი შეუსაბამობის, ხოლო მეორე მხრივ, დისციპლინური გადაცდომისათვის – სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევისათვის. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამრიგად, სადავო საკითხი განხილული უნდა იქნეს „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონების, ასევე სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, პირი, რომელიც დაიშვება სადაზვერვო დაწესებულების მონაცემებთან, გადის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ

დოკუმენტებთან დაშვებისათვის აუცილებელ პროცედურას. ეს პროცედურა მოითხოვს პირის მიერ ამ მონაცემთა გაუმჟღავნებლობის შესახებ წერილობითი ვალდებულების აღებას. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულის მიხედვით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან და ინფორმაციის სფეროში მოქმედი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, ეს კანონი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, დასაიდუმლოებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად. მითითებული კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოებასთან საქართველოს დაზვერვის სამსახურის იმ მოსამსახურეების, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სადაზვერვო საქმიანობას, დაშვების შესახებ გადანყვეტილებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმების გარეშე იღებს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი. ამ პუნქტით განსაზღვრულ საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეთა ნუსხას ამტკიცებს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. ჩ-ს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის გადანყვეტილებით მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების უფლება. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვება არის ინფორმაციის გაცნობის საჭიროების გათვალისწინებით, ფიზიკური პირისათვის უფლებამოსილების მინიჭება, განახორციელოს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობა. აღნიშნული კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებული პირი ვალდებულია: ა) არ გაამჟღავნოს სახელმწიფო საიდუმლოება, რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა; ბ) შეასრულოს „ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებული მოთხოვნები; გ) უფლებამოსილ თანამდებობის პირს აცნობოს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც ხელს უშ-

ლის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაში. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის წესის“ პირველი მუხლის შესაბამისად, ეს წესი განსაზღვრავს სახელმწიფო საიდუმლოებისათვის ინფორმაციის მიკუთვნებასა და დაცვას და არის ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირებისათვის, ყველა სახელმწიფო მოსამსახურისათვის, სამინისტროებისა და უწყებებისათვის, სახელმწიფო სანარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, ასევე „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესით დადებული ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისათვის. მითითებული წესის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით, საიდუმლო სამუშაოებზე, დოკუმენტებსა და ნაკეთობებზე დაშვებული პირები მოვალენი არიან მკაცრად დაიცვან გამჟღავნებისაგან საიდუმლო ცნობები, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურში ან სამუშაო შეიძლება გამოინვიოს საიდუმლო ცნობების გამჟღავნება; ასეთი ფაქტები, აგრეთვე საიდუმლო ცნობების შესაძლო გატანის სხვა მიზეზები და პირობები დაუყოვნებლივ შეატყობინონ უშუალო უფროსსა და სარეჟიმო-საიდუმლო ორგანოს; შესასრულოდ მხოლოდ ის საიდუმლო სამუშაოები და გაეცნონ მხოლოდ იმ საიდუმლო დოკუმენტებსა და ნაკეთობებს, რომლებზეც მიიღეს დაშვება მათ სამსახურებრივ მოვალეობათა გამო; იცოდნენ შესასრულებელ სამუშაოთა საიდუმლოების ხარისხი, სწორად განსაზღვრონ დოკუმენტებისა და ნაკეთობების საიდუმლოების გრიფი, მკაცრად დაიცვან მათი სარგებლობის წესები, აღრიცხვისა და შენახვის წესი; იცოდნენ იმ ნაწილში, რომელიც მათ შეეხება, დაწესებულების (სანარმოს) ან თავდაცვითი პროფილის სამუშაოთა საფარი ლეგენდა და მარჯვენდ გამოიყენონ იგი. ამასთან, იმავე წესის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საიდუმლო სამუშაოებზე, დოკუმენტებსა და ნაკეთობებზე დაშვებულ პირებს ეკრძალებათ შეატყობინონ სიტყვიერად ან წერილობით სხვა პირებს (მათ შორის, ნათესავებს), საიდუმლო ცნობები, თუ ეს გამონკვეთი არ არის სამსახურებრივი აუცილებლობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დამუშავებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები, რომ-

ლებიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების უფლების მქონე პირის მოვალეობებს განსაზღვრავს, ერთი მხრივ, არ ითვალისწინებს ასეთი პირის შეზღუდვას მხოლოდ ნაწილობრივ გაცენოს იმ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტს, რომელზე ინდივიდუალური დაშვების უფლებაც მას აქვს, რაც ტექნიკური თვალსაზრისითაც შეუძლებელია, რამდენადაც პირს, რომელსაც ევალება დოკუმენტის ტექსტის, თუნდაც ტექნიკური, სინტაქსური და ა.შ. გამართულობის შემოწმება, მისი ნაკითხვისა და შინაარსის გაცნობის გარეშე იგი ამას ვერ მოახერხებს, ხოლო მეორე მხრივ, ინდივიდუალური დაშვების უფლების მქონე პირი, ზემოთ აღნიშნული ნორმების მიხედვით, არა თუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია სამსახურებრივი აუცილებლობის შემთხვევაში მისი შინაარსი უშუალო უფროსს შეატყობინოს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73¹-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის მიხედვით, საჯარო მოსამსახურე ანგარიშვალდებულია თავისი უშუალო ხელმძღვანელის წინაშე, თუ კანონით ან შესაბამისი დაწესებულების დებულებით (რეგლამენტით) სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო მოსამსახურესა და მის უშუალო (ზემდგომ) ხელმძღვანელ პირს შორის სამსახურებრივი ურთიერთობა გულისხმობს მოსამსახურის მიერ, მისი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად განხორციელების კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას და სამსახურებრივი მოვალეობების თაობაზე უშუალო ხელმძღვანელისათვის ანგარიშის მიწოდებას. საჯარო მოსამსახურესა და მის უშუალო (ზემდგომ) ხელმძღვანელ პირს შორის, მათ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, სამსახურებრივ საკითხზე ნებისმიერი კომუნიკაცია სამსახურებრივი დატვირთვის მატარებელია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია თანამდებობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად. შესაბამისად, მოსამსახურე უფლებამოსილია მხოლოდ მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხი განიხილოს და იმ შემთხვევაში, თუ საკითხის მის კომპეტენციას მიკუთვნების საკითხი საეჭვოა, ამის თაობაზე ინფორმაციის მიღება მან უპირველეს ყოვლისა, თავისი უშუალო ხელმძღვანელისაგან უნდა მიიღოს, რადგან კანონისმიერი ანგარიშვალდებულება სწორედ მის მიმართ გააჩნია საჯარო მოსამსახურეს. უფრო მეტიც, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესა-

ბამისად, განკარგულების კანონიერებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ეჭვის თაობაზე მოსამსახურემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს განკარგულების გამცემს და ზემდგომ უფროსს. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე ნ. ჩ-მა თავის უშუალო ხელმძღვანელს აცნობა კონკრეტული დოკუმენტის რეგისტრაციის შესახებ, მასზე გაცემული დავალების თაობაზე, რადგან საეჭვოდ მიიჩნია აღნიშნული სახის დოკუმენტის რეგისტრაციის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებებისათვის კუთვნილების საკითხი. შესაბამისად, მისი უშუალო ხელმძღვანელისათვის შეტყობინება განპირობებული იყო სამსახურებრივი აუცილებლობით, რამდენადაც აუცილებელი იყო სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაციის რეგისტრაციის წესი ყოფილიყო დაცული და მოსარჩელე ნ. ჩ-ს მისი სამსახურებრივი უფლებამოსილება ჯეროვნად შეესრულებინა. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ნ. ჩ-ის უშუალო ხელმძღვანელს ასევე ჰქონდა სახელმწიფო საიდუმლოებაზე ინდივიდუალური დაშვების უფლება, რაც მით უფრო გამორიცხავს სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისა და სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების ფაქტს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მიხედვით, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნა, ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გულისხმობს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას – განზრახვას საჯარო სამსახურის ინტერესების წინააღმდეგოდ თავი შეიკავოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისაგან. იმავე კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ დისციპლინური გადაცდომისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, საქალაქო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელე ნ. ჩ-ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევას და შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას. რაც შეეხება სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითე-

ბულ იმ სამართლებრივ საფუძველს, რომელიც მოსარჩელე ნ. ჩ-ის სამსახურებრივ შეუსაბამობას უკავშირდება, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამსახურებრივი შეუსაბამობის საფუძველით სამსახურიდან განთავისუფლების პირობებს განსაზღვრავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლი და იგი არ შეიძლება დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს, კერძოდ, მითითებული მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო: ა) გამოსაცდელი ვადის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე; ბ) ატესტაციის შედეგების საფუძველზე; გ) იმ დოკუმენტის არქონისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად; დ) სახელმწიფო ენის არადაამაკმაყოფილებელი ცოდნის და ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობის გამო; ე) თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას სათანადოდ შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობანი; ვ) არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო. ზ) საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარების ფაქტზე პერიოდული, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმების შედეგად საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილ ნივთიერებათა მოხმარების დადასტურებისას, გარდა მოხელის მიერ ამ ნივთიერებათა სამკურნალო მიზნით მოხმარების შემთხვევისა. შესაბამისად, მითითებული საფუძველით მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მხოლოდ აღნიშნული საფუძველებით და წესით იხელმძღვანელოს და კონკრეტული საფუძველის გამოყენების შემთხვევაში ცხადად დაასაბუთოს იგი. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს დაზვერვის სამსახურმა მოსარჩელე ნ. ჩ-ის სამსახურებრივი შეუსაბამობის ფაქტობრივ საფუძველად მიუთითა მოსარჩელე ნ. ჩ-ის ის ქმედება, რომელიც იმავდროულად დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნია და შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან განთავისუფლება გამოიყენა. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ნ. ჩ-ის ქმედება სასამართლოს მიერ არ შეფასდა სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევად და დისციპლინურ გადაცდომად, ამასთან, ასეთი ქმედება დამოუკიდებლად არ ქმნის პირის თანამდებობასთან შეუსაბამობის დადგენის სამართლებრივ საფუძველებს, საქალაქო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული საფუძველი – სამსახურებრივი შეუსაბამობა, არ შეესაბამება კანონით დადგენილ შესაბამის მონესრიგებას. აქვე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ნ. ჩ-ს იმა-

ვე სამსახურში საქმიანობის პერიოდში, წარმატებული საქმიანობისათვის მიღებული აქვს მთელი რიგი ჯილდო და საკლასო ჩინი, რაც მის სამსახურებრივი შეუსაბამობის დადგენის თვალსაზრისით, მეტი სიცხადისა და დასაბუთებულობის აუცილებლობას წარმოშობს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. იმავე კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება; ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივად შებოჭილ თავისუფლებას, ვინაიდან აღნიშნული ისეთი უფლებამოსილებაა, რომელიც ერთი მხრივ, კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კონკრეტული მოწესრიგებით, თუმცა შეზღუდულია კანონით დადგენილი ნორმის მიზნითა და ფარგლებით. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სრული სასამართლო კონტროლი გამოიწვევდა ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას, სასამართლო კონტროლის მოცულობა შეზღუდულია იმ გარემოებების შემომხებით, არსებობდა თუ არა დაშვებული შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში და ამგვარი შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობა. საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლზე, რომლის ბოლო წინადადება ადგენს, რომ დისკრეციული უფლებამოსი-

ლების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული დანაწესი, აუცილებლად გულისხმობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების სავალდებულობას, ვინაიდან მხოლოდ აღნიშნულით არის შესაძლებელი, გაირკვეს, მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადაწყვეტილება. ამრიგად, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება არის ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლება, რომელიც შეზღუდულია საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით. ერთი მხრივ, ეს ისეთი უფლებამოსილებაა, რომელიც კანონმდებლობით არ არის შეზღუდული კონკრეტული მონესრიგებით, თუმცა შეზღუდულია კანონით დადგენილი ნორმის მიზნითა და ფარგლებით. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს უშუალოდ სამართლებრივ აქტში ასახოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რასაც დაეყრდნო მიღებული გადაწყვეტილება. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არ არის მითითებული არცერთ გარემოებაზე, რაც მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს გახდიდა ცხადს, კერძოდ, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული არ არის, თუ რომელი ნორმატიული თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პირდაპირ დადგენილი მოვალეობები დაარღვია მოსარჩელე ნ. ჩ-მა, რომელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უკრძალავდა მას იმ დოკუმენტის შინაარსის გაცნობას და სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, თავისი უშუალო ხელმძღვანელისათვის შეტყობინებას, რაში მდგომარეობდა მით უფრო უხეში დარღვევა, რაში მდგომარეობდა და გამოიხატებოდა სამსახურებრივი შეუსაბამობა და ა.შ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კა-

ნონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება აღქმული არ იქნეს თვითნებობად, რამდენადაც გადანყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადანყვეტამდე. გარდა აღნიშნულისა, გადანყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადანყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადანყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, სამსახურის მოსამსახურე თავის სამსახურებრივ საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესისა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედების განხორციელებას და იქვე განსაზღვრავს, რომ უფლებამოსილებით გადამეტებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაცი-

ციული სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამავე კოდექსის 33-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოცემულ უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი მოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ჩ-ის სარჩელი საფუძვლიანია, ადგილი აქვს საქართველოს კონსტიტუციითა და ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული უფლებების, შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამება მათი მოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი „ნ. ჩ-ის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 3 აგვისტოს №4943პ ბრძანება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. გამომდინარე იქედან, რომ სასამართლომ უკანონოდ სცნო მოსარჩელე ნ. ჩ-ის სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანება, ასევე მიიჩნია, რომ მისი მოთ-

ხოვნა სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, საქართველოს დაზვერვის სამსახურს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე ნ. ჩ-ის საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იმავე კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. ამრიგად, მოსარჩელე ნ. ჩ-ის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია, შესაბამისად, საქართველოს დაზვერვის სამსახურს დაევალა მოსარჩელე ნ. ჩ-ისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი განთავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული ყოველთვიური ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს დაზვერვის სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქართველოს დაზვერვის სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რის შედეგადაც მიღებული იქნა სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. აღნიშნული გარემოება კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

393-ე და 394-ე მუხლების საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ მაშინ, თუ: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონს არ ეწინააღმდეგება, ასევე, ის არანაირ პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს არ აყენებს მოსარჩელის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე

მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის თაობაზე მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალდებულების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. იმავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ

გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოებისას სრულად იქნა გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიღებულია ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მართალია, საქალაქო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა ცალკეული კანონების ნორმები, მაგრამ ამასთან, არასწორად გამოიყენა და განმარტა მთელი რიგი სამართლის ნორმები და რაც მთავარია, არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელიც კანონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, გარანტირებულია სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლება, ხოლო საჯარო სამსახურში მიღების პირობები განსაზღვრულია კანონით, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე საჯარო სამსახურში მიღებისას, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში თუ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების დროს დაცულია რაიმე სახის არამართლზომიერი, კანონსაწინააღმდეგო ჩარევისაგან, ხოლო ამავე კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. საქალაქო სასამართლომ მართებულად მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი იცავს მოქალაქის უფლებას საჯარო სამსახურიდან უკანონოდ და დაუსაბუთებლად განთავისუფლებისაგან (იხ. თუნდაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/5/595 გადანყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნათია იმნაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გვ. 9) კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ გადანყვეტილებაში კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი „იცავს მოქალაქის უფლებას, ჰქონდეს თავისუფალი წვდომა სახელმწიფო სამსახურზე, ამასთან, გულისხმობს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებულ

კონსტიტუციურ გარანტიებს – არ იქნეს დაუსაბუთებლად გათავისუფლებული სამსახურიდან, იყოს დაცული ყოველგვარი გარე ჩარევისგან“. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი პირს იცავს საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებისაგან. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, საჯარო მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების მატერიალური საფუძვლები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული აღნიშნული უფლება გულისხმობს, მათ შორის პიროვნების საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას, რაც თავის მხრივ, ასევე მოიცავს პირის უფლებას არ იქნეს ჩამოშორებული საჯარო სამსახურს მისი ნების საწინააღმდეგოდ საამისოდ, კანონით გათვალისწინებული სათანადო საფუძვლის გარეშე. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმონერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა“. საქალაქო სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლის მიხედვითაც თანამდებობიდან გათავისუფლება შეიძლება განხილულ იქნეს პიროვნული განვითარებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად (იხ. თუნდაც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ყოფ. მეზუთე სექციის პალატის) 2012 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღ-

მდეგ“ (განაცხადი №21722/11) გვ.48-49). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ პირადი ცხოვრება „მოიცავს ინდივიდის უფლებას ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, მათ შორის პროფესიული და ბიზნეს ურთიერთობები“ (იხ. *C. v. Belgium*, 7 აგვისტო 1996, §25, ანგარიში 1996-III). კონვენციის მე-8 მუხლი „იცავს უფლებას პიროვნულ განვითარებაზე და უფლებას სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაზე“ (იხ. *Pretty v. the United Kingdom*, no. 2346/02, §61, ECHR 2002-III). „პირადი ცხოვრების“ ცნება არ გამოორიცხავს პროფესიული თუ ბიზნეს ხასიათის საქმიანობებს. ადამიანთა უმრავლესობას გარე სამყაროსთან ურთიერთობების დამყარების ძირითადი შესაძლებლობა სამსახურებრივი საქმიანობის განმავლობაში ეძლევათ (იხ. *Niemietz v. Germany*, 16 დეკემბერი 1992, §29, სერია A no. 251-B). შესაბამისად, პროფესიის ხელმისაწვდომობაზე დანესებული შეზღუდვები „პირად ცხოვრებაზე“ ახდენენ გავლენას (იხ. *Sidabras and Dziautas v. Lithuania*, nos. 55480/00 და 59330/00, § 47, ECHR 2004 -VIII და *Bigaeva v. Greece*, no. 26713/05, §§ 22-25, 28 მაისი 2009). ასევე, სამსახურიდან დათხოვნა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას ნარმოადგენს (იხ. *Ozpynar v. Turkey*, no. 20999/04, §§ 43-48, 19 ოქტომბერი 2010). და ბოლოს, მე-8 მუხლი ასევე ეხება ღირსებისა და რეპუტაციის საკითხებს, როგორც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების შემადგენელ ნაწილებს (იხ. *Pfeifer v. Austria*, no. 12556/03, § 35, 15 ნოემბერი 2007 და *A. v. Norway*, no. 28070/06, §§ 63 და 64, 9 აპრილი 2009).

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომელიც ყველას ავალდებულებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის, პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თა-

ვისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას, საჯარო დაწესებულებების მიერ თავისი საქმიანობის წარმოების პროცესში საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, თუ შეთანხმებებით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, რაც ნიშნავს იმას, რომ საჯარო დაწესებულებამ, მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იხელმძღვანელოს ამა თუ იმ ზემოთ აღნიშნული უფლების (თავისუფლების) ნამდვილი შინაარსით და არ უნდა დაუშვას ამ უფლებით დაცულ სფეროში არამართლზომიერი ჩარევა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის მიხედვით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. აღნიშნული უფლების სრული განხორციელების მიზნით, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მისაღები ზომები უნდა შეიცავდეს პროფესიული და ტექნიკური სწავლებისა და წვრთნის პროგრამებს, პოლიტიკას და მეთოდოლოგიას, რათა მიღწეულ იქნეს განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება და სრული შედეგიანი დასაქმება ისეთ პირობებში, სადაც თითოეული ადამიანის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება დაცული იქნება. საქალაქო სასამართლომ ასევე სწორად მოიხმო ევროპული სოციალური სფეროს მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტი – ევროპის სოციალური ქარტია, რომლის პირველი მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ დასაქმების მაქსიმალურად სტაბილური და მაღალი დონის მიღწევასა და შენარჩუნებას. იმავე ქარტიის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მხარეები ვალდებული იქნებიან აღიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების

შენწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება. აღნიშნულ დავასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ქარტიის 24-ე მუხლის რეგულაცია, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ ყველა მუშაკის უფლება უარი თქვას დასაქმების შეწყვეტაზე „საპატიო მიზეზის გარეშე“, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე სანარმოს შინაგანანესიდან. მხარეები ასევე აღიარებენ მუშაკთა მიერ სათანადო კომპენსაციის ან სხვა შესაბამისი ანაზღაურების მიღების უფლებას საპატიო მიზეზის გარეშე დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლომაც მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის და პირადი ცხოვრების უფლება, მათ შორის გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძვლების გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს და ასევე, ხელი არ შეუშალოს პირს საკუთარი პიროვნების განვითარებაში, ინფორმაციის მიღებაში, საკუთარი აზრის გამოთქმაში. ამასთან, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტებითა თუ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ასევე სასამართლო პრაქტიკით გარანტირებული და აღიარებული შრომის უფლება, რაც ასევე გულისხმობს იმას, რომ დაუშვებელია საჯარო მოხელე დაუსაბუთებლად, კანონით დადგენილი საფუძვლების გარეშე განთავისუფლებული იქნეს სამსახურიდან. თუმცა, ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმები შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს (უფლებამოსილ თანამდებობის პირებს) არ უკრძალავენ გაათავისუფლონ საჯარო მოხელე სამსახურიდან, თუ იგი უხეშად არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნია, რომ საქართველოს დაზვერვის სამსახურს მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების დროს ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებითა და სასამართლო პრაქტიკით დადგენილი მოთხოვნები არ დაურღვევია, ვინაიდან მოსარჩე-

ლის სამსახურიდან განთავისუფლებას საფუძვლად დაედო მისი მხრიდან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს დაზვერვის სამსახურის სტატუსს, უფლებამოსილებას, საქმიანობის ძირითად სფეროებს, მიზნებსა და პრინციპებს, საქართველოს დაზვერვის სამსახურში მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის სამართლებრივ საფუძვლებს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. საქართველოს დაზვერვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე. მითითებული კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამსახურის მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი, სოციალური დაცვის გარანტიები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. იმავე კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სამსახურის მოსამსახურე სამსახურიდან თავისუფლდება: ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, მძიმე დაავადების დროს, რის გამოც მას აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება; ბ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლისას; გ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისას; დ) სამსახურებრივი შეუსაბამობისას; ე) სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისას, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ან სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევისას; ვ) შტატების შემცირებისას; ზ) საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს, თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნათა სხვა დარღვევისას, თუ იგი არ აღმოიფხვრა შეუთავსებლობის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში; თ) საკუთარი ინიციატივით; ი) სამსახურის შინაგანაწესის დარღვევის, სამსახურებრივი საიდუმლოს გაცემის (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და სამსახურის მოსამსახურისათვის შეუფერებელი

სხვა საქციელის გამო; კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე; ლ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას, თუ აღნიშნული არ ხორციელდება მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ფარულად შესრულების მიზნით; მ) სამსახურში მიღებისათვის ან თანამდებობაზე დანიშვნისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას; ნ) ზღვრული ასაკის მიღწევისას; ო) საპენსიო ასაკის გამო; პ) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების უკანონო მოხმარებისას; ჟ) სამსახურის ან მისი ქვედანაყოფის რეორგანიზაციისას ან/და ლიკვიდაციისას; რ) გარდაცვალებისას; ს) სასამართლო წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას; ტ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. ჩ-ი წარმოადგენდა საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეს და მისი სამსახურიდან დათხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებული იქნა ის გარემოება, რომ იგი გაეცნო სახელმწიფო საიდუმლო გრიფის მქონე ინფორმაციის შინაარსს, რომლის გაცნობის უფლებაც მას არ ჰქონდა და ამის თაობაზე აცნობა თავის უშუალო უფროსს, ხოლო თანამდებობიდან განთავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი – მისი სამსახურებრივი შეუსაბამობა და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვით, სამსახურის უფროსი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის მოსამსახურის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი დისციპლინური სახდელი, მათ შორის, სამსახურიდან განთავისუფლება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, სადაზვერვო საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებაა. სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მასალებისა და სხვა მონაცემების დასაიდუმლოებისა და განსაიდუმლოე-

ბის წესები და პირობები განისაზღვრება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით. მითითებული კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სადაზვერვო ინფორმაცია არის მონაცემები საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უცხო ქვეყნების, ორგანიზაციებისა და პირების მიზნების, გეგმების, მოქმედებების, რეალური და პოტენციური შესაძლებლობების, აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა მოვლენებისა და გარემოებების შესახებ. იმავე კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, პირი, რომელიც დაიშვება სადაზვერვო დაწესებულების მონაცემებთან, გადის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებთან დაშვებისათვის აუცილებელ პროცედურას. ეს პროცედურა მოითხოვს პირის მიერ ამ მონაცემთა გაუმჟღავნებლობის შესახებ წერილობითი ვალდებულების აღებას. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულის მიხედვით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან და ინფორმაციის სფეროში მოქმედი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, ეს კანონი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევისასთან, დასაიდუმლოებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად. მითითებული კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლობასთან საქართველოს დაზვერვის სამსახურის იმ მოსამსახურეების, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სადაზვერვო საქმიანობას, დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმების გარეშე იღებს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი. ამ პუნქტით განსაზღვრულ საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეთა ნუსხას ამტკიცებს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლობასთან ინდივიდუალური დაშვება არის ინფორმაციის გაცნობის საჭიროების გათვალისწინებით, ფიზიკური პირისათვის უფლებამოსილების მინიჭება, განახორციელოს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო საიდუმლობასთან დაკავშირებული საქმიანობა. მითითებული კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლობასთან დაშვებუ-

ლი პირი ვალდებულია: ა) არ გაამჟღავნოს სახელმწიფო საიდუმლოება, რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა; ბ) შეასრულოს „ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებული მოთხოვნები; გ) უფლებამოსილ თანამდებობის პირს აცნობოს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაში. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის საჭიროება არის პრინციპი, რომლის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოების გაცნობის, ანდა ინფორმაციის მიღების უფლება ენიჭება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც თავისი სამსახურებრივი, პროფესიული ანდა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობიდან გამომდინარე, აქვს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დადასტურებული საჭიროება.

„საქართველოს დაზვერვის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №175 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის „ი“ და „კ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი ამტკიცებს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა ფუნქციონალურ მოვალეობებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის მოსამსახურეებს. ამავე მუხლის „ყ“ პუნქტის თანახმად, წაახალისებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს სამსახურის მოსამსახურეებს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს 2013 წლის 29 მაისს განესაზღვრა სამსახურებრივი მოვალეობის ჩამონათვალი, რომელიც გაცნო და ხელმოწერილია მოსარჩელის მიერ. ჩამონათვალით მოსარჩელე ახორციელებდა სამსახურის გასული, ადგილზე მომზადებული საიდუმლო და სრულიად საიდუმლო დოკუმენტების რეგისტრაციას, მათი შესაბამისი ადრესატებისათვის დაგზავნას, შესრულებული დოკუმენტების ნომენკლატურულ საქმეებად კონცენტრირებას, ადგილზე მომზადებული დოკუმენტების ადგილსამყოფლის სააღრიცხვო ფორმებში შეტანას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა 2016 წლის 3 აგვისტოს გამოსცა ბრძანება ნ. ჩ-ის საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... თანამდებობიდან 2015 წლის 14 აპრილიდან განთავისუფლების შესახებ. აღნიშნულ ბრძანებაში საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა მიუთითა, რომ მოცემული ბრძანების გამოცემამდე სამსახურის შესაბამის დანაყოფს დეტალურად ჰქონდა გამოკვლეული და შეფა-

სებული სამსახურის მოსამსახურის ნ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედება, რაც გამოიხატა ოპერატიული ინფორმაციის (გრიფით საიდუმლო) ინფორმაციის (ცნობა) შინაარსის გაცნობაში და უშუალო უფროსისათვის განდობაში, რაც მის ფუნქციონალურ მოვალეობებში არ შედიოდა. ნ. ჩ-ის ფუნქციონალურ მოვალეობას წარმოადგენდა სამსახურის ადგილზე მომზადებული და სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნი გრიფიანი (საიდუმლო) დოკუმენტების რეგისტრაციის, მათი გაფორმების, მისამართის, მინიჭებისა და შესაბამისი ადრესატისათვის გაგზავნის უზრუნველყოფა და არა დოკუმენტის შინაარსის გაცნობა და უშუალო უფროსისათვის მოხსენება. აღნიშნულ ქმედებას, მისი და მისი უშუალო უფროსის ერთობლივი გადაწყვეტილებით მოჰყვა გაგრძელება, კერძოდ, ხსენებული ოპერატიული ინფორმაცია გაანდეს სხვა დანაყოფის მოსამსახურეს, რომელმაც თავის მხრივ გააფრთხილა თავისი კოლეგა, ფრთხილად ყოფილიყო და მათივე კოლეგისაგან, ვინმე ნ.ჯ-სგან თავი შორს დაეჭირა, რადგან შეიტყო, რომ ამ უკანასკნელს ამბები მიჰქონდა უსაფრთხოების სამსახურში მათზე. იმავე ბრძანებაში, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ სამსახური წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების სარეჟიმო დანესტრუქციულ მისი სტაბილურობა და სიძლიერე დამყარებულია მოსამსახურეთა პროფესიონალიზმზე, კეთილსინდისიერებასა და სანდოობის მაღალ ხარისხზე. მოსამსახურე, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ დოკუმენტრუნვაზე და იგი შეგნებულად, სრულიად გააზრებულად მოქმედებს სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ასეთი მოსამსახურის მიმართ სამსახურის ნდობა სამომავლოდ უკიდურესად დიდი საფრთხის შემცველია, ვინაიდან სამსახური თავისი სპეციფიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს ფარულად და წინმსწრებად (პრევენციულად). შესაბამისად, ვერ იქნება უფრო დიდი მასშტაბების ან/და დანაშაულის ნიშნების შემცველი გადაცდომის მოლოდინში. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე მოხდა ნ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედების შეფასება, როგორც უხეში დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისად, დისციპლინური სახდელის სიმკაცრის განსაზღვრა. ამდენად, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ნ. ჩ-ის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში შედიოდა საიდუმლო დოკუმენტების რეგისტრაცია, თუმცა სასამართლო სხდომაზე მხარეებმა განმარტეს, რომ არსებობდა გარკვეული სახის დოკუმენტები, რომლის რეგისტრაციის უფლება ნ. ჩ-ს არ ჰქონდა. ნ. ჩ-მა განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მას სხვა თანამშრომელმა დაუტოვა საიდუმლო დოკუმენტი, რომლის რეგისტრაციის უფლება მას არ ჰქონდა და სწორედ ამის თაობაზე აცნო-

ბა მის უშუალო უფროსს. თუმცა, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თუ ნ. ჩ-ს დასარეგისტრირებლად დაუტოვეს ისეთი დოკუმენტი, რომლის რეგისტრაციის უფლება მას არ ჰქონდა, ასეთ შემთხვევაში ის არ იყო უფლებამოსილი გაცნობოდა ასეთი სახის დოკუმენტს (რომელიც მხარეების განმარტების მიხედვით, ეხებოდა მოსამსახურეების შესახებ ოპერატიულ ინფორმაციას) და მით უფრო, მასში არსებული ოპერატიული ინფორმაცია გარკვეული პირების შესახებ ეცნობებინა უშუალო უფროსისათვის. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საიდუმლო დოკუმენტებთან დაშვების უფლება გულისხმობს არა ნებისმიერი სახის საიდუმლო დოკუმენტების, არამედ მხოლოდ ისეთი საიდუმლო დოკუმენტების გაცნობის უფლებას, რომლის უფლებამოსილებაც პირს კანონით ან/და კანონის საფუძველზე შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ აქვს დადგენილი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ნ. ჩ-ი უფლებამოსილი და ვალდებულიც იყო უშუალო უფროსისათვის ეცნობებინა, რომ მას დაუტოვეს დოკუმენტი, რომლის რეგისტრაციის უფლებაც მას არ ჰქონდა, თუმცა მოსარჩელეს ასეთ შემთხვევაში არ შეეძლო გაცნობოდა ასეთი სახის ინფორმაციას და მით უფრო კონკრეტული პირების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია (მონაცემები) მიენოდებინა უშუალო უფროსისათვის. სასამართლო სხდომაზე როგორც აპელანტის წარმომადგენლებმა, ასევე მესამე პირმა თ. შ-მა (რომელიც ნ. ჩ-ის განთავისუფლების შემდეგ იქნა სამსახურში მიღებული) განმარტეს, რომ არა მარტო კანონმდებლობის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, არამედ სამსახურში არსებული პრაქტიკის მიხედვითაც, საიდუმლო ინფორმაციის რეგისტრაციაზე უფლებამოსილ პირებს ეკრძალებათ ისეთი დოკუმენტების გაცნობის უფლება, რომელთა რეგისტრაციაც მათ კომპეტენციაში არ შედის. მოცემულ შემთხვევაში ნ. ჩ-ის და მისი უშუალო უფროსის ქმედებას შედეგად მოჰყვა საიდუმლო მონაცემების გარკვეულწილად გამჟღავნება, კერძოდ, ხსენებული ოპერატიული ინფორმაცია გაანდეს სხვა დანაყოფის მოსამსახურეს, რომელმაც თავის მხრივ გააფრთხილა თავისი კოლეგა, ფრთხილად ყოფილიყო და მათივე კოლეგისაგან, ვინმე ნ. ჯ-სგან თავი შორს დაეჭირა, რადგან შეიტყო, რომ ამ უკანასკნელს ამბები მიჰქონდა უსაფრთხოების სამსახურში მათზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქართველოს დაზვერვის სამსახურის სპეციფიკისა და საიდუმლო ინფორმაციის ხასიათის გათვალისწინებით, ასეთი ქმედება ნამდვილად წარმოადგენს უხეშ გადაცდომას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ასეთი მოსამსახურის მიმართ სამსახურის ნდობა სამომავლოდ უკიდურესად დიდი საფრთხის შემცვე-

ლია, ვინაიდან სამსახური თავისი სპეციფიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს ფარულად და წინმსწრებად (პრევენციულად). შესაბამისად, ვერ იქნება უფრო დიდი მასშტაბების ან/და დანაშაულის ნიშნების შემცველი გადაცდომის მოლოდინში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორად მოხდა ნ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედების შეფასება, როგორც უხეში დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისად, სწორად განესაზღვრა მას დისციპლინური სახდელის სახით სამსახურიდან განთავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჩ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ დაარღვია პროცესის საჯაროობის წესები, რაც გამოიხატა იმაში, რომ დახურულ სხდომაზე საქმის განხილვისას არ უზრუნველყო მხარეთა თანაბარი მონაწილეობა (თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება) პროცესზე.

კასატორმა მითითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დახურულ სხდომაზე საქმის განხილვისას ითვალისწინებს მხარეებისა და მათი წარმომადგენლების მონაწილეობის შესაძლებლობას, ყველა იმ საპროცესო უფლება-მოვალეობებით, რაც ღია სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დროს აქვთ მათ. ასეთ უფლებაში, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება იგულისხმებოდეს თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება.

კასატორის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ სხდომა დახურა იმ მიზეზით, რომ დაზვერვის სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ნაწილი წარმოადგენდა საიდუმლო დოკუმენტაციას. თავისთავად, დაზვერვის სამსახურის მხრიდან წარმოდგენილი საიდუმლო დოკუმენტაციის შინაარსი ცნობილი იყო დაზვერვის სამსახურისათვის, ხოლო მოსარჩელეს (მონინააღმდეგე მხარეს) და მის წარმომადგენელს არ მიეცა ამ დოკუმენტაციის გაცნობის და საკუთარი არგუმენტაციის წარ-

მოდგენის შესაძლებლობა. სასამართლომ გადაწყვეტილება აღნიშნული დოკუმენტაციიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ისე მიიღო, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ ჰქონდა საკუთარი არგუმენტირებული პრეტენზიის გაცხადების შესაძლებლობა. სასამართლოს, როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ავალდებულებდა, რომ უზრუნველყო ყველა მხარის თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება საქმეში არსებულ მასალებზე, თუმცა შესაბამისი დასაბუთების, შესაბამისი გამამართლებელი და ობიექტური და გონივრული საფუძვლებისა და განსხვავებული მიდგომის დამდგენი სამართლის ნორმების გარეშე, მოწინააღმდეგე მხარე ჩააყენა უარეს მდგომარეობაში აპელანტთან მიმართებით და დაარღვია პროცესის საჯაროობის წესები.

კასატორმა მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ რადგანაც „დაზვერვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს რაიმე სპეციალურ განმარტებას, თუ რა იგულისხმება მოხელის სამსახურებრივ შეუსაბამობაში, ამიტომ, ამ ტერმინის განმარტება უნდა მოხდეს სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით. მითითებული ნორმა აკეთებს იმ პირობების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მოხელე ითვლება სამსახურის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ. ამავე ნორმის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, სამსახურებრივ შეუსაბამობად ითვლება მოხელის არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია ის, თუ რაში შეიძლება გამოხატულიყო ნ. ჩ-ის არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები. სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში საერთოდ უგულებელყო საქალაქო სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ ახალი აქტის გამოცემისას დაზვერვის სამსახურს უნდა გაეთვალისწინებინა მოსამსახურის (ნ. ჩ-ის) სამსახურებრივი მოვალეობების სანიმუშო შემსრულებლად მიჩნევის ფაქტი და მასთან მიმართებით სამსახურებრივი შეუსაბამობის მტკიცების დროს საქმის გარემოებების ზედმიწევნით სრულყოფილად შესწავლის, გამოკვლევისა და ზუსტი სამართლებრივი კვალიფიკაციის გაკეთების აუცილებლობა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, აგრეთვე, გასაჩივრებული აქტისათვის რეტროაქტიული ძალის მინიჭებასთან დაკავშირებით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საერთოდ რეაგირების გარეშე დატოვა მხარის ის არგუმენტი, რომ საქართვე-

ლოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 3 აგვისტოს ბრძანებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შედეგების განსაზღვრა მოხდა წარსული დროით, რაც კასატორის მოსაზრებით, აქტის უკანონობის მამტიკიცებელ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენს.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სასამართლოს ამ კუთხით არ მოჰყავს არც ერთი არგუმენტი შრომითი გასამრჯელოს გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად დადგინდა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო მისი მხრიდან საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევა. მიუხედავად ამ განმარტებისა, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან შეუძლებელია იმის დადგენა, საქართველოს კანონმდებლობის რომელი მოთხოვნების უხეშ დარღვევას ჰქონდა ადგილი ნ. ჩ-ის მხრიდან, რას ავალღბდა საქართველოს კანონმდებლობა მას და რა არ შეასრულა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საიდუმლო დოკუმენტებთან დაშვების უფლება გულისხმობდა არა ნებისმიერი სახის საიდუმლო დოკუმენტის, არამედ მხოლოდ ისეთი საიდუმლო დოკუმენტის გაცნობის უფლებას, რომლის გაცნობის უფლებამოსილებაც პირს კანონით ან/და კანონის საფუძველზე შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ აქვს დადგენილი. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობასთან მიმართებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია არც ერთ ნორმატიულ აქტზე, რომლის შინაარსიც მოგვცემდა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვების უფლების მქონე პირს მხოლოდ გარკვეული დოკუმენტაციის გაცნობის უფლება აქვს. სასამართლოს ამ მსჯელობიდან არ დგინდება, თუ ამ გარკვეული დოკუმენტაციიდან რომლის გაცნობის უფლება აქვს პირს და რომლის არა, რომელი ნორმატიული აქტი განსაზღვრავს, თუ რომელი დოკუმენტის გაცნობის უფლება შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე დოკუმენტიდან საიდუმლო ინფორმაციაზე დაშვების მქონე პირს.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ დაზვერვის სამსახური სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გასცდა ბრძანების საფუძვლად მითითებული ჰატაკის შინაარსს და დამატებით მიუთითა ისეთ გარემოებებზე, რო-

მელიც საერთოდ არ გამომდინარეობდა საქმის არსიდან და არ გააჩნდა არავითარი მტკიცებულება, კერძოდ: დაზვერვის სამსახურის უფროსმა ახალ ბრძანებაში შეგნებულად თუ შეცდომით მიუთითა, რომ ნ. ჩ-ის მიერ საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის და მის შესახებ უშუალო უფროსისათვის მოხსენების შემდეგ მათ „გაანდეს“ აღნიშნული ინფორმაცია სხვა დანაყოფის მოსამსახურეს. კასატორის მითითებით, „გაანდეს“ – სიტყვის გრამატიკული განმარტებით, მასში იგულისხმება რამდენიმე პირის ერთობლივი მოქმედება, რაც საქმის არსთან საერთოდ კავშირში არ არის. პატაკში მოხსენებული იყო სიტყვები, „რომელმაც (არ იგულისხმება ნ. ჩ-ი), თავის მხრივ, ინფორმაცია გაანდო ...“. ამრიგად, დაზვერვის სამსახურმა ახალი აქტის გამოცემისას მიუთითა ისეთ ფაქტზე, რომელიც საქმის გარემოებების მიხედვით არ არსებობდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2012 წლის 3 ოქტომბრის №3073პ ბრძანებით, ნ. ჩ-ი გადაყვანილი იქნა საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... თანამდებობაზე.

საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 14 აპრილის №1513პ ბრძანებით, ნ. ჩ-ი დათხოვნილი იქნა სამსახურიდან. მითითებული ბრძანების შესაბამისად, ნ. ჩ-ის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი გახდა მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რაც გამოიხატა ოპერატიული ინფორმაციის (გრი-

ფით საიდუმლო) ინფორმაციის (ცნობა) შინაარსის გაცნობაში და უშუალო უფროსისათვის განდობაში, რაც მის ფუნქციონალურ მოვალეობებში არ შედიოდა.

ნ. ჩ-ის სარჩელის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად იქნა ბათილად ცნობილი საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 14 აპრილის №1513პ ბრძანება და საქართველოს დაზვერვის სამსახურს დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა 2016 წლის 3 აგვისტოს გამოსცა ბრძანება ნ. ჩ-ის საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... თანამდებობიდან 2015 წლის 14 აპრილიდან განთავისუფლების შესახებ. აღნიშნულ ბრძანებაში საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა მიუთითა, რომ მოცემული ბრძანების გამოცემამდე სამსახურის შესაბამის დანაყოფს დეტალურად ჰქონდა გამოკვლეული და შეფასებული სამსახურის მოსამსახურის ნ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედება, რაც გამოიხატა ოპერატიული ინფორმაციის (გრიფით საიდუმლო) ინფორმაციის (ცნობა) შინაარსის გაცნობაში და უშუალო უფროსისათვის განდობაში, რაც მის ფუნქციონალურ მოვალეობებში არ შედიოდა. ნ. ჩ-ის ფუნქციონალურ მოვალეობას წარმოადგენდა სამსახურის ადგილზე მომზადებული და სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნი გრიფიანი (საიდუმლო) დოკუმენტების რეგისტრაციის, მათი გაფორმების, მისამართის, მინიჭებისა და შესაბამისი ადრესატისათვის გაგზავნის უზრუნველყოფა და არა დოკუმენტის შინაარსის გაცნობა და უშუალო უფროსისათვის მოხსენება. აღნიშნულ ქმედებას, მისი და მისი უშუალო უფროსის ერთობლივი გადაწყვეტილებით მოჰყვა გაგრძელება, კერძოდ ხსენებული ოპერატიული ინფორმაცია გაანდეს სხვა დანაყოფის მოსამსახურეს, რომელმაც თავის მხრივ გააფრთხილა თავისი კოლეგა, ფრთხილად ყოფილიყო და მათივე კოლეგისაგან, ვინმე ნ.ჯ-სგან თავი შორს დაეჭირა, რადგან შეიტყო, რომ ამ უკანასკნელს ამბები მიჰქონდა უსაფრთხოების სამსახურში მათზე. იმავე ბრძანებაში, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ სამსახური წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების სარეჟიმო დაწესებულებას. მისი სტაბილურობა და სიძლიერე დამყარებულია მოსამსახურეთა პროფესიონალიზმზე, კეთილსინდისიერებასა და სანდოობის მაღალ ხარისხზე. მოსამსახურე, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნე-

ბულ დოკუმენტბრუნვაზე და იგი შეგნებულად, სრულიად გააზრებულად მოქმედებს სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ასეთი მოსამსახურის მიმართ სამსახურის ნდობა სამომავლოდ უკიდურესად დიდი საფრთხის შემცველია, ვინაიდან სამსახური თავისი სპეციფიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს ფარულად და წინმსწრებად (პრევენციულად). შესაბამისად, ვერ იქნება უფრო დიდი მასშტაბების ან/და დანაშაულის ნიშნების შემცველი გადაცდომის მოლოდინში. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე მოხდა ნ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედების შეფასება, როგორც უხეში დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისად დისციპლინური სახდელის სიმკაცრის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, აღნიშნავს, რომ კასატორი გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონსაწინააღმდეგობის ერთ-ერთ საფუძველად უთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს პროცესის საჯაროობის, საქვეყნოობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევას. კერძოდ, კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან პროცესის საჯაროობის წესების დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ დახურულ სხდომაზე საქმის განხილვისას არ იქნა უზრუნველყოფილი მხარეთა თანაბარი მონაწილეობა (თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება) პროცესზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20¹ მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, რომელთა თანახმად, სასამართლო (მოსამართლე) გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით საქმეს იხილავს დახურულ სხდომაზე მხარეთა დასწრების გარეშე. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია მხარეებს არ წარედგინება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხსენებული საპროცესო შესაძლებლობა მხარეებს არ აძლევს უფლებას, მიიღონ პროცესში მონაწილეობა ისეთი გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შემოწმებისას, რომლის გასაიდუმლოების კანონიერების საკითხიც მხარის მიერ ეჭვქვეშაა დაყენებული. შესაბამისად, მით უფრო გამოირიცხება დახურულ სასამართლო სხდომაზე

მხარეთა მონაწილეობა იმ შემთხვევაში, როდესაც საიდუმლო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერება სადავოდ არ არის გამხდარი და საქმის განხილვა საჭიროებს კონკრეტული სახელმწიფო საიდუმლო ინფორმაციის სასამართლოს მიერ გაცნობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20¹ მუხლით გათვალისწინებული საპროცესო-სამართლებრივი შესაძლებლობა ფართოა, რომელიც, თავის მხრივ, იძლევა შესაძლებლობას, დაიხუროს სასამართლო სხდომა იმ შემთხვევაშიც, როდესაც წარმოიშობა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი გრიფით საიდუმლო დოკუმენტის შინაარსის სასამართლოს მიერ გაცნობის საჭიროება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფს საქმეთა განხილვისას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვას. ამდენად, აღნიშნული დანაწესი ავალდებულებს კიდევ კონკრეტული საქმის განმხილველ სასამართლოს, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად დახუროს სასამართლო სხდომა იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის მის მიერ გაცნობის საჭიროება.

საყურადღებოა ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დახურულ სხდომაზე გამოკვლეულ იქნა ნ. ჩ-ის მიერ ხელმოწერილი თანამდებობრივი ინსტრუქცია (რომელიც სახელმწიფო საიდუმლოა) და, ამავე დროს, უშუალოდ ის დოკუმენტი, რომლის გაცნობის გამოც ნ. ჩ-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით თანამდებობიდან განთავისუფლება განესაზღვრა. აღსანიშნავია ისიც, რომ სააპელაციო სასამართლოში დავის განხილვის ეტაპზე მოსარჩელე მხარეს არ დაუფიქსირებია არანაირი პრეტენზია პროცესის დახურვის ფაქტთან მიმართებით.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ინფორმაციის გაცნობის საჭიროება წარმოადგენს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო საიდუმლოების გაცნობისა ან/და ინფორმაციის მიღების უფლება ენიჭება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც თავისი სამსახურებრივი, პროფესიული ან/და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობიდან გამომდინარე გააჩნია ასეთ ინფორმაციასთან წვდომის დადასტურებული საჭიროება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახელმწიფო საიდუმლოების გაცნობის დადასტურებული საჭიროება თავისი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე მხოლოდ საქმის განმხილველ მოსამარ-

თლეს გააჩნდა.

რაც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის საკითხს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საკასაციო სასამართლოში დავის განხილვის ეტაპზე, კერძოდ, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას მოსარჩელე მხარემ დაადასტურა ის ფაქტი, რომ დახურულ სასამართლო სხდომას არ ესწრებოდა არც ერთი მხარე და საიდუმლო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას ადგილი შეიძლება ჰქონოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დახურულ სხდომაზე ხელმისაწვდომობა, კონკრეტულ მტკიცებულებებთან მიმართებით მოსაზრებების გაყვარების შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნებოდა მხოლოდ ერთ-ერთი მხარისათვის, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ პროცესი ორივე მხარისათვის თანასწორად დაიხურა და არც ერთ მხარეს არ მისცემია შესაძლებლობა საკუთარი არგუმენტაციითა თუ მოსაზრებების დაფიქსირებით სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის, როგორც მტკიცებულების გამოკვლევაში მონაწილეობა მიეღო, არ არსებობს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის დადგენის წინაპირობები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე საიდუმლო ინფორმაციის შემცველ მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით სასამართლო სხდომის დახურვით, არ დარღვეულა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესის საჯაროობის, საქვეყნოობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, რის გამოც არ არსებობს

გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღნიშნული მოტივებით გაუქმების ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძვლები.

სასარჩელო მოთხოვნის პერსპექტივებთან მიმართებით, საკაცო სასამართლო განმარტავს, რომ შრომითი უფლების სრულყოფილი რეალიზების გარანტიები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო აქტის 30-ე მუხლით, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფალ შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციელების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მოიცავს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელების სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტს, მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტი-

ლება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ანალოგიური პოზიცია აქვს დაფიქსირებული საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილებაში (იხ. გადაწყვეტილების მე-20 და 21-ე პარაგრაფები). „სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოქალაქეთა თანაბარი დაშვება სახელმწიფო სამსახურში გონივრული და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას სახელმწიფო მოსამსახურე მის საქმიანობაში გაუმართლებელი ჩარევისგან, რათა მან შეძლოს კონსტიტუციითა და კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება „გულისხმობს, რომ საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი, თანამდებობის დაკავების წესი, მოხელეთა უფლება-მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები უნდა განისაზღვროს კანონით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 15 ივნისის №1/4/419 განჩინება საქმეზე „ბესიკ გვაჯავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამასთანავე, თავად ეს კანონი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ სტანდარტებს, ანუ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა და ამ თანამდებობისათვის გონივრული პირობების დადგენას, ასევე უზრუნველყოფას იმისა, რომ გაუმართლებლად არ შეიზღუდება მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში და განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომისა და 29-ე მუხლით დაცული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებათა სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურუ-

ლი უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში, ხოლო ამავე დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად კი, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეუწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სანარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაციაზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულია იღებენ უზრუნველყოფენ, მუშაკის რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმიწევნითი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსა-

კუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულოობის ხარისხს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ზემოხსენებულ უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; სამოხელეო სამართალი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და, შესაბამისად, სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის კონკრეტულ სამსახურებთან მიმართებით მოქმედი სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.

სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ამ პუნქტში ჩამოთვლილ მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს მოსამსახურეები არიან: საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეები.

საკასაციო სასამართლო აღიშნავს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით საქართველოში საჯარო სამსახურის ძირითად პრინციპად მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა განისაზღვრა, რომლის შინაარსიც და პრინციპის დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები მოწესრიგდა დაზვერვის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციალური საკანონმდებლო აქტით – „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-19-22-ე მუხლებით კონკრეტულად დარეგულირდა სამსახურის მოსამსახურეთა სამართლებრივ და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. მითითებული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურის მოსამსახურე თავის სამსახურებრივ საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი

არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესისა. „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამსახურის მოსამსახურის სამართლებრივი და სოციალური დაცვის თითოეული და, მათ შორის, კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის დებულება ცერთობლიობაში წარმოადგენს საქართველოს დაზვერვის სამსახურში დასაქმებული ნებისმიერი მოსამსახურის უფლების დაცვის გარანტიას, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტებით და კანონის საფუძველზე განხორციელდება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოცემულ შემთხვევაში, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი დაზვერვის სამსახურთან დაკავშირებულ სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებთან ერთობლიობაში, მოხელეს აღჭურავს იმ უფლებებითა და შეღავათებით, რაც ამ საკანონმდებლო აქტებით არის დადგენილი. ასევე, აღნიშნული კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ, რომ ის განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში სწორედ ამ საჯარო-სამართლებრივი ნორმატიული აქტითა და სხვა სპეციალური დანაწესების შემცველი, კონკრეტულ საჯარო სამსახურში შრომის უფლებათა დაცვითი გარანტიების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებით იქნება დაცული, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც მისი შრომითი მოწყობის, დანინაურების, აგრეთვე, მისი გათავისუფლების საკითხიც.

საკაცაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე, რომელთა თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს დაზვერვის სამსახურის სტატუსს, უფლებამოსილებას, საქმიანობის ძირითად სფეროებს, მიზნებსა და პრინციპებს, საქართველოს დაზვერვის სამსახურში მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის სამართლებრივ საფუძველს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. საქართველოს დაზვერვის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე. ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს დაზვერვის სამსა-

ხური არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების დაწესებულება, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით ახორციელებს სადაზვერვო საქმიანობას. ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად კი, სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნებია საგარეო საფრთხეებისა და რისკების განსაზღვრა, ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების აუცილებელი სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვის, ინფორმაციულ, ეკოლოგიურ და ეროვნული უსაფრთხოების სხვა სფეროებში გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამასთან, „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, კერძოდ, ეს პრინციპებია: ა) კანონიერება; ბ) სახელმწიფოებრივი ინტერესების, ადამიანის უფლებათა, თავისუფლებათა და კანონიერი ინტერესების დაცვა; გ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა; დ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი; ე) ანგარიშვალდებულება, პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; ვ) ერთიანობა და ცენტრალიზაცია; ზ) მიზანმიმართულობა; თ) ოპერატიულობა; ი) უწყვეტობა; კ) გეგმურობა; ლ) ფარულობა.

საკასაციო სასამართლო საქართველოს დაზვერვის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნებიდან და მიმართულებებიდან გამომდინარე განმარტავს, რომ სამსახურის საქმიანობა ძალზედ სპეციფიკურია და დაფუძნებულია როგორც ზემოხსენებულ ძირითად პრინციპებზე, აგრეთვე, თავად სამსახურის თითოეული თანამშრომლის მიმართ არსებულ მაღალი ხარისხის ნდობაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაზვერვის სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპთა დაცვა, მათი შესრულება პირდაპირ დაკავშირებულია თითოეული თანამშრომლის კეთილსინდისიერებაზე, მათი მხრიდან საკუთარ ვალდებულებათა ზედმინევენით შესრულებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არსებითია, შეფასდეს ნ. ჩ-ის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის კანონიერება იმ პირობებში, როდესაც ნ. ჩ-ს მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის მიენიჭა არაერთი საკლასო ჩინი და აღნიშნულ ვალდებულებათა სანიმუშო შესრულებისათვის იგი დაჯილდოვებულ იქნა სიგელითა და სამკერდე ნიშნით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო მოსამსახურე კონკრეტული გადაწყვეტილების, მით უფრო საჯარო მოხელის

თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შეზღუდულია „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი კანონიერებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების, ადამიანის უფლებათა, თავისუფლებათა და კანონიერი ინტერესების დაცვის პრინციპებით, რომელთა დაცვის უზრუნველსაყოფადაც, საჯარო მოსამსახურე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის დაცვით. საჯარო მოსამსახურის ნებისმიერი ქმედება კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს. ამავე შინაარსის დანაწესი გათვალისწინებულია, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით დადგენილი კანონიერების პრინციპითაც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საკანონმდებლო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, სამსახურის მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი, სოციალური დაცვის გარანტიები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ამავე კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, სამსახურის მოსამსახურე სამსახურიდან თავისუფლდება: ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, მძიმე დაავადების დროს, რის გამოც მას აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება; ბ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლისას; გ) შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისას; დ) სამსახურებრივი შეუსაბამობისას; ე) სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისას, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ან სამსახურებრივი დისციპლინის უხეში დარღვევისას; ვ) შტატების შემცირებისას; ზ) საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის ან დანიშვნის დროს, თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნათა სხვა დარღვევისას, თუ იგი არ აღმოიფხვრა შეუთავსებლობის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში; თ) საკუთარი ინიციატივით; ი) სამსახურის შინაგანაწესის დარღვევის, სამსახურებრივი საიდუმლოს გაცემის (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა) და სამსახურის მოსამსახურისათვის შეუფერებელი სხვა საქციელის გამო; კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე; ლ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას, თუ აღნიშნული არ ხორციელდება მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ფარულად შესრულების მიზნით; მ) სამსახურში მიღებისათვის ან თანამდებობაზე დანიშნისათვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას; ნ) ზღვრული ასაკის მიღწევისას; ო) საპენსიო ასაკის გამო; პ) ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების უკანონო მოხმარებისას; ყ) სამსახურის ან მისი ქვედანაყოფის რეორგანიზაციისას ან/და ლიკვიდაციისას; რ) გარდაცვალებისას; ს) სასამართლო წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას; ტ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობისას, თუ სასამართლოს გადანყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. ჩი-ნარმოდგენდა საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეს და მისი სამსახურიდან დათხოვნის ფაქტობრივ საფუძველად მითითებული იქნა ის გარემოება, რომ იგი გაეცნო სახელმწიფო საიდუმლო გრიფის მქონე ინფორმაციის შინაარსს, რომლის გაცნობის უფლებაც მას არ ჰქონდა და ამის თაობაზე აცნობა თავის უშუალო უფროსს, ხოლო თანამდებობიდან განთავისუფლების სამართლებრივ საფუძველად მითითებულია „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი – მისი სამსახურებრივი შეუსაბამობა და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვით, სამსახურის უფროსი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის მოსამსახურის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი დისციპლინური სახდელი, მათ შორის, სამსახურიდან განთავისუფლება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, სადაზვერვო საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები

და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებაა. სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მასალებისა და სხვა მონაცემების დასაიდუმლოებისა და განსაიდუმლოების წესები და პირობები განისაზღვრება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით.

„სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სადაზვერვო ინფორმაცია არის მონაცემები საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უცხო ქვეყნების, ორგანიზაციებისა და პირების მიზნების, გეგმების, მოქმედებების, რეალური და პოტენციური შესაძლებლობების, აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა მოვლენებისა და გარემოებების შესახებ. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, პირი, რომელიც დაიშვება სადაზვერვო დაწესებულების მონაცემებთან, გადის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებთან დაშვებისათვის აუცილებელ პროცედურას. ეს პროცედურა მოითხოვს პირის მიერ ამ მონაცემთა გაუმჟღავნებლობის შესახებ წერილობითი ვალდებულების აღებას. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულის მიხედვით, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან და ინფორმაციის სფეროში მოქმედი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, ეს კანონი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, დასაიდუმლოებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად. მითითებული კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოებასთან საქართველოს დაზვერვის სამსახურის იმ მოსამსახურეების, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სადაზვერვო საქმიანობას, დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან შეთანხმების გარეშე იღებს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი. ამ პუნქტით განსაზღვრულ საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეთა ნუსხას ამტკიცებს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვება არის ინფორმაციის გაცნო-

ბის საჭიროების გათვალისწინებით, ფიზიკური პირისათვის უფლებამოსილების მინიჭება, განახორციელოს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობა. მითითებული კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვებული პირი ვალდებულია: ა) არ გაამჟღავნოს სახელმწიფო საიდუმლოება, რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა; ბ) შეასრულოს „ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებული მოთხოვნები; გ) უფლება-მოსილ თანამდებობის პირს აცნობოს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც ხელს უშლის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვაში. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის საჭიროება არის პრინციპი, რომლის მიხედვით სახელმწიფო საიდუმლოების გაცნობის, ანდა ინფორმაციის მიღების უფლება ენიჭება მხოლოდ იმ პირს, რომელსაც თავისი სამსახურებრივი, პროფესიული ანდა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობიდან გამომდინარე, აქვს ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დადასტურებული საჭიროება.

„საქართველოს დაზვერვის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №175 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის „ი“ და „კ“ პუნქტების თანახმად, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი ამტკიცებს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა ფუნქციონალურ მოვალეობებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის მოსამსახურეებს. ამავე მუხლის „ყ“ პუნქტის თანახმად, წაახალისებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს სამსახურის მოსამსახურეებს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს 2013 წლის 29 მაისს განესაზღვრა სამსახურებრივი მოვალეობის ჩამონათვალი, რომელიც გაეცნო და ხელმონწერილია მოსარჩელის მიერ. ჩამონათვალით ნ. ჩ-ი ახორციელებდა სამსახურის გასული, ადგილზე მომზადებული საიდუმლო და სრულიად საიდუმლო დოკუმენტების რეგისტრაციას, მათი შესაბამისი ადრესატებისათვის დაგზავნას, შესრულებული დოკუმენტების ნომენკლატურულ საქმეებად კონცენტრირებას, ადგილზე მომზადებული დოკუმენტების ადგილსამყოფლის სააღრიცხვო ფორმებში შეტანას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელე ნ. ჩ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა მის მიერ ოპერატიული ინფორმაციის (გრიფით სა-

იდუმლო) (ცნობა) შინაარსის გაცნობა და უშუალო უფროსისათვის განდობა, რაც მის ფუნქციონალურ მოვალეობებში არ შედიოდა. ნ. ჩ-ის საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... თანამდებობიდან 2015 წლის 14 აპრილიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 3 აგვისტოს ბრძანებაში აღნიშნულია, რომ ნ. ჩ-ის ფუნქციონალურ მოვალეობას წარმოადგენდა სამსახურის ადგილზე მომზადებული და სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნი გრიფიანი (საიდუმლო) დოკუმენტების რეგისტრაციის, მათი გაფორმების, მისამართის მინიჭებისა და შესაბამისი ადრესატისათვის გაგზავნის უზრუნველყოფა და არა დოკუმენტის შინაარსის გაცნობა და უშუალო უფროსისათვის მოხსენება. აღნიშნულ ქმედებას, მისი და მისი უშუალო უფროსის ერთობლივი გადაწყვეტილებით მოჰყვა გაგრძელება, კერძოდ, ხსენებული ოპერატიული ინფორმაცია გაანდეს სხვა დანაყოფის მოსამსახურეს, რომელმაც თავის მხრივ გააფრთხილა თავისი კოლეგა, ფრთხილად ყოფილიყო და მათივე კოლეგისაგან, ვინმე ნ.ჯ-სგან თავი შორს დაეჭირა, რადგან შეიტყო, რომ ამ უკანასკნელს ამბები მიჰქონდა უსაფრთხოების სამსახურში მათზე. იმავე ბრძანებაში, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ სამსახური წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების სარეჟიმო დაწესებულებას. მისი სტაბილურობა და სიძლიერე დამყარებულია მოსამსახურეთა პროფესიონალიზმზე, კეთილსინდისიერებასა და სანდოობის მაღალ ხარისხზე. მოსამსახურე, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ დოკუმენტბრუნვაზე და იგი შეგნებულად, სრულიად გააზრებულად მოქმედებს სამსახურის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ასეთი მოსამსახურის მიმართ სამსახურის ნდობა სამომავლოდ უკიდურესად დიდი საფრთხის შემცველია, ვინაიდან სამსახური თავისი სპეციფიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს ფარულად და წინმსწრებად (პრევენციულად). შესაბამისად, ვერ იქნება უფრო დიდი მასშტაბების ან/და დანაშაულის ნიშნების შემცველი გადაცდომის მოლოდინში. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე მოხდა ნ. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედების შეფასება, როგორც უხეში დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისად დისციპლინური სახდელის სიმკაცრის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. ჩ-მა სასამართლო სხდომაზე თავადვე აღნიშნა და შემდგომში არაერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ასეთი სახის ოპერატიული ინფორმაციის შემცველ დოკუმენტებს მას დასარეგისტრირებლად არ უტოვებდნენ. მოსარჩელის მითითებით, ოპერატიული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის რეგისტრაციას იგი აღნიშნული ცნობის მიმტანი პი-

რის თანდასწრებით ახორციელებდა და ამ დოკუმენტს მას უკანვე ატანდა. მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მისთვის დატოვებული დოკუმენტი სწორედ ასეთ ოპერატიულ ინფორმაციას მიეკუთვნებოდა, რომლის დამოუკიდებლად რეგისტრაციის უფლებაც მას არ გააჩნდა.

მოსარჩელის მიერ დაფიქსირებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ნ. ჩ-ი ცალსახად აცნობიერებდა იმას, რომ იგი არ იყო უფლებამოსილი, დამოუკიდებლად დაერეგისტრირებინა ოპერატიული ინფორმაციის (გრიფით საიდუმლო) შემცველი დოკუმენტი, მითუმეტეს, გაცნობოდა მის შინაარსს და თავისი უფროსისთვის გაენდო, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა დაშვება ოპერატიული ინფორმაციის შემცველ დოკუმენტზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არ არსებობდა არანაირი აუცილებლობა, ნ. ჩ-ს უფროსისათვის მიენდებინა საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის შინაარსი, მით უფრო კონკრეტული პირების მითითებით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მისი მხრიდან სრულიად გააზრებულად განხორციელდა, ერთი მხრივ, გრიფით საიდუმლო ოპერატიული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის გაცნობა და, მეორე მხრივ, მისი საკუთარი უფროსისათვის განდობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემულ შემთხვევაში ნ. ჩ-ის და მისი უშუალო უფროსის ქმედებას შედეგად მოჰყვა საიდუმლო მონაცემების გამჟღავნება, რამაც, შედეგობრივად, ზიანი მიაყენა თავად საიდუმლო ოპერაციას.

„საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის საქმიანობის ძირითადი პრინციპია ფარულობა. „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სადაზვერვო საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებაა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს დაზვერვის სამსახურის საქმიანობის მიმართულებები, მისი ძირითადი მიზნები და, ამავდროულად, სამსახურის სპეციფიკა სამსახურში დასაქმებული სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების მქონე ნებისმიერი პირისაგან მოითხოვს, რომ სადაზვერვო საქმიანობა განხორციელდეს ფარულად. ასეთ პირობებში, ფარულობის პრინციპის დარღვევა, ფაქტობრივად, შედეგობრივად იწვევს კონკრეტული სადაზვერვო ოპერაციის ჩაშლას და, შესაბამისად, დაზვერვის სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის მინიმუმამდე დაყვანას.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ საიდუმლო ინფორმაციის გამჟავნება, საფრთხეს უქმნის, ერთი მხრივ, კონკრეტულ სადაზვერვო ოპერაციასთან დაკავშირებულ სამსახურის მოსამსახურეებს, ხოლო, მეორე მხრივ, შეუძლებელს ხდის დაზვერვის სამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების შესრულებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქართველოს დაზვერვის სამსახურის პოზიციას მასზე, რომ დაზვერვის სამსახურის საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული თითოეული მოსამსახურის კეთილსინდისიერებასა და სამსახურის მხრიდან მათ მიმართ არსებულ ნდობაზე, ხოლო მოსამსახურის მიერ ფარულობის პრინციპის შეგნებული, გააზრებული დარღვევა ხსენებულ ნდობას საგრძნობლად ამცირებს. ასეთი მოსამსახურის მიმართ სამსახურის ნდობა სამომავლოდ უკიდურესად დიდი საფრთხის შემცველია, ვინაიდან სამსახური თავისი სპეციფიკიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, საქმიანობას ახორციელებს ფარულად და წინმსწრებად (პრევენციულად). შესაბამისად, სამსახური ვერ იქნება უფრო დიდი მასშტაბების ან/და დანაშაულის ნიშნების შემცველი გადაცდომის მოლოდინში.

ზემოთმითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართებულია ნ. ჩ-ის ქმედების უხეშ დისციპლინურ გადაცდომად შეფასება და, შესაბამისად, კანონიერი მისთვის დისციპლინური სახდელის სახით სამსახურიდან განთავისუფლების განსაზღვრა.

რაც შეეხება კასატორის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია ნ. ჩ-ის სამსახურებრივ შეუსაბამობაზე, საკასაციო სასამართლო, უპირველესად, აღნიშნავს, რომ უხეში დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენა დამოუკიდებლადაც იძლეოდა საკმარის საფუძველს ნ. ჩ-ის თანამდებობიდან განთავისუფლებისათვის. ამდენად, უხეში დისციპლინური გადაცდომის არსებობის პირობებში, სამსახურებრივი შეუსაბამობის არსებობა-არარსებობის შეფასებას პრინციპული მნიშვნელობა არ გააჩნია, თუმცადა, გამომდინარე იქიდან, რომ ნ. ჩ-ის სამსახურიდან განთავისუფლების ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივი შეუსაბამობა, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან მიმართებითაც.

„საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურში სპე-

ციალური შემონმების შედეგად მიიღება საქართველოს მოქალაქე, რომელსაც თავისი პირადი და საქმიანი თვისებების, განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად შეუძლია შესრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები. ამასთან, ამავე კანონის მე-16 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მოსამსახურე სამსახურიდან თავისუფლდება სამსახურებრივი შეუსაბამობისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამსახურებრივი შეუსაბამობა არ წარმოადგენს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობასთან შეუსაბამობას. ტერმინთა განსხვავებულობის გათვალისწინებით, „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სამსახურებრივი შეუსაბამობა, მოიცავს არა მოსამსახურის მხოლოდ კონკრეტულ თანამდებობასთან შეუსაბამობას, არამედ მის შეუსაბამობას უშუალოდ დაზვერვის სამსახურთან და მის საქმიანობასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამსახურებრივი შეუსაბამობის საფუძველი შეიძლება გახდეს როგორც მოსამსახურისათვის კონკრეტული სამსახურის სპეფიციკური საქმიანობისათვის მოთხოვნილი კომპეტენციის, ასევე, ასეთ სამსახურში განსაზღვრული მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო პირადი თუ საქმიანი თვისებების არარსებობა. განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, მოსამსახურის დაზვერვის სამსახურში საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობა აუცილებლად მიიჩნევს მისი ისეთი პირადი თვისებების არსებობას, რომლის, შესაბამისად, იგი შეძლებს დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ცხადია, მოვალეობათა შესრულებისას სამსახურის მოსამსახურე უნდა იცავდეს სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, ამასთან, მოვალეობები უნდა შესრულდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს თავად დაზვერვის სამსახურის საქმიანობასა და უშუალოდ დაგეგმილ კონკრეტულ საიდუმლო სადაზვერვო ოპერაციას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაზვერვის სამსახურის მოსამსახურე კონკრეტული საქმიანობის შესრულებისათვის კომპეტენტური და მაღალი კვალიფიკაციის მქონეა, მის მიერ სამსახურის ფარულობის პრინციპის დარღვევა მას პირადი თვისებებით შეუსაბამოს ხდის დაზვერვის სამსახურისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ჩ-ის საქართველოს დაზვერვის სამსახურის ... თანამდებობიდან 2015 წლის

14 აპრილიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 3 აგვისტოს №494პპ ბრძანების გამოცემის საფუძველად, უხეში დისციპლინური გადაცდომის არსებობის პარალელურად, მართებულად იქნა დადგენილი სამსახურებრივი შეუსაბამობაც, რის გამოც აღნიშნული ბრძანება კანონიერია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველები. მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების პირობებში, არ არსებობს ნ. ჩ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და საქართველოს დაზვერვის სამსახურისათვის ნ. ჩ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დავალების სამართლებრივი თუ ფაქტობრივი საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება;
გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება

გადანყვიტილება
საქართველოს სახელით

№ბს-809-805(3კ-17)

17 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ნატურით ანაზღაურება, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ხ-ემ 11.07.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ მოითხოვა „გ. ხ-ის დისციპლინური წესით დასჯისა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 08.06.2016წ. №1401854 ბრძანების ბათილად ცნობა, გ. ხ-ის აჭარის ა/რ საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქ. ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ქ. განყოფილების უმცროსი ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის გ. ხ-ის სასარგებლოდ, 2016 წლის 1-ლი მაისიდან მოსარჩელის აღდგენამდე, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალეზა, 2015-2016 წლების კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების ნატურით ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2015 წლიდან მუშაობდა ქ. ბათუმის

საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ქ. განყოფილების უმცროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. გ. ხ-ემ 11.02.2016წ. ქ. ..., ... ქ. №7-ში მდებარე ... განთავსებული სარეკლამო მონიტორიდან მოხსნა მეხსიერების ბარათი, რომლის ლირებულება შეადგენდა 18 ლარსა და 90 თეთრს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის №0007863005 დადგენილებით სსსკ-ის 177.1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ბრალი წარედგინა გ. ხ-ეს, ხოლო 13.04.2016წ. №0008055716 განრიდების შეთავაზების ოქმით გ. ხ-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო 15.04.2016წ. №0008064286 დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაიწყო მოკვლევა, რომლის 27.05.2016წ. №1293105 დასკვნის საფუძველზე გ. ხ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გათავისუფლებამდე დამსაქმებელს არასოდეს ჰქონია მასთან პრეტენზია და მის წინააღმდეგ არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი. მას ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, რომელსაც აღენიშნება მწვავე ობსტრუქტული ლარინგიტი. ამასთანავე, მოსარჩელე გ. ხ-ე იყო ოჯახში ერთადერთი დასაქმებული, ხოლო მისი სამსახურიდან გათავისუფლებით მის ოჯახს წაერთვა მინიმალური სოციალური პაკეტით სარგებლობის უფლება, რის გამოც ვეღარ ახორციელებენ არასრულწლოვანი შვილისათვის მედიკამენტების ყიდვასა და ექიმის მომსახურებით სარგებლობას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დაირღვა მისი შრომითი უფლება, ამდენად არსებობს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველები. ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. გ. ხ-ის მიერ ჩადენილი ქმედება არ ქმნის სსსკ-ის 177.1 მუხლით გათვალისწინებულ ქურდობის შემადგენლობას. იმისათვის, რომ ქურდობას მიეცეს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის კვალიფიკაცია, უნდა დადგინდეს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტი, მოცემულ შემთხვევაში კი მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ლირებულება 150 ლარის ზევით. ამდენად გ. ხ-ის მიერ 18 ლარისა და 90 თეთრის ლირებულების ნივთის დაუფლების ფაქტზე არ შეიძლებოდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. შესაბამისად, მოსარჩელე თვლის, რომ სამსახურიდან გათავისუფლდა უკანონოდ, გათავისუფლებას საფუძველად დაედო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის არასრულყოფილად შედგენილი დასკვნა, რაც უპირობოდ გაიზიარა დამ-

საქმებელმა. გენინსპექციის დასკვნა არა სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო ხასიათისაა. პირის სამსახურიდან გათავისუფლება შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულმა განაჩენმა, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის. ამდენად „გ. ხ-ის დისციპლინური წესით დასჯისა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 08.06.2016წ. №1401854 ბრძანება უკანონო და დაუსაბუთებელია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.02.2017წ. გადაწყვეტილებით გ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანონიერი საფუძვლის გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. ამასთანავე, შრომის გარანტირებული უფლება არ არის აბსოლუტური და აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით. „პოლიციის შესახებ“ კანონის 4.3 მუხლის შესაბამისად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური წოდება და დადებული აქვს პოლიციელის ფიცი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 29.12.2014წ. №1061 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დებულების“ 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო წარმოადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ასრულებს სამინისტროს დებულებით და ამ დებულებით დაკისრებულ ამოცანებს. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე გ. ხ-ე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოსამსახურე – პოლიციელი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი. „პოლიციის შესახებ“ კანონის 57.4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით,

სამინისტროს გენერალური ინსპექცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს სისტემაში „პოლიციის ეთიკის კოდექსისა“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების“ ნორმების დარღვევის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას. მითითებული კანონის 59-ე მუხლის შესაბამისად პოლიციელი და სამინისტროს სხვა მოსამსახურე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულის ჩადენისათვის პასუხს აგებენ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შსს გენერალური ინსპექციის 27.05.2016წ. №1293105 დასკვნით გ. ხ-ის მიერ ჩადენილია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ) და „ვ“ (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რაც საფუძვლად დაედო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 08.06.2016წ. №1401854 ბრძანებას გ. ხ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ხ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისივე დისკრეციის ფარგლებში. მოსარჩელე იყო პოლიციელი, მის მიმართ დადასტურებული იყო სსსკ-ის 177.1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი, შესაბამისად სადავო აქტის გამოცემისას არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ თანამდებობაზე გ. ხ-ის დარჩენა შელახავდა სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 08.10.2010წ. №181 ბრძანებით დამტკიცებულ „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგად ნაწილზე“ და აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს ფართო დისკრეციით, პროკურორი საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს დევნის დაწყების მიზანშეწონილობას. შესაბამისად სწორედ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იყენებს პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ღონისძიებას – განრიდების ინსტიტუტს. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს მართლმსაჯულების მიზნები ალტერნატიული, ლიბერალური გზებით, სისხლისსამართლებ-

რივი სანქციების გამოყენების გარეშე, რაც შესაბამისად არ იწვევს თავისუფლების აღკვეთას, პირობით მსჯავრს და ნასამართლობას, თუმცა პირის განრიდება არ ნიშნავს, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული. პირის თანამდებობიდან გათავისუფლებით შრომისა და პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონიერი საფუძვლისა და ლეგიტიმური მიზნის არსებობისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გ. ხ-ის მიერ ჩადენილია ზნეობრივი და ეთიკური ნორმების სანიშნავად აღმდეგო, საჯარო მოსამსახურისთვის – პოლიციელისთვის შეუფერებელი ქმედება, რომელმაც საზოგადოებაში შესაძლებელია ნეგატიური განცდა გააჩინოს მთლიანად პოლიციის სისტემის მიმართ. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითად სწორად იქნა შეფასებული საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ამდენად, სადავო აქტი კანონმდებლობის შესაბამისად არის გამოცემული და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე, 127.5 მუხლებზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან კანონმდებლობა საჯარო მოსამსახურის სამსახურში აღდგენას ცალსახად უკავშირებს მისი დათხოვნის/გათავისუფლების უკანონობას, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის, შესაბამისად, არ არსებობს მოსარჩელის ქ. განყოფილების უმცროსი ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი, არ არსებობს ასევე მოსარჩელის მოთხოვნის-იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და შვებულებით სარგებლობის უფლების ნატურით ანაზღაურების დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნულის წინაპირობა მოსარჩელის სამსახურში აღდგენაა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.02.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ხ-ემ, რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილებით გ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი „გ. ხ-ის დისციპლინური წესით დასჯის და შინაგან

საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 08.06.2016წ. №1401854 ბრძანება; გ. ხ-ე აღდგენილ იქნა აჭარის ა.რ. საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქ. განყოფილების უმცროსი ინსპექტორის თანამდებობაზე; სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაეკისრა გ. ხ-ისათვის იძულებით განაცდური ხელფასის, თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, მისი გათავისუფლების დღიდან თანამდებობაზე აღდგენამდე, სრულად ანაზღაურება; სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2016 წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურება, სარჩელი 2015 წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოწინააღმდეგე მხარეებს გ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯი 50 ლარის ოდენობით; სააპელაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; აპელანტის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ დისციპლინური გადაცდომა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცდომა განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სიმძიმისა ან მოსამსახურის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. ნებისმიერ შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსამსახურის პიროვნება და თანამდებობაზე მისი დატოვებით მოსალოდნელი შედეგები. მოხელე მხოლოდ მაშინ შეიძლება გათავისუფლდეს, თუ მასთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება უარყოფითად აისახება სამსახურის საქმიანობაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ვინაიდან ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება არ ქმნიდა მაღალ საზოგადოებრივ საშიშროებას და გ. ხ-ე სრულად აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, მას შეეთავაზა განრიდება. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე იმისათვის, რომ პირი ცნობილ იქნეს დამნაშავედ, საჭიროა კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. მოცემულ შემთხვევაში გ. ხ-ის მიმართ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი მისი დამნაშავედ ცნობის შესახებ. ასევე არ დასტურდება გ. ხ-ის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა. სისხლის სამართლის საქმიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება განხილული, რადგან მათ სანდოობასა და დასაშვებობაზე არ უმსჯელია სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასა-

მართლოს. განრიდებული პირი უდანაშაულოა, ნასამართლობის არ-
მქონეა და განრიდების ფაქტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს
მის წინააღმდეგ. ნასამართლობის ფაქტი წარმოშობს პირის მიმართ
შედეგებს დასაქმების სფეროში, ხოლო განრიდებისა – არა. სააპე-
ლაციო პალატამ აღნიშნა, რომ გ. ხ-ის სამსახურიდან გათავისუფ-
ლების ბრძანების უკანონოდ ცნობის პირობებში საქართველოს ში-
ნაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია გ. ხ-ე აღადგინოს გათა-
ვისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე და აუნაზღაუროს მას
იძულებითი განაცდური. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ
უკანონოდ გათავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს
იძულებითი განაცდური, ვინაიდან გათავისუფლების აქტის ბათი-
ლად ცნობა იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას „საჯა-
რო სამსახურის შესახებ“ კანონისა და საქართველოს საკონსტი-
ტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილების
თანახმად. იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯე-
ლო, კერძოდ, თანამდებობრივი სარგო, რომელიც ხელფასის შე-
მადგენელი პრემიებისა და დანამატებისაგან განსხვავებით გაი-
ცემა მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალი-
ფიკაციის მიუხედავად, ანაზღაურებას ექვემდებარება სრული მო-
ცულობით, კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლების პერიოდ-
დან სამსახურში აღდგენამდე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კა-
ნონის მე-14 და შრომის კოდექსის 21.4 მუხლების საფუძველზე
ანაზღაურებას ექვემდებარება ასევე ერთი წლის გამოუყენებელი
შვებულება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 268.1 მუხლის „დ“ ქვე-
პუნქტზე და აღნიშნა, რომ სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვ-
ნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად
გადასცეს გადაწყვეტილებები უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყ-
ვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. შესაბამისად, საპ-
როცესო მხარე, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებ-
ლივ აღსრულებას, დამაჯერებლად უნდა ასაბუთებდეს და ადას-
ტურებდეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების აუცი-
ლებლობას, სასამართლო გადაწყვეტილების შედეგის მოცემულ
ეტაპზე მნიშვნელობას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ასეთი
აუცილებლობა წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით არ არის საკ-
მარისად მოტივირებული, შესაბამისად გადაწყვეტილების დაუყო-
ვნებლივი აღსრულების შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამარ-
თლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტი ითხოვს ადვო-
კატის ხარჯების – 2400 ლარის ოდენობით ანაზღაურებას, თუმცა
სააპელაციო საჩივარს არ ერთვის ადვოკატის დახმარებისათვის

საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად მოსარჩელის მიერ ამ ხარჯის განწევა არ დასტურდება და არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა და მოპასუხეს აპელანტის სასარგებლოდ 50 ლარის გადახდა დაეკისრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. ხ-ემ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ.

კასატორმა – გ. ხ-ემ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებაზე საქმეში ასეთი ხარჯების განწევის თაობაზე მტკიცებულებების არარსებობის გამო. კასატორი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ გადაუხდელი საადვოკატო მომსახურების საფასური, კანონით დადგენილ ფარგლებში, მონინააღმდეგე მხარისთვის დაკისრებას ექვემდებარება. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების წერილობით დადების ვალდებულება კანონმდებლობით არ არსებობს, შესაძლებელია მისი არსებობა ზეპირი გარიგების საფუძველზეც. საქმეში ადვოკატის მონაწილეობა და საადვოკატო ხარჯების მოთხოვნის ფაქტი, ადასტურებს მხარისათვის საადვოკატო მომსახურების განწევას. საპროცესო სამართალი ადვოკატის ხარჯის წაგებული მხარისათვის დაკისრების მიზნებისათვის არ ადგენს საადვოკატო მომსახურებისათვის წინასწარ გადახდის ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო პალატამ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, მას არ შეუჯამებია ორივე ინსტანციის სასამართლოში განხორციელებული წარმომადგენლობითი საქმიანობის შედეგები და არ დაუკისრებია მოპასუხისათვის ადვოკატის დახმარების გამო სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურება. სააპელაციო პალატამ მსჯელობა განავითარა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნილი საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მართებულობაზე, რაც მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც უზენაესი სასამართლო დადგენილი პრაქტიკით (სუს 14.07.2016წ. განჩინება საქმე №776-768(2კ-4კს-15)) დადგენილია, რომ იურიდიული მომსახურების (ზეპირი/წერილობითი) ხელშეკრულების არსებობა და მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს განუყოფელი მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას. მსგავსი მიდგომა განისაზღვრა აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სა-

სამართლოს დამკვიდრებული სტანდარტიდანაც. კერძოდ, ევროპული სასამართლო მაშინაც აკისრებს ხელმოყოფ პირს ადვოკატის მიერ განეული შრომის ანაზღაურებას, როდესაც სამართალწარმოებაში მონაწილე პირს არ გადაუხდია ადვოკატის მომსახურებისათვის განეული თანხა ან წარმომადგენლობა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ქველმოქმედების სახით. სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი სანოტარო წესით შედგენილი და დადასტურებული დოკუმენტით გათვალისწინებული შინაარსი თავსებადია დავალების ხელშეკრულებასთან (სკ-ის 709-ე მუხ.). განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოცემულ შემთხვევაში პრეზუმირებულია, ვინაიდან სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ხოლო ადვოკატის მომსახურების ღირებულება საპროცესო კანონმდებლობის თანახმად წაგებულ მხარეს უნდა დაეკისროს. ხარჯის განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია.

კასატორმა აღნიშნა, რომ სოციალური უფლების მოპოვებისთვის შრომის აუცილებლობას მტკიცება არ სჭირდება. შესაბამისად კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატის უარი შემავამებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე დაუსაბუთებელია, რადგანაც სსკ-ის 268-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მხარეთა თხოვნით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ. კასატორი აღნიშნავს, რომ მსგავსი საკითხების დაუყოვნებლივ აღსრულებას მტკიცებულებებით დადასტურება არ სჭირდება და ამ საპროცესო შემადგენლობის შექმნისათვის საკმარისია მარტოოდენ შუამდგომლობის წარდგენა სასამართლოში, რამეთუ საკითხი ეხება მინიმალური სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას მათი გადაუდებელი ხასიათის გამო.

კასატორი აღნიშნავს, რომ შვებულებით სარგებლობის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ამ უფლების სამართლიანი რეალიზება. დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერ-

თობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა. პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება დადგენილია „ფასიანი შვებულების შესახებ“ 04.06.1936წ. კონვენციითა და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მიხედვით. კასატორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში 2015 წლის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ვინაიდან აღნიშნული უფლების მოპოვება არაა დამოკიდებული იმაზე, პირმა შვებულების მომდევნო წელს გადატანის მოთხოვნით წერილობით მიმართა თუ არა დამსაქმებელს. ასეთი მიმართვის წერილობითი ფორმა სავალდებულო სახით არაა დადგენილი, ამგვარი მოთხოვნის დაყენება დასაშვებია ზეპირადაც. ზემოაღნიშნულის თაობაზე სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რაც შემდგომში გახდა დაუსაბუთებელი და არასწორი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. კასატორი შუამდგომლობს სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, რამეთუ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოებისათვის გაღებული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას.

კასატორმა – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნა, რომ გ. ხ-ის, როგორც პოლიციელის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რაც დასტურდება ბრალდების შესახებ დადგენილებითა და თავად გ. ხ-ის ახსნა-განმარტებით, გახდა მის მიმართ დისციპლინარული სახდელის ყველაზე მკაცრი ზომის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენების საფუძველი. სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა განმარტებული განრიდების ინსტიტუტი და მისი არსი, რაც შემდგომში გახდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში გ. ხ-ის მიმართ განრიდების გამოყენება არ გულისხმობს იმას, რომ ფაქტი – კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ განხორციელებულა. სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა არა დანაშაულის ნიშნების არარსებობის, არამედ გ. ხ-ის მიმართ განრიდების შეთავაზების გამო. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გ. ხ-ისათვის ცნობილი იყო იმ იმპერატიული მოთხოვნების შესახებ, რომელსაც ითვალისწინებს პოლიციის ეთიკის კოდექსი და შსს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება. მიუხედავად ამისა, მან ჩაიდინა პოლიციელისათვის შეუფერებელი ქმედება, რაც პირდაპირ ნეგატიურად აისახება სამინისტროს ავტორიტეტზე. შინაგან საქმეთა სამინისტრო არის სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულება, შესაბამისად თითოეული პოლიციელის მოქმედება მკაცრად

კონტროლდება. კანონსანინაალმდეგო მოქმედების ჩამდენი პოლიციელი არ უნდა მსახურობდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რაც საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების ფარგლებში მომეტებულ საჯარო ინტერესს წარმოადგენს. შესაბამისად არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რამეთუ იგი დაუსაბუთებელია და ამავდროულად ენინაალმდეგება უზენაესი სასამართლოს უკვე არსებულ პრაქტიკას(იხ.სუს 20.04.2017წ. გადანყვეტილება, საქმე №ბს-644-637(კ-16)).

კასატორმა, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ აღნიშნა, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის 57.4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს სისტემაში „პოლიციის ეთიკის კოდექსისა“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების“ ნორმების დარღვევის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენასა და სათანადო რეაგირებას. აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ შს სამინისტროს თანამშრომელთა მოქმედება იყოს მისაბაძი, არ გამოვლინდეს მათ მიერ დანაშაულთა ჩადენის ფაქტები, რომელიც შელახავს სამინისტროს ავტორიტეტს. გ. ხ-ის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდება, იმის გათვალისწინებით, რომ მან აღიარა დანაშაული და განახორციელა განრიდების შეთავაზების ყველა კანონით გათვალისწინებული წინადადება. კონკრეტულ ვითარებაში განრიდება შეთავაზა საჯარო მოხელეს, ამიტომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა მოხელისათვის პასუხისმგებლობის დისციპლინური წესით დაკისრება, რაც გამოიხატა მისი სამსახურიდან გათავისუფლებაში. შესაბამისად არ არსებობს სადავო ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არ არის საკმარისად და სრულად დასაბუთებული, ამდენად სახეზეა მისი გაუქმების წინაპირობები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.2018წ. განჩინებით გ. ხ-ის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებუ-

ლი გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივრები, აგრეთვე გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ნაწილობრივ გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ხ-ე 2015 წლიდან მუშაობდა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს აჭარის ა.რ. საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქ. ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ქ. განყოფილების უმცროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 08.06.2016წ. №1401854 ბრძანებით გ. ხ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ 11.02.2016წ. ქ. ქ. №7-ში მდებარე ... არსებული მონიტორებიდან სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს აჭარის ა.რ. საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქ. ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ქ. განყოფილების უმცროსი ინსპექტორი (...) გ. ხ-ე ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ერთ ცალ მეხსიერების ბარათს, რის შედეგადაც დაზარალებულს მიადგა 18 ლარისა და 90 თეთრის ქონებრივი ზიანი. გ. ხ-ე 29.02.2016წ. №0007863005 დადგენილებით ბრალდებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 177.1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. 13.04.16წ. განრიდების შეთავაზების ოქმის თანახმად, გ. ხ-ის მიერ ქმედების ჩადენის სრულად აღიარებისა და მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების არარსებობის გამო, ბრალდებულს შეეთავაზა განრიდება. 13.04.2016წ. გ. ხ-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა. 15.04.16წ. ბათუმის რაიონული პროკურატურის დადგენილებით გ. ხ-ის სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო და გ. ხ-ის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ გ. ხ-ემ ჩაიდინა შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (ზნეობ-

რივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დანე-
სებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი
განურჩევლად იმისა სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ) და „ვ“
(მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს
სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალის-
წინებული დისციპლინური გადაცდომა, რის გამოც მიზანშეწონი-
ლად იქნა მიჩნეული მისთვის შს სამინისტროს მოსამსახურეთა დის-
ციპლინური წესდების მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწი-
ებული სახდელის – სამსახურიდან დათხოვნის გამოყენება.

საკაცაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ყოველ
მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თა-
ნამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ
მოთხოვნებს. ასევე, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თა-
ვისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირო-
ბების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება. შრომის თავისუფ-
ლება საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ნიშნავს არა
მხოლოდ ადამიანის უფლებას თავად განკარგოს საკუთარი შესაძ-
ლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩოს შრომითი საქ-
მიანობის ესა თუ ის სფერო, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს ვალ-
დებულებას იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მა-
თი შრომითი უფლებები (საკონსტიტუციო სასამართლოს
26.10.2007წ. გადაწყვეტილება საქმეზე №2/2-389). შრომის უფლე-
ბა გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სათანადო, კანო-
ნიური საფუძვლის გარეშე არ დაუშვას დასაქმებულთან შრომითი
ურთიერთობის შეწყვეტა. ამასთანავე, შრომის უფლება არ არის
აბსოლუტური, აღნიშნული უფლებით დაცული სფერო შესაძლე-
ბელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ
შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნითა და თანაზომიერების პრინცი-
პის დაცვით. შრომის უფლების დაცვა არ გულისხმობს დამსაქმებ-
ლის აბსოლუტურ შეზღუდვას კანონით გათვალისწინებული სა-
ფუძვლის შემთხვევაში გაათავისუფლოს დასაქმებული. ამდენად,
მოცემული დავის გადანყვეტა საჭიროებს გ. ხ-ის გაათავისუფლე-
ბის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის კანონიერების დადგენას.

სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის სამინისტროს
მოსამსახურის მიმართ სამსახურიდან დათხოვნა გათვალისწინე-
ბულია „პოლიციის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლით, შს მინისტრის
31.12.13წ. №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინა-
გან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წეს-
დების“ მე-3 მუხლით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 72-ე
მუხლის მიხედვით, მოხელე ვალდებულია თავი შეიკავოს ისეთი

ქმედებისაგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის სამსახურის რეპუტაციას. ამდენად, საჯარო დაწესებულებაში სათანადო გარემოს შექმნა და საჯარო მოსამსახურის პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობის გაზრდას საჯარო სამსახურის მიმართ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 29.12.2014წ. №1061 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დებულების“ 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო წარმოადგენდა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ასრულებდა სამინისტროს დებულებით და სააგენტოს დებულებით დაკისრებულ ამოცანებს („სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 07.12.2017წ. №1621-რს კანონის 2.4 მუხლის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლედ ჩაითვალა საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო. აღნიშნულის შესაბამისად შს მინისტრის 26.01.2018წ. №7 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა 29.12.2014წ. №1061 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დებულება“, 26.01.2018წ. №7 ბრძანება 2018 წლის 12 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე გავრცელდა. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ 27.06.18წ. კანონის 70-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, გარდა ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლედ ჩაითვალა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომლის დებულება დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 31.07.2018წ. დადგენილებით. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ 27.06.2018წ. კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე» 22.12.2018წ. კანონის 2.1 მუხლის თანახმად, საქართველოს პრემი-

ერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შს სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კანონისმიერი უფლებამონაცვლეა შს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური). ამდენად, გ. ხ-ე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოსამსახურე. საჯარო მოსამსახურე წარმოადგენს საჯარო მმართველობაში დასაქმებულ პირს, ანუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, აღჭურვილს უფლებამოსილებებითა და საჯარო ვალდებულებებით. ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს პოლიციელის, როგორც საჯარო მოხელის, კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების მნიშვნელობისა და მისი სტატუსის გააზრებას.

სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ 29.05.2014წ. კანონის 44.1 მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს მოქალაქე სააგენტოში სამუშაოდ მიიღებოდა და მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის მოთხოვნების შესაბამისად. „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ნოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი. ამდენად, გ. ხ-ეს ჰქონდა პოლიციელის სტატუსი, შესაბამისად მისი ქცევა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო პოლიციელისათვის დადგენილ სტანდარტებთან („პოლიციის შესახებ“ კანონის მე-8 მუხ.), კანონიერების, კეთილსინდისიერების, სამართლიანობის პრინციპებთან (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №999 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქცია“). პოლიციელი, რომელიც იცავს და იყენებს კანონს, პირველ რიგში თავად უნდა იცავდეს და პატივს სცემდეს მას („საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსის“ 1.2 მუხ.). გ. ხ-ეს სამსახურებრივი სტატუსიდან გამომდინარე, თავად უნდა უზრუნველე-

ყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საჯარო სამსახურის სხვა მოხელისაგან განსხვავებით მის მიმართ ქცევის უფრო მაღალი სტანდარტია დაწესებული (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ანსამბლეს მიერ 17.12.1979წ. №34/168 რეზოლუციით დამტკიცებული „მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის“ 1-ლი მუხ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ზოგადად საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციის მიმართ, საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება და დაცვა უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს წარმოადგენს, რამდენადაც საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციის საქმიანობის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ნდობასა და საჯარო სამსახურის ავტორიტეტზე, რაც შესაბამისი საჯარო მოსამსახურეების და პოლიციელების სათანადო ქცევითა და საქმიანობით მიიღწევა. პოლიციელთა ქცევისა და მათ მიმართ ნდობის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაში პოლიციელი აღქმულია კანონისა და ზნეობრივი ნორმების განუხრელად შემსრულებლად და საზოგადოებაში მათი დაცვის გარანტიად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ჩადენილი გადაცდომის შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული დისციპლინარული სახდელი – სამსახურიდან დათხოვნა მართებულია, ვინაიდან, გ. ხ-ის სამსახურებრივი სტატუსიდან გამომდინარე, მას თავად უნდა დაეცვა სახელმწიფო უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი. მის მიერ ჩადენილი ქმედება მიმართულია საჯარო მოსამსახურისათვის – პოლიციელისათვის დადგენილი პროფესიული ქცევის წესებისა და ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ. შს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიმართ მოქმედებს მაღალი სადისციპლინო-სამემსრულებლო მოთხოვნები, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლებს ქცევის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს უწესებს და მკვეთრად გამიჯნავს მათ საჯარო სამსახურის სხვა მოხელეებისაგან. ამდენად ჩარევის კანონიერი საფუძვლის, ლეგიტიმური მიზნის და ჩარევის ინტენსივობის გათვალისწინებით, დასაბუთებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება ჩარევის კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის – საჯარო ინტერესის დაცვის მიზნის პროპორციულობის შესახებ.

„პოლიციის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის შესაბამისად, პოლიციელი და სამინისტროს სხვა მოსამსახურე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულის ჩადენისათვის პასუხს აგე-

ბენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსით“ განსაზღვრული ნორმების დაცვა ევალება როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო დროს (3.3.მუხ.), ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად (მე-8 მუხ.). საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. №989 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის შესაბამისად დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის მოსამსახურეს ეკისრება დისციპლინური სახდელი. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წესდების 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის დებულება სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებზე წესდების გაუფრცვლებლობის შესახებ სადავო ბრძანების გამოცემის შემდეგ, კერძოდ შს მინისტრის მ.შ. 02.09.16წ. №496 ბრძანებით იქნა შეტანილი (აღნიშნული ნოვაცია განპირობებულია სადავო ბრძანების გამოცემის შემდეგ მიღებული „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ 27.06.2018წ. კანონით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეთათვის ეთიკის კოდექსის შემოღებით (42.1 მუხ. „ი“ ქვპ.), ამასთანავე, სხენებული კანონის 56-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის სახედ კვლავინდებურად მიიჩნევა ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა, განურჩევლად იმისა, ის სამსახურშია ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ („დ“ ქვპ.), მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ავტორიტეტს („ვ“ ქვპ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო აქტი შეიცავს სზაკ-ის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში მოცემული დეფინიციის ყველა ნიშანს და მაშასადამე არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შესაბამისად სადავო ბრძანების კანონიერების დადგენა საჭიროებს სადავო ბრძანების გამოცემის დროს (08.06.2016წ.) მოქმედ კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის დადგენას. ამდენად, მართებულია სადავო სამართალურთიერთობის მიმართ დისციპლინური წესდების ნორმების გავრცელება, რომლის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი მოიცავს დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალს. განსახილველ შემთხვევაში გ. ხ-ის მიერ ჩადენილია ზემოაღნიშნული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციი-

საკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ) და „ვ“ (მოსამსახურისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მისი სამსახურიდან დათხოვნა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოსა ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს დაცული უნდა იყოს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი. დისციპლინური სახდელის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე და შედეგები, აგრეთვე ჩადენის გარემოებები, მოსამსახურის პიროვნება და დამსახურება. ცხადია, რომ ნებისმიერი დარღვევა არ წარმოადგენს პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას დარღვევის უმნიშვნელო ხასიათის შესახებ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების მიუხედავად, გ. ხ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება არღვევს შს სამინისტროს მოსამსახურეთათვის დადგენილი ქცევის წესებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ხ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება გამოცემულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას სამსახურიდან გათავისუფლების სახით გამოყენებული დისციპლინური სახდელის გ. ხ-ის მიერ ჩადენილი დარღვევის სიმძიმესთან შეუსაბამობის შესახებ.

საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა იწვევს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა, დადგენილი ქცევის წესების დაცვა, მათი დარღვევის პრევენცია. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი

შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის, მისი თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ზოგადად საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციის მიმართ, საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება და დაცვა უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ საჯარო ინტერესს წარმოადგენს, რამდენადაც საჯარო სამსახურის და განსაკუთრებით პოლიციის საქმიანობის ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ნდობასა და საჯარო სამსახურის ავტორიტეტზე, რაც შესაბამისი საჯარო მოსამსახურეების და პოლიციელების სათანადო ქცევითა და საქმიანობით მიიღწევა. პოლიციელთა ქცევისა და მათ მიმართ ნდობის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებაში პოლიციელი აღქმულია კანონისა და ზნეობრივი ნორმების განუხრელად შემსრულებლად და საზოგადოებაში მათი დაცვის გარანტიად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ჩადენილი გადაცდომის შინაარსის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებული დისციპლინარული სახდელი – სამსახურიდან დათხოვნა მართებულია. მის მიერ ჩადენილი ქმედება მიმართულია საჯარო მოსამსახურისათვის – პოლიციელისათვის დადგენილი პროფესიული ქცევის წესებისა და ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ, გ. ხ-ის მიერ ჩადენილი ქმედება ლახავს შს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს. ამდენად ჩარევის კანონიერი საფუძვლის, ლეგიტიმური მიზნის და ჩარევის ინტენსივობის გათვალისწინებით, დასაბუთებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება ჩარევის კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნის – საჯარო ინტერესის დაცვის მიზნის პროპორციულობის შესახებ.

პირის გათავისუფლება სამსახურიდან არის იძულებითი ღონისძიება, რომელიც სარწმუნოდ უნდა დასაბუთდეს. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას სადავო აქტის დაუსაბუთებლობის, მისი სზაკ-ის მე-13, 53-ე, 96-ე მუხლების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ. სადავო აქტში, აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლების გარდა, მითითებულია აგრეთვე, რომ აქტის გამოცემის საფუძველია – შსს გენერალური ინსპექ-

ციის დასკვნა. შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს სისტემაში „პოლიციის ეთიკის კოდექსისა“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების“ ნორმების დარღვევის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენას და სათანადო რეაგირებას, აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი მიზეზების აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას („პოლიციის შესახებ“ კანონის 57.4 მუხ. „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები, საქართველოს მთავრობის 13.12.2013წ. №337 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულები“ მე-10 მუხ. „გ“ ქვპ). საქართველოს შს მინისტრის 23.02.2015წ. №123 ბრძანებით დამტკიცებული გენერალური ინსპექციის დებულების მიხედვით, სხვა ამოცანებთან ერთად, ინსპექციის ამოცანას შეადგენს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქვეუწყებო დაწესებულებებში კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების კონტროლი, სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება, სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულებისათვის კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება (მე-2 მუხ., „ა“, „ბ“, „ე“ ქვპ.). სადავო აქტს №1 დანართად ერთვის გენერალური ინსპექციის დასკვნა შსს მოსამსახურის გ. ხ-ის მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე, რომელშიც მოყვანილია დისციპლინური სამართალდარღვევის გარემოებები. ... კუთვნილი მესხიერების ბარათის მითვისების ფაქტზე საქმეში დაცულია აგრეთვე შსს გენერალური ინსპექციის საქმე №1293105 შსს მოსამსახურის გ. ხ-ის მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე. შსს გენერალური ინსპექციისათვის 27.04.16წ. მიცემული ახსნა-განმარტებაში გ. ხ-ემ აღნიშნა, რომ 11.02.2016წ. პირად საქმესთან დაკავშირებით იმყოფებოდა ქ. ..., ... ქ. №7-ში მდებარე ..., მონიტორიდან მოხსნა 4 გიგაბაიტის მესხიერების ბარათი და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა მას, ბარათი წარმოადგინა 24.02.16წ. შსს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის I განყოფილებაში, მისი მოწმის სახით გამოკითხვის შემდეგ, ახსნა-განმარტებაში მითითებულია, რომ გ. ხ-ე სრულად აცნობიერებდა ჩადენილ ქმედებას და თავს დამნაშავედ გრძნობდა. ამდენად, საფუძველს არის მოკლებული მოსარჩელის მოსაზრება, რომ სზაკ-ის მე-13, 95-ე, 96-ე მუხლების დარღვევით მას არ მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შე-

საძლებლობა, არ ეცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, არ გამოკვლეულა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

ბათუმის რაიონული პროკურატურის 15.04.2016წ. დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმისა და განრიდების გამო, აგრეთვე ის გარემოება, რომ ნა-სამართლობის ფაქტი წარმოშობს პირის მიმართ შედეგებს დასაქმების სფეროში, ხოლო განრიდება არა, არ ადასტურებს გ. ხ-ის ქმედებაში საზოგადოებისათვის საშიშროების არარსებობას, სადავო ბრძანებით შეფარდებული დისციპლინური ზომის – სამსახურიდან გათავისუფლების უკანონობას, სისხლის სამართალწარმოების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების შეუძლებლობას დისციპლინური წარმოების მიზნებისათვის. პოლიციელი და სამინისტროს სხვა მოსამსახურე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულის ჩადენისათვის პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით („პოლიციის შესახებ“ კანონის 59-ე მუხ.). კანონით აკრძალული ქმედების ჩადენის ფაქტის სასამართლო აქტით დადასტურების არარსებობა, ნა-სამართლობის არქონა არ გამოორიცხავს მისი დადგენის შესაძლებლობას დისციპლინური წარმოების ფარგლებში. ის, რომ პირი ნასამართლევად არ ითვლება მანამ, სანამ მის მიმართ კანონიერ ძალაში არ შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რაც არ არსებობს მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ, არ ადასტურებს შს სამინისტროს მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას. უდანაშაულობის პრეზუმფცია ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს პრინციპს შეიცავს. ამასთანავე, მოსარჩელის მიმართ დისციპლინური ღონისძიება გამოყენებულ იქნა არა დანაშაულის, არამედ დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენის გამო. ამდენად, მოცემული სამართალურთიერთობის მიმართ უდანაშაულობის პრინციპის დარღვევის მოსაზრებები არ არის რელევანტური და არ ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განრიდება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის/სასჯელის ალტერნატიულ მექანიზმს, რომელიც გულისხმობს პირის მიმართ ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომელთა შესრულების შემთხვევაში პროკურორი არ იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნას ან თუ დევნა დაწყებულია, იღებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. განრიდება იძლევა მართლმსაჯულების მიზ-

ნების მიღწევის შესაძლებლობას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი სანქციის გამოყენების და მისი თანმდევი ნეგატიური შედეგის გარეშე. ამასთანავე, განრიდების ინსტიტუტის გამოყენება არ გამორიცხავს პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტს, განრიდების შემთხვევაში ქმედების ჩადენის ფაქტი დადასტურებულია (იხ. სუს 20.04.2017წ. გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-644-637(კ-16)), უფრო მეტიც, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოიყენება სწორედ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც პირი აღიარებს სამართალდარღვევის ჩადენას, პირს გაცნობიერებული აქვს თავისი საქციელის მართლსაწინააღმდეგობა და გამოხატავს მზადყოფნას გამოსწოროს უარყოფითი შედეგები, ხოლო სახელმწიფო თავის მხრივ იჩენს ჰუმანურობას და კონფლიქტს ნაკლებად ხისტი მეთოდით აგვარებს, რაც საშუალებას აძლევს ქმედების ჩამდენ პირს განერიდოს სისხლისსამართალწარმოებასა და მისგან მომდინარე ნეგატიურ შედეგებს-სისხლისსამართლებრივ სასჯელს და ნასამართლობას. განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ გ. ხ-ე მიუაკუთრების მიზნით დაეუფლა სხვის ქონებას, რასაც თავადაც არ უარყოფდა (დევნის შეწყვეტის შესახებ 13.04.16წ. დადგენილებით დასტურდება, რომ ბრალდებული აქტიურად თანამშრომლობდა გამოძიებასთან, აანაზღაურა მიყენებული ზიანი, აღიარა ჩადენილი დანაშაული და თანხმობა განაცხადა განრიდებაზე, 13.04.16წ. განრიდების შეთავაზების ოქმის თანახმად, გ. ხ-ეს განემარტა, რომ განრიდების პირობების შესრულება ნებაყოფლობითია). საქმის მასალებით დასტურდება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განრიდების პირობას წარმოადგენდა გ. ხ-ის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც გ. ხ-ის მიერ სრულად იქნა შესრულებული, ... მეხსიერების ბარათი 24.02.2016წ. ნებაყოფლობით იქნა წარმოდგენილი გ. ხ-ის მიერ ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში. პირის მიმართ განრიდების გამოყენება გამორიცხავს ნასამართლობას, ვინაიდან სასამართლო არ მსჯელობს პირის ბრალეულობაზე და შესაბამისად განაჩენის გამოტანა არ ხდება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, თუმცა გ. ხ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტა არ ადასტურებს, რომ მას არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დისციპლინური სამართალდარღვევა. სისხლის სამართლის და დისციპლინურ წარმოებას შორის სხვაობა უდაოდ არსებობს, დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განსხვავებული ბუნებისაა, მათ განსხვავებული მიზნები, მტკიცების სტანდარტები და შემადგენელი ელემენტები აქვთ, დისციპლინური წარმოება არ ცვლის სისხლისსამართლებრივს (ადა-

მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 08.06.1976წ. გადან-
ყვეტილება საქმეზე „ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღ-
მდეგ“ (§81,82), 28.01.1983წ. გადანყვეტილება „ალბერი და ლე კომ-
პტი ბელგიის წინააღმდეგ“, §25). ამასთანავე, განაჩენის არარსე-
ბობა არ ადასტურებს დისციპლინური ღონისძიების გამოყენების
შეუძლებლობას, საქმეში დაცული მტკიცებულებების ადმინისტრა-
ციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ შეფასების შეუძ-
ლებლობას (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
11.02.2003წ. გადანყვეტილება „ი. ნორვეგიის წინააღმდეგ“, §41).
მსგავს საქმეში, რომელშიც სისხლისსამართლებრივ ბრალდებაში
გამართლებული პოლიციელი სამსახურიდან გათავისუფლდა, ადა-
მიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დის-
ციპლინურ სამართალწარმოებასა და სისხლისსამართლებრივ
მსჯავრებას განსხვავებული მტკიცების სტანდარტი აქვს. დის-
ციპლინური წარმოების ფარგლებში დგინდება არა პოლიციელის
დანაშაული, არამედ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევა, გა-
მამტყუნებელი განაჩენის არარსებობა არ ადასტურებს პირისათ-
ვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სისხლის სამართლის საქ-
მეში დაცული მტკიცებულებების ადმინისტრაციული საქმის გან-
მხილველი სასამართლოს მიერ შეფასების შეუძლებლობას (იხ. საქ-
მე „სიკიჩი ხორვატიის წინააღმდეგ“ 15.07.2010, №9143/08, §53-55).
მართალია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში
24.09.2010წ. კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად სისხლის
სამართლის აქტს არ აქვს პრეიუდიციული ძალა, თუმცა აღნიშნუ-
ლი არ გამოორიცხავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირე-
ბით მიღებული პროცესუალური აქტების მტკიცებულებად მიღე-
ბასა და მათი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთმეჯერებით შე-
საბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას (სუს 22.01.2015წ.
განჩინება, საქმე №ბს-144-141(2კ-14)).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე,
რომ განრიდება არ გამოუწვევია ავტომატურად დისციპლინური
პასუხისმგებლობის დაკისრება, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩა-
ატარა დისციპლინური წარმოება, სამართალდარღვევის ჩადენა გ.
ხ-ემ სრულად აღიარა არა მხოლოდ სისხლის სამართალწარმოების
პროცესში. საქმეში დაცულია საქართველოს შს სამინისტროს გე-
ნერალური ინსპექციის საქმე №1293105 გ. ხ-ის მიმართ ჩატარებუ-
ლი სამსახურებრივი შემონმების შედეგებზე. საქმეში დაცულია
სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შემდეგ შს სამინისტროს
გენერალური ინსპექციისათვის 27.04.2016წ. მიცემული ახსნა-გან-
მარტების ხელნერილი დანერილი გ. ხ-ის მიერ, რომელშიც ის უთი-
თებს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა მესხიერების ბა-

რათი, ახსნა-განმარტებაში გ. ხ-ე აღნიშნავს, რომ სრულად აცნობიერებდა ჩადენილ ქმედებას, თავს გრძნობდა დამნაშავედ. ამდენად, უდანაშაულობის პრინციპის გაფართოება და მისი მოქმედების გავრცელება მოცემულ შემთხვევაზე დაუშვებელია, რადგან დისციპლინურ წარმოებაში მოსარჩელემ დაადასტურა სამართალდარღვევის ჩადენა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართალწარმოება დასრულდა განრიდებით და გ. ხ-ეს არ დაკისრებია სისხლისსამართლებრივი სასჯელი. შესაბამისად სახეზე არ არის სისხლისსამართლებრივ სასჯელთან ერთად პირისათვის დისციპლინური სასჯელის დაკისრება, ამდენად სახეზე არ არის აგრეთვე ერთი და იგივე სამართალდარღვევისათვის ორჯერ დასჯა. ამდენად, გენერალური ინსპექციის უფროსის დასკვნა იმის შესახებ, რომ გ. ხ-ის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების მიუხედავად, მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას და ეწინააღმდეგება შს სამინისტროს მოსამსახურეთათვის დადგენილი ქცევის წესებს და ეთიკის ნორმებს – საფუძვლიანია, შედგენილია უფლება-მოსილების ფარგლების დაცვით (შს მინისტრის 13.03.2015წ. №123 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების“ 4.2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), შესაბამისად არსებობდა შს მინისტრის 08.06.2016წ. №1401854 ბრძანებით გ.ხ-ის სამსახურიდან დათხოვნის კანონიერი საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გათავისუფლების მართლობიერება გამორიცხავს სამსახურში აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თავის მხრივ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოხელის აღდგენის შემთხვევაშია შესაძლებელი, კანონზომიერი გათავისუფლება გამორიცხავს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება იმაზე, რომ უკანონოდ გათავისუფლება ინვეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გასამრჯელოსთან დაკავშირებით გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში გაუგებარია სააპელაციო პალატის მითითება ვინმე რ. ხ-ის გაცდენილი პერიოდის თანამდებობრივი სარგოს სამსახურიდან გათავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე ანაზღაურების საჭიროებაზე (გასაჩივრებული გადანყვეტილების 43-ე გვ.). ამდენად, ვინაიდან არ არსებობს გ. ხ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი (სზაკ-ის 60-ე მუხ.), დაუშვებელია გ. ხ-ის სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას უკავშირებს მის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტს, თუმცა კანონმდებლობა გამონაკლისის სახით უშვებს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევებს. ასეთ დროს გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცევა მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, რაც დასაშვებია კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში ან ისეთი გარემოებების სარწმუნოდ დადასტურებისას, რომელთა დადგომა მომავალში გადაწყვეტილების აღსრულებას შეუძლებელს გახდის. სსკ-ის 268-ე მუხლი ჩამოთვლილი პირობების არსებობას უკავშირებს სასამართლოს უფლებამოსილებას და არ ზღუდავს იმპერატიულობით, რაც იმას ნიშნავს, რომ საპროცესო მხარე, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას დამაჯერებლად უნდა ადასტურებდეს და ასაბუთებდეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების აუცილებლობას, სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების მნიშვნელობას მოცემულ ეტაპზე. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლის არ არსებობის გამო აზრს კარგავს სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიღებაზე უაზრის თქმის კანონიერებაზე მსჯელობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, სამსახურიდან გათავისუფლების დროს დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია. დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, დასაქმებულს არ უნდა წაერთვას იმ შვებულების უფლება, რომელსაც სავარაუდოდ იგი გამოიყენებდა. საჯარო მოსამსახურეთა უფლებამოვალეობანი, რომლებიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონშია რეგლამენტირებული, გამომდინარეობს საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან და საქართველოს კონსტიტუციიდან. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 24-ე მუხლის მიხედვით ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება. ამდენად, დასაქმებულის უფლება ყოველწლიურად ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით რეალიზდება დამსაქმებლის ვალდებულებით უზრუნველყოფის დასაქმებულის ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძლებლობა. „პოლიციის შესახებ“ კანონის 53-ე მუხლით გათვალისწინებულია პოლიციელის ყოველწლიური შვებულებით სარგებლობის უფლება და ხანგრძლივობა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.12.2013წ. ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სო-

ციალური დაცვის და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის“ 2.5 მუხლის თანახმად, მოსამსახურეს კუთვნილი შვებულების დროს ეძლევა შესაბამისი ხელფასი (ფულადი სარგო), წელთა ნამსახურობის და სხვა სპეციალური დანამატები და კომპენსაციები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შვებულება არის დასაქმებულის უფლება, რომლის რეალიზება დასაქმებულის ნების გამოვლენაზეა დამოკიდებული. სამსახურიდან გათავისუფლების წინა წლის (2015წ.) პერიოდის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წინა წლის შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანის წესი სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წესრიგდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად. შრომის კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. შვებულების მომდევნო წლისათვის გადატანა შესაძლებელია ორი პირობის არსებობის შემთხვევაში, კერძოდ დასაქმებული უნდა იყოს თანახმა, ამასთანავე დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე. კანონის აღნიშნული დანაწესი ანაზღაურებადი შვებულების გადატანის საშუალებას იძლევა, თუმცა არა უმეტეს ზედიზედ ორი წლის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში სასკის 17.1 მუხლით დადგენილი წესით მოსარჩელეს-გ.ხ-ეს უნდა დაედასტურებინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ შვებულების უფლების გამოყენების თაობაზე მოთხოვნა წარდგენილი ჰქონდა, რამეთუ შრომის კოდექსის 21.1. მუხლი ანიჭებს დასაქმებულს უფლებას ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით, ხოლო აღნიშნული უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია დასაქმებულის ნება, რომელიც უნდა მიუვიდეს დამსაქმებელს (იხ. სუს 26.03.2010წ. №ას-836-1122-09). საქმის მასალებით არ დასტურდება გ. ხ-ის მიმართვა კუთვნილი შვებულების გაცემაზე ან გადავადებაზე და ადმინისტრაციის უარი კუთვნილ შვებულებაში გამვებაზე ან გადავადებაზე. ამდენად, გათავისუფლებამდე წინა წლის გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველო მონაწილეა „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ 04.06.1936წ. კონვენციის (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 22.02.1995წ. დადგენილებით), კონვენცია ითვალისწინებს საშვებულებო დახმარების ანაზღაურებას იმ პირი-

სათვის, რომელიც კუთვნილი შვებულების გამოყენებამდე გათავისუფლებულია დამსაქმებლის მიზეზით. კონვენციის მიხედვით დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა (მე-6 მუხ). კონვენციით განსაზღვრული პირთა წრის (1-ლი მუხ.) გათვალისწინებით, სადავო სამართალურთიერთობათა მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენება არ დაიშვება, თუმცა ხსენებული ნორმის მსგავს რეგულაციას ითვალისწინების აგრეთვე ეროვნული კანონმდებლობაც. მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლება განაპირობა გ. ხ-ის არამართლზომიერმა ქმედებამ, გათავისუფლება მოხდა ადმინისტრაციის ინიციატივით, რომელმაც გამოსცა გ. ხ-ის სამსახურიდან გათავისუფლების აქტი. რადგანაც დათხოვნილი მუშაკისათვის შვებულების მიცემა შეუძლებელია, ხდება გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციის გაცემა. შკ-ის 21.4 მუხლის თანახმად დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შკ-ის 37.1 მუხლის „ა“, „ვ“-„თ“, და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, მათ შორის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შემთხვევაში (37-ე მუხ. „ზ“, „თ“ ქვპ.). სადავო პერიოდში მოქმედი 31.10.1997წ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა მოსამსახურეთათვის ყოველწლიურ ანაზღაურებად შვებულებას 30 კალენდარული დღის ოდენობით. მოხელის უფლება ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არ არის დამოკიდებული სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის, სამსახურში აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შვებულებით ისარგებლობის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას ყოველგვარი წინაპირობების გარეშე უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ამ უფლების სამართლიანი რეალიზაცია. მოცემულ შემთხვევაში დასტურდება, რომ გ. ხ-ემ ვერ ისარგებლა 2016 წ. კუთვნილი ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებით, დამსაქმებლის ბრძანებით, ე.ი. დამსაქმებლის ინიციატივით სამსახურიდან გათავისუფლების გამო გ. ხ-ემ ვერ ისარგებლა კუთვნილი შვებულებით, რომლითაც იგი სავარაუდოდ ისარგებლებდა. ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ეტაპზე ამ უფლების პირდაპირი აღდგენა შეუძლებელია, მოსარჩელის უფლების აღდგენა უნდა მოხდეს გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკაცო სასამართლო თვლის, რომ კასატორების შს სამინისტროს

და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივრების მოთხოვნა 2016 წლის შვეტულების თანხის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ არ არის დასაბუთებული.

სასკ-ის მე-9 მუხლის, აგრეთვე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელე და მოპასუხე გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სსკ-ის 55.3 მუხლის შესაბამისად, როდესაც ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, საქმეზე განეულ ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. სოციალურ დავებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლება არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში საქმის განხილვის პროცესში დავასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების საკითხის გადაწყვეტის საჭიროებას. სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსკ-ის 37.3 მუხ.). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ სამოქალაქო კოდექსის მუხლებში (სკ-ის 709-722 მუხ.) გათვალისწინებული არ არის სპეციალური მოთხოვნა ხელშეკრულების ფორმის თაობაზე, თუმცა დაცული უნდა იქნეს სკ-ის 709-ე მუხლის მოთხოვნა მარწმუნებლის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების მინდობილობის გაცემის შესახებ, რათა წარმომადგენელმა შეძლოს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელე-

ბა. ვინაიდან მინდობილობის შინაარსი და დავალების შინაარსი არ არის ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტი, არ გამოირიცხება მათი ერთ დოკუმენტში – მინდობილობაში მოქცევა. საქმეში დაცულია სანოტარო წესით დამონმებული განუსაზღვრელი ვადით გაცემული მინდობილობა, რომლითაც განისაზღვრა ადვოკატის უფლებამოსილება და ვალდებულება დაიცვას მოსარჩელის ინტერესი. საქმეში დაცულია 17.07.14წ. №140748204 რწმუნებულება/მინდობილობა, თუმცა არ მოიპოვება ადვოკატისათვის თანხის გადახდის ქვითარი, რაც იმთავითვე არ გამოირიცხავს განეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას (იხ.ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“ §145, §146). მარწმუნებელსა და ადვოკატს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მატერიალური საფუძველია დავალების ხელშეკრულება (სკ-ის 709-ე მუხ.), მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სკ-ის 710-ე მუხ.). განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოცემულ შემთხვევაში პრეზიუმირებულია, ვინაიდან სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ხოლო ადვოკატის მომსახურების ღირებულება საპროცესო კანონმდებლობის თანახმად წაგებულ მხარეს უნდა დაეკისროს. იურიდიული მომსახურების განევის შემთხვევაში ივარაუდება მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობა, საწინააღმდეგო საჭიროებს დამტკიცებას. საქმეში დაცული რწმუნებულება/მინდობილობა არ შეიცავს დათქმას იურიდიული დახმარების უსასყიდლოდ განევის შესახებ. 17.07.2014წ. №140748204 რწმუნებულების თანახმად დავალების შესასრულებლად მარწმუნებელმა იკისრა ვალდებულება გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პროცესის ხარჯების ანაზღაურების, მეორე მხარისათვის წარმომადგენლობითი ხარჯების გადახდის დაკისრების საკითხი სასამართლოს მიერ წყდება მხარის მიერ მისი დასმის შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების საკითხი სარჩელის აღძვრისთანავე დაისვა სასამართლოს წინაშე. იურიდიული დახმარება მოიცავს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, წარმომადგენლობას სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოში („იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „ა“ ქვბ.). ხსენებული მინდობილობის საფუძველზე ხორციელდება მოსარჩელის დაცვა სასამართლოში წარმომადგენლის მიერ. საქმის

მასალებით დასტურდება ადვოკატის მიერ გ. ხ-ისათვის იურიდიული მომსახურების ყველა ინსტანციაში განევა. ამდენად სასამართლომ უნდა განიხილოს არა მარნმუნებლის მიერ ადვოკატისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება, არამედ საქმის მასალებით დადასტურებული ადვოკატის მიერ მარნმუნებლისათვის განეული მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების საკითხი. მარნმუნებელსა და ადვოკატს შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების გადახდის ქვითრის, საგადასახადო დავალების შესრულების დოკუმენტაციის წარუდგენლობა, არ გამორიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება წარმომადგენლობითი მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება მოითხოვდა სასამართლოსგან ადვოკატის მიერ განეული მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრებას (სუს 14.07.2016წ. №ბს-776-768(2კ-4კს-15) გადანყვეტილება), ვინაიდან მხარის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით მომსახურება განეულია. საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან არსებობს გ. ხ-ის საკასაციო საჩივრის და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად არსებობს წარმომადგენლობაზე განეული ხარჯის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების წინაპირობა, ამ ნაწილში ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების ოდენობა უნდა განისაზღვროს სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობითი საქმიანობის შედეგის – მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილების გათვალისწინებით. ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს სსსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებით, აგრეთვე მხედველობაში იღებს საქმის სირთულეს, უფლების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობას, ხანგრძლივობას და სხვა გარემოებებს.

დაუსაბუთებელია კასატორის შუამდგომლობა სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯების სახით საქმის განხილვის უზრუნველსაყოფად საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საკასაციო საჩივარზე, შესაგებელზე, მათ ასლებზე დახარჯულ ქალაქდებზე (100

ლ.), ასლებზე (50ლ.), აკინძვაზე (5 ლ.), საფოსტო მომსახურებაზე განეული ხარჯების (50ლ.), სასამართლოში გამოცხადებისათვის ტრანსპორტზე (100ლ.), გამოცხადების პერიოდში აუცილებელ კვებაზე (300ლ.), განეული დანახარჯების ანაზღაურებაზე, ასევე სასამართლოში მოცდენილი დროის ანაზღაურების (7000 ლ.) დაკისრება მოპასუხეებისათვის. პროცესის ხარჯები, რომელიც შედგება სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლებებისა დასაცავად (აღსადგენად) განეულ(გასანეე) ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს სარჩელზე დამდგარი შედეგის შესაბამისად და პროპორციულად, როგორც პროცესულური მოთხოვნა. კასატორი შუამდგომლობს სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების მონინალმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მონინალმდეგე მხარეებს გ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯი – 50 ლარის ოდენობით, რასთან დაკავშირებითაც კასატორები – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური არ გამოთქვამენ პრეტენზიას წარმოდგენილ საკასაციო საჩივრებში, გადაწყვეტილების აღნიშნულ ნაწილს არ ასაჩივრებს არც კასატორი – გ. ხ-ე. სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების გამო, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ეს ნაწილი უცვლელად უნდა დარჩეს. რაც შეეხება საკასაციო ინსტანციაში განეული ხარჯის ასანაზღაურებლად თანხების მოთხოვნას, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნის ეს ნაწილი არის დაუსაბუთებელი. საკასაციო პალატის მიერ საქმე განხილულია სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, შესაბამისად უსაფუძვლოა ტრანსპორტის, კვების, სასამართლოში დროის დაკარგვის მოთხოვნა, რაც შეეხება ქალაქზე, ასლებზე, მასალების აკინძვაზე დანახარჯის ანაზღაურებას, კასატორს არ წარმოუდგენია ამ მიმართულებით დანახარჯების განევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს შს სამინისტროს და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივრები, აგრეთვე გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელის მოთხოვნა სადავო აქტის ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის შესახებ ახალი აქტის გამოცემის, იძულებითი განაცდურის და 2015 წლის შვებულების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს,

უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2016 წლის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების და სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის (50ლ.) მოპასუხებისათვის დაკისრების მოთხოვნის დაკმაყოფილების, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების ნაწილში, მოპასუხებს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ საადვოკატო მომსახურების ხარჯი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის გ. ხ-ის სასარგებლოდ 2016 წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურების, მონინაალმდეგე მხარეებისათვის გ. ხ-ის სასარგებლოდ სასამართლოსგარეშე პროცესის ხარჯის – 50 ლარის ოდენობით დაკისრების, აგრეთვე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების ნაწილში დარჩეს ძალაში;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

5. გ. ხ-ის სარჩელი „გ. ხ-ის დისციპლინური წესით დასჯისა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 08.06.2016წ. №1401854 ბრძანების ბათილად ცნობის, გ. ხ-ის აჭარის ა/რ საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქ. ბათუმის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ქ. განყოფილების უმცროსი ინსპექტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის გ. ხ-ის სა-

სარგებლოდ, 2016 წლის 1-ლი მაისიდან მოსარჩელის აღდგენამდე, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალებისა და 2015 წლის კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების ნატურით ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გ. ხ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ საადვოკატო მომსახურების ხარჯის 300 ლარის ოდენობით ანაზღაურება;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან გათავისუფლების კანონიერება

ჩატარებული ატესტაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-188-188(3კ-18)

10 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძუ-
ლებითი განაცდურის ანაზღაურება და დისკრიმინაციის ფაქტის
დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ააიპ „...“, ვ. კ-ამ, მ. ქ-ამ, ფ. ბ-ამ, ა. ა-ამ, თ. ჯ-ამ, გ. ჯ-ამ, ე. გ-ამ
და გ. შ-ამ 2016 წლის 19 დეკემბერს სარჩელი აღძრეს ზუგდიდის
რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების – ზუგდიდის მუნიციპა-
ლიტეტის გამგეობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობ-
რივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი სა-
კონკურსო-საატესტაციო კომისიის მიმართ. მოსარჩელებმა სარ-
ჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ მოითხოვეს: ზუგდიდის
მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო
მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის
2016 წლის 18 ნოემბრის №11 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის (წერილობითი კორესპონდენციის) და ამა-
ვე ადმინისტრაციული ორგანოს 2016 წლის 14 ნოემბრის №3 სხდო-
მის ოქმის ამონაწერის ბათილად ცნობა; ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-
ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას და კ. კ-ას სამსახურიდან გათავისუფლე-
ბის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვით-
მმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-
საატესტაციო კომისიის 2016 წლის 25 ნოემბრის გაფრთხილების
ბათილად ცნობა; ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ.
შ-ას, კ. კ-ას შესახებ მსჯელობის ნაწილში ზუგდიდის მუნიციპა-

ლიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 24 ნოემბრის №4 სხდომის ოქმის ამონაწერის ბათილად ცნობა; ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას და კ. კ-ას მიმართ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 19 დეკემბერს მიღებული სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებების ბათილად ცნობა; ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას და კ. კ-ას სამსახურებში აღდგენა, იძულებით განაცდურის ანაზღაურება 2016 წლის 26 დეკემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, თითოეული მოსარჩელისათვის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს – 1300 ლარის ოდენობით გადახდა და მიუღებელი პრემიის ჩარიცხვა 25 დღის თანამდებობრივი სარგოს (775 ლარის) ოდენობით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 12 იანვრის განჩინებით მოსარჩელე გ. ჯ-ას წარმომადგენლის – მ. მ-ის განცხადება გ. ჯ-ას ნაწილში სარჩელის უკან გამოხმობისა და საქმის განუხილველად დატოვების თაობაზე დაკმაყოფილდა. მოსარჩელე გ. ჯ-ას ნაწილში ადმინისტრაციული საქმე №... (3/279-16) დარჩა განუხილველი მოსარჩელის მიერ სარჩელის უკან გამოხმობის გამო.

კ. კ-ამ 2017 წლის 23 იანვარს სარჩელი აღძრა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიმართ. მოსარჩელემ კ. კ-ას საკვალიფიკაციო მოთხოვნების არაადამაკმაყოფილებლად მიჩნევის ნაწილში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 24 ნოემბრის №4 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა, სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ 2016 წლის 25 ნოემბრის №3024 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 19 დეკემბრის №3579 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და 2016 წლის 26 დეკემბრიდან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 15 მარტის განჩინებით სასამართლოს წარმოებაში არსებული №... (3/13-17) და №... (3/279-16) ადმინისტრაციული საქმეები, მათი სწრაფად და ეფექტურად განხილვის ინტერესიდან გამომდინარე გაერთიანდა ერთ

წარმოებად და საქმეებს მიენიჭა საერთო ნომერი – 3/279-16.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... სარჩელი, მოპასუხე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2016 წლის 14 ნოემბრის №3 სხდომის ოქმის ამონაწერი და 2016 წლის 18 ნოემბრის №11 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ნერილი) ა(ა)იპ ... ნაწილში, რომლითაც ა(ა)იპ ... წარმომადგენელს უარი ეთქვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ატესტაციის პროცესზე დაკვირვებაზე; ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას და კ. კ-ას სარჩელი, მოპასუხეების – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი: 2016 წლის 24 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო

კომისიის მიერ მიღებული №4 საოქმო გადაწყვეტილება ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას და კ. კ-ას გასაუბრების ეტაპზე შეფასების შესახებ მსჯელობის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 25 ნოემბრის გაფრთხილება ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას და კ. კ-ას ატესტაციის არადაამკმაყოფილებელი შედეგების გამო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 19 დეკემბრის №3580 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან ვ. კ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგეობის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 19 დეკემბრის №3581 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან მ. ქ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგეობის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა

ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3585 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან ფ. ბ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3568 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან ა. ა-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3588 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან თ. ჯ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3574 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან ე. გ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3572 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან გ. შ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3579 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან კ. კ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის ადგილობრივი შემოსავლების განყოფილების ... თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედ კომისიას დაევალა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას და გ. შ-ას ჩაუტაროს ატესტაციის გასაუბრების ეტაპი და ატესტაციის შედეგებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდგომ, საქმის გარემოებათა სრულყოფილი შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე სადავო საკითხთან დაკავშირებით ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას და გ. შ-ას მიმართ გამოსცეს ახალი ინდივიდუ-

ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; კ. კ-ას სასარჩელო მოთხოვნები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის ადგილობრივი შემოსავლების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. კ-ამ, მ. ქ-ამ, ფ. ბ-ამ, ა. ა-ამ, ე. გ-ამ, გ. შ-ამ, თ. ჯ-ამ, კ. კ-ამ; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას, თ. ჯ-ას, კ. კ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება ნაწილობრივ; ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას, თ. ჯ-ას, კ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი: 2016 წლის 24 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ მიღებული №4 საოქმო გადაწყვეტილება ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას და კ. კ-ას გასაუბრების ეტაპზე შეფასების შესახებ მსჯელობის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 25 ნოემბრის გაფრთხილება ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას და კ. კ-ას ატესტაციის არადაამკმაყოფილებელი შედეგების გამო თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 19 დეკემბრის №3580 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან ვ. კ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგეობის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 19 დეკემბრის №3581 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან მ. ქ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგეობის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა

ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3585 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან ფ. ბ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3568 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან ა. ა-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3588 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან თ. ჯ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3574 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან ე. გ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ადმინისტრაციული ერთეულის სპეციალისტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3572 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან გ. შ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის №3579 ბრძანება 2016 წლის 26 დეკემბრიდან კ. კ-ას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის ადგილობრივი შემოსავლების განყოფილების ... თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; დანარჩენ ნაწილში ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას, თ. ჯ-ას, კ. კ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება ა(ა)იპ ... სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში დარჩა უცვლელი.

ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, გ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას წარმომადგენელი მ. მ-ემ 2017 წლის 29 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების დაუსოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 იანვრის განჩინებით ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, გ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას წარმომადგენლის მ. მ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ; ვ. კ-ამ, მ. ქ-ამ, ფ. ბ-ამ, ა. ა-ამ, ე. გ-ამ, გ. შ-ამ, თ. ჯ-ამ და კ. კ-ამ.

კასატორებმა – ვ. კ-ამ, მ. ქ-ამ, ფ. ბ-ამ, ა. ა-ამ, ე. გ-ამ, გ. შ-ამ, თ. ჯ-ამ და კ. კ-ამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას, თ. ჯ-ასა და კ. კ-ას მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა მოითხოვეს.

კასატორების მოსაზრებით გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილი დაუსაბუთებელია შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებათა გამო: სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ იმსჯელა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე, არ მისცა მათ სათანადო შეფასება და არ გამოიყენა ისინი საქმეში არსებული გარემოებების არსებობა-არარსებობის დადგენისთვის, კონკრეტულად იმ გარემოებებისა, რომლებიც კასატორების მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე მიუთითებენ, ეს კი ხელს შეუწყობდა სასარჩელო მოთხოვნის ნამდვილად არსის – დისკრიმინაციული მოპყრობისა და შევიწროების გამოვლენას. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად სასამართლომ მიიჩნია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მხრიდან მოსარჩელეთა ატესტაციის განხორციელებისას არ დადგინდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია. სასამართლომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი განიხილა დისკრიმინაციის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული უგულებელყოფით. განსაკუთრებულად კი ეს უკავშირდება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს. კერძოდ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებულია, რომ დისკრიმინაციის საქმეებზე მტკიცების ტვირთი აწევს მოპასუხეს, მას შემდეგ, რაც მოსარჩელე წარადგენს სავარაუდო დისკრიმინაციის შესახებ მტკიცებულებებს. სასამართლომ არ გამოიყენა ანტიდისკრიმინაციული კანონით გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტი და მაინც მოსარჩელებს დააკისრა მტკიცების ტვირთი. სასამართლომ ვერ დაინახა, რომ დასაბუთებული ვარაუდით დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების პი-

რობებში, დისკრიმინაციული მოპყრობის პრეზუმფციით უნდა იმოქმედოს და მოპასუხე მხარეს დააკისროს დისკრიმინაციის გაქარწყლების ტვირთი.

კასატორების მოსაზრებით საქმეში არსებობდა, საკმარისი მტკიცებულებები საიმისოდ, რომ მოსამართლეს გამოეყენებინა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი კერძოდ: აპელანტები, იყვნენ გამგებლის წარმომადგენლები იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც მმართველმა პარტიამ და მის მიერ წარდგენილმა მაჟორიტარმა კანდიდატებმა წააგეს საპარლამენტო არჩევნების პირველი ტური. გამონაკლისია სოფელი ..., სადაც დაფიქსირდა მმართველი ძალის მცირე უპირატესობა, წინასაარჩევნო პერიოდში, მესამე პირების საშუალებით, განმცხადებლებს თხოვდნენ მათ ადმინისტრაციულ ერთეულებში, ამომრჩეველთა მობილიზაციას (იხ. გ. ს-ას ჩვენება, თან ერთვის საქმეს), საკონკურსო-საატესტაციო კომისია დაკომპლექტებული იყო ძირითადად ... პარტიის წევრებით (იხ. ფოტო-მასალა, თან ერთვის საქმეს), ერთ-ერთი აპელანტის – ვ. კ-ას მიმართ წინასაარჩევნო პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობდა ზენოლა, მისი გადმობირების მიზნით, რისი კონკრეტული გამოხატულებაც გახლდათ, მაშინდელი გამგებლის ე. თ-ას მიერ მისთვის მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფა (იხ. საგაზეთო პუბლიკაციები თან ერთვის საქმეს) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ... სამსახურის უფროსის – მ. დ-ას მიერ გახმოვანებული ინფორმაციის შესაბამისად, გამგეობა წინასაარჩევნო პერიოდში ზენოლას ახდენდა ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებზე, განსაკუთრებით კი ვ. კ-აზე (იხ. საგაზეთო სტატია) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წინასაარჩევნო პერიოდში განაცხადა მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც არ ჩატარებულა, ინფორმაციის გასაჯაროება კი ემსახურებოდა საჯარო მოხელეთა დაშინებას, მმართველი პარტიისთვის დახმარების აღმოუჩენლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგების შესახებ (საგაზეთო სტატია, მოსარჩელეთა ახსნა-განმარტებები) არასამთავრობო ორგანიზაციებს არ მიეცა შესაძლებლობა დასწრებოდნენ ატესტაციის პროცესს, რის გამოც კომისიამ გადაწყვეტილებები მიიღო დახურულ კარს მიღმა, გამჭვირვალობის პრინციპის დარღვევით (იხ. გადაწყვეტილება დაკვირვების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ), რაც მიზნად ისახავდა სისტემისთვის მიუღებელი საჯარო მოხელეების გათავისუფლებას, კ. კ-ას წინასაარჩევნო პერიოდში გამგებლის ცოლის ძმამ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა იმ მიზეზით, რომ ის მოიაზრებოდა გ. ს-ას ახლო მეგობრად და „...“ მხარდამჭერად (იხ. გ. ს-ას ჩვენება), შესაბამისად, პოლიტიკური ნიშნით დის-

კრიმინაციის ფაქტი გონივრულად იყო დასაბუთებული. საქმის განმხილველმა მოსამართლემ მიიჩნია, რომ პოლიტიკური ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის თაობაზე მოსარჩელე მხარის მითითების შესახებ სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაარღვია გამჭვირვალობის პრინციპი და, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა გასაუბრების პროცესის მიმდინარეობის შემოწმება, რთულია პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის გამოკვლევა. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ პრესიდან ამონარიდი შესაძლოა იყოს დამხმარე საბუთი და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფაქტის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად. აღნიშნულით მოსამართლე შეენიშნა აღმდგენი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას, კერძოდ: „მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად მყარი, ნათელი და თანმხვედრი დასკვნებიდან ან ფაქტების ცალსახა პრეზუმციიდან (იხ. საქმე ლარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ). სასამართლომ მიიჩნია, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მხრიდან მოსარჩელეთა ატესტაციის განხორციელებისას არ დადგინდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლომ არ შეამოწმა დისკრიმინაციის შესაძლო არსებობა იმ ტესტის მიხედვით, რომელსაც დისკრიმინაციის საქმეზე იყენებს საკონსტიტუციო სასამართლო, როცა მოსარჩელე დავობს დისკრიმინაციაზე, უპირველესად უნდა შემოწმდეს ჰქონდა თუ არა განსხვავებულ მოპყრობას ადგილი, როდესაც დადგინდება განსხვავებული მოპყრობა, უნდა შემოწმდეს იყო თუ არა მოპყრობა გონივრული, დასაბუთებული და ემსახურებოდა თუ არა კანონიერი მიზნის მიღწევას. პოსტსარჩევნო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განვითარებული მოვლენები წარმოადგენს პოლიტიკური ნიშნით შეუწყნარებლობისა და სიძულვილის კლასიკურ შემთხვევას იმ ადამიანების მიმართ რომლებიც ასოციაციურად დაკავშირებულები იყვნენ ოპოზიციურ პარტიებთან სასამართლო კი ამონიშნავს აქტის მხოლოდ ფორმალური კანონიერების კომპონენტებს და მხოლოდ გაკვრით ეხება დისკრიმინაციის საკითხებს, გამოაქვს არასწორი დასკვნები და მოპასუხეს მთლიანად ათავისუფლებს მტკიცების ვალდებულებისაგან, კერძოდ, მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოების შესახებ, რომ ატესტაციის შედეგად სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში თანამდებობაზე დარჩნენ გამგებლის წარმომადგენლები, რომლებიც მმართველი გუნდის მხარდამჭერებად არ მოიაზრებოდნენ და ამ კუთხით დაეყრდნო მხოლოდ საკონკურსო-საატეს-

ტაციო კომისიის წევრთა ჩვენებებს, რომლებიც ისედაც დაინტერესებულები იყვნენ განსახილველი დავის შედეგებით. ამასთან, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ.

კასატორმა – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელეთათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი აღნიშნავს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2016 წლის 17 და 18 ნოემბერს ჩატარებული საჯარო მოხელეთა ატესტაციის შედეგად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნით დადგინდა, რომ მოსარჩელები არ შეესაბამებოდნენ დაკავებულ თანამდებობას, სწორედ კომისიის დასკვნის საფუძველზე გამგებლის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, თ. ჯ-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას და კ. კ-ას მიმართ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 ნოემბრის „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელის გაფრთხილება ატესტაციის არა-დამაკმაყოფილებელი შედეგების გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 დეკემბრის ბრძანებები მოსარჩელეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

კასატორის მოსაზრებით გამგებლის გადაწყვეტილება გაფრთხილებისა და გათავისუფლების შესახებ მიღებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობის, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნისა და იმ დროისთვის მოქმედი საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 98-ე და 108-ე მუხლების შესაბამისად. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ ძალაში უნდა დარჩეს გასაჩივრებული აქტები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 მარტის განჩინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 მარტის განჩინებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის, ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას, თ. ჯ-ასა და კ. კ-ას საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის, ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას, ა. ა-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას, თ. ჯ-ასა და კ. კ-ას საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივრები არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გა-

დანყვეტილებების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორები ვერ ასაბუთებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორები საკასაციო საჩივრებში ვერ აქარწყლებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v. France (dec.); Perez v. France [GC], par. 81).

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა. რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ 2016 წლის 18 ნოემბერს ჩატარებული ატესტაციის შედეგად მათი სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერებას, ითხოვდნენ დაკავებულ თანამდებობებზე აღდგენას, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას და დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული აქტები. ამასთან, მოსარჩელე ფიზიკურ პირებს უარი ეთქვათ სამსახურში აღდგენის, იძულებითი განაცდურისა და დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საგულისხმოა, რომ ასევე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა წარმომადგენლის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შე-

სახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამსახურში აღდგენის შე-სახებ მოსარჩელეთა მოთხოვნაზე გამოტანილი გადაწყვეტილება და აღნიშნული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებ-ლად მიქცევის შესახებ წარდგენილ შუამდგომლობაზე გამოტანი-ლი განჩინება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში. მოსარჩელე ფიზიკური პირების მიერ საკასაციო განაცხადი წარ-მოდგენილია მხოლოდ გადაწყვეტილების იმ ნაწილის მიმართ, რომ-ლითაც მოსარჩელებს უარი ეთქვათ მათ მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, საკასაციო პალატას არ გააჩნია სამსახურში აღდგე-ნაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-ტილების კანონიერების საპროცესო კანონმდებლობით დადგენი-ლი წესით შემოწმების შესაძლებლობა (სსკ-ის 404.1 მუხ.).

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ ქვედა ინსტანციის სასამართლოების სამართლებრივ დასაბუთე-ბას, რომლის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-თლოს ფორმულირების მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაციის და-სადგენად საჭიროა სახეზე იყოს „განსხვავებული მოპყრობა ანა-ლოგიურ, ან შედარებით ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ“, დაფუძნებული იდენტიფიცირებად მახასიათებელზე. დისკრიმინაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია არა-კეთილმოსურნე მოპყრობა. ამასთან, თანასწორობის პრინციპი გუ-ლისხმობს ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნას, რომელიც უზ-რუნველყოფს ადამიანთა შანსებისა და განვითარების შესაძლებ-ლობების თანასწორობას. შანსების თანასწორობა გამოირიცხავს ნე-ბისმიერ დიფერენციაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მოსაზრებით მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაარღვია გამჭირვალობის პრინ-ციპი და ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა გასაუბრების პროცე-სის მიმდინარეობის შემოწმება, რთულია პირდაპირი დისკრიმინა-ციის ფაქტის გამოკვლევა. ამასთან, რაიმე სახის მტკიცებულება იმი-სა, რომელიც მიუთითებდა ეჭვგარეშე პირად და პოლიტიკურ მო-ტივზე, მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია. ასევე მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მითითება, რომ პრესიდან ამო-ნარიდი შესაძლოა იყოს დამხმარე ხასიათის საბუთი და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფაქტის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცე-ბულებად, რამდენადაც მედიით გავრცელებული ინფორმაცია სან-დოობისათვის საჭიროებს კონკრეტული წყაროს მითითებას და, რო-

გორც წესი, მოითხოვს გადამონმებასა და შესწავლას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის საკასაციო საჩივრის დასაბუთების გაზიარების საფუძველი, რამდენადაც ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, რომ არ არსებობდა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე და 108-ე მუხლებით გათვალისწინებული მოსარჩელების სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაცული „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილებით განსაზღვრული საჯარო მოხელეთა ატესტაციის პრინციპები, პროცედურა, ფორმები და პირობები, რაც ქმნიდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძველს. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორების მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნის საკასაციო საჩივრების დასაშვებად ცნობის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივრებს – წარმატების პერსპექტივა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივრები არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის, ვ. კ-ას, მ. ქ-ას, ფ. ბ-ას,

ა. ა-ას, ე. გ-ას, გ. შ-ას, თ. ჯ-ასა და კ. კ-ას საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამგებლის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-237-237(კ-18)

20 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 16 მარტს მ. ჯ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 თებერვლის №44009 ბრძანების ბათილად ცნობა, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობაზე აღდგენა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად – 1330 ლარის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2014 წლის 15 ივლისიდან დაინიშნა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ..., საიდანაც 2017 წლის 20 თებერვლის №440009 ბრძანების საფუძველზე დაუსაბუთებლად გათავისუფლდა. გამგებელმა მიიჩნია, რომ სადავო აქტის

გამოცემის ნება მისი ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარეობდა და არანაირ დასაბუთებას არ საჭიროებდა. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ გათავისუფლებამდე მის მიმართ არ ყოფილა არც ერთი დისციპლინური სახდელის ზომა გამოყენებული. იგი სამსახურებრივ უფლებამოსილებას ასრულებდა პირნათლად, რის გამოც მის მიმართ ნახალისების ფორმად არაერთხელ იყო გამოყენებული ფულადი ჯილდო. მ. ჯ-ას გამგებელთან ურთიერთობა დაეძაბა მას შემდეგ, რაც არ შეასრულა გამგებლის უკანონო მითითება ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის ხელოვნურად მოწყობის შესახებ. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ გათავისუფლება მოხდა სრულიად უკანონოდ, უსაფუძვლოდ და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. ჯ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 თებერვლის №44009 ბრძანება; მ. ჯ-ა აღდგენილ იქნა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობაზე; ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობას მ. ჯ-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2017 წლის 20 თებერვლიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველთვიურად 1330 ლარის ოდენობით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ჯ-ა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობაზე დაინიშნა 2014 წლის 16 ივლისიდან, მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 1700 ლარს, ხოლო ხელზე ასაღებად – 1330 ლარს. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 თებერვლის №44009 ბრძანებით ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... – მ. ჯ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. იგი თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, ნახალისების ფორმით იღებდა ფულად ჯილდოს. მ. ჯ-ას მიმართ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... დასაქმების პერიოდში სამსახურებრივი უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულებისათვის დისციპლინარული სახდელი (გაფრთხილება/საყვედური და სხვ.) არ გამოყენებულა.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლით განისაზღვრება გამგებლის უფლებამოსილებები, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, გამგებელი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებს. ამავე კანონის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

გამგებლის/მერის პირველ მოადგილეს და მოადგილეს უფლებამოსილებები უწყებებთან ამ კანონის 56-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა-ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, კერძოდ: გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია: ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა; ბ) უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნა; გ) საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლა; დ) გარდაცვალება; ე) სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ვ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა; ზ) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება. მოცემული ნორმების თანახმად, მუნიციპალიტეტის გამგებელს, უფლებამოსილება აქვს, თავისი შეხედულებით, ზოგადი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შეარჩიოს პირი და დანიშნოს მოადგილედ. ასევე, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს გამგებელი. თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმები არ უნდა იყოს განმარტებული იმგვარად, რომ გამგებელს უფლებამოსილება აქვს დაუსაბუთებლად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის, შეფასების გარეშე გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დროს დაცული არ იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოებისათვის სავალდებულო ნორმები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში აღინიშნება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართ-

თლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო აქტში მითითებულია, რომ იგი გამოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“, „ე.ე“ ქვეპუნქტების, 59-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად. სადავო აქტში არ არის მითითებული ის საფუძვლები, რაც გახდა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი პოზიციის დასასაბუთებლად არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი ან ფაქტობრივი გარემოება. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ მტკიცებულებები იმისა, რომ მუდმივად ხდებოდა მოსარჩელის ნახალისება დაკისრებული მოვალეობების სანიმუშოდ შესრულებისათვის. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ განსახილველ საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული სადავო აქტის დასაბუთებად ვერ გამოდგება ის გარემოება, რომ იგი მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლი მიუთითებს, რომ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი, მაგრამ საკასაციო სასამართლომ 2016 წლის 6 დეკემბრის №ბს-475-470(2კ-16) გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „გამგებლის ეს უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და არ ანიჭებს მას დასაქმებული პირის თვითნებურად გათავისუფლების საშუალებას. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება შეზღუდულია კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის მოთხოვნით. მ. ჯ-ა გათავისუფლებული იყო იმ გარემოებაზე მითითებით, რომ გამგებელი უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ასახოს გადაწყვეტილების საფუძველი. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, პასუხს აგებს საკუთარი შეხედულებით მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურობის და მართებულობის უტყუარობაზე.

სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, საჯარო მო-

ხელეთათვის განსაზღვრული გარანტიის პირობებში წარმოიშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების საფუძველს. მოცემულ შემთხვევაში საქმის განხილვით დადგინდა, რომ მ. ჯ-ას მიერ სადავოდ ქცეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ენინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ადმინისტრაციული წარმოების ფუნდამენტურ პრინციპებს, რის გამოც იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ასევე მოსარჩელე აღდგენილ უნდა იქნეს თანამდებობაზე და შესაბამისად, აუნაზღაურდეს განაცდური ხელფასი იმ დრომდე ვიდრე იგი აღდგენილი იქნება თანამდებობაზე (ან კანონით შეუწყდება უფლებამოსილება), ყოველთვიურად 1330 ლარის ოდენობით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ჯ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მ. ჯ-ას თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 20 თებერვლის №44009 ბრძანება; ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა მ. ჯ-ას სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება, ყოველთვიურად 1330 ლარის ოდენობით, მისი სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან – 2017 წლის 20 თებერვლიდან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის არჩევის (უფლებამოსილების დაწყების) დღემდე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა ძირითადად გამოიწვია სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტებამ, რადგან მხარე აღარ ითხოვს სამსახურში

აღდგენას და ასევე განსხვავებულია განაცდური ხელფასის ზიანის სახით ანაზღაურების გამოანგარიშების საბოლოო თარიღიც. ამდენად, პალატამ ძირითადად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიდგომა სადავო საკითხის მიმართ, თუმცა ზემოაღნიშნული შეცვლილი პროცესუალური მდგომარეობის გამო მიიღო ახალი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის 1¹ და 1² პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მოადგილეზე, თუმცა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლით განისაზღვრება გამგებლის უფლებამოსილებები, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, გამგებელი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებს. ამავე კანონის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამგებლის/მერიის პირველ მოადგილეს და მოადგილეს უფლებამოსილებები უწყდებათ ამ კანონის 56-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა-ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლის არსებობისას. მოცემული ნორმების თანახმად, მუნიციპალიტეტის გამგებელს აქვს უფლებამოსილება, თავისი შეხედულებით, ზოგადი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შეარჩიოს პირი და დანიშნოს მოადგილედ. ასევე მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს გამგებელი. თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმები არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ გამგებელს აქვს უფლებამოსილება დაუსაბუთებლად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის, შეფასების გარეშე გამოსცეს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადად ადმინისტრაციული ორგანოები ფუნქციონირებისას, გარდა სპეციალური კანონისა, ხელმძღვანელობენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დროს დაცული არ არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოებისათვის სავალდებულო ნორმები.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტში გარდა სამართლებრივი ნორმებისა, არ არის მითითებული ის საფუძვლები, რაც გახდა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი პოზიციის დასაბუთებლად არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი ან ფაქტობრი-

ვი გარემოება.

სააპელაციო სასამართლომ მეორე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, ხოლო ამავე მუხლის თანახმად, განაცდური ხელფასი ანაზღაურდება მოხელის აღდგენის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში, შეცვლილი ფაქტობრივი ვითარებიდან გამომდინარე, მოსარჩელე აღარ ითხოვს სამსახურში აღდგენას, თუმცა იგი კვლავ ითხოვს განაცდურის ანაზღაურებას, რაც უნდა ანაზღაურდეს სხვა სამართლებრივი საფუძველით – ზიანის სახით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, საჯარო მოხელეთათვის განსაზღვრული გარანტიის პირობებში წარმოიშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ვალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების საფუძველს. კონსტიტუციის ხსენებული დებულება იმპერატიულად ადგენს ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას, მისი რეგულირების სფეროში ექცევა ნებისმიერი ზარალი, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების თანამდებობის პირთა ქმედებით. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის სრული ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას, რაზე მსჯელობაც, ბუნებრივია, უნდა მოხდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, რადგან მ. ჯ-ას მიერ სადავოდ ქცეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რის გამოც იგი ბათილად იქნა ცნობილი, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი მის მიერ მითითებული ოდენობით. კერძოდ, მოპასუხეს უნდა დაეკისროს მ. ჯ-ას სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება, ყოველთვიურად 1330 ლარის ოდენობით მისი სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან – 2017 წლის 20 თებერვლიდან 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ადგილის მუნიციპალი-

ტეტის მერის არჩევის (უფლებამოსილების დაწყების) დღემდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 59-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილები. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო აღნიშნულ მუხლთან მიმართებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დამოკიდებულება, რომელიც უშუალოდ ადგენდა საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს და მიუთითებდა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს, გამგებლის ... არ ვრცელდებოდა. აღნიშნული ნორმის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი მმართველობის განხორციელება, რაც გულისხმობს რესურსების გონივრული გამოყენების გზით იმ შედეგის მიღებას, რომელიც პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა განესხვავებინა პოლიტიკური თანამდებობა ბიუროკრატიული ადმინისტრაციისაგან. ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა საჯარო მმართველობის განხორციელებელი და პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი პირების გამიჯვნა, ერთი მხრივ, თანამდებობები, რომელთა დაკავება სრულად პოლიტიკური პროცესის ნაწილს წარმოადგენს და მეორე მხრივ, თანამდებობები, რომლებზეც შერჩევა მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდება და მათი არჩევისას ადმინისტრაციული ორგანო არ ხელმძღვანელობს კონკრეტული პირის შერჩევის პოლიტიკური მიზანშეწონილობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ მერი (გამგებელი) წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს. სწორედ ეს უკანასკნელი არის პასუხისმგებელი საკუთარი ამომრჩევლის მიერ მიწოდებული მანდატის შესრულებაზე, ხოლო მისი მოადგილე წარმოადგენს იმ პოლიტიკური თანამდებობის პირს, რომელიც საკუთარი, კანონით ვინროდ განერილი უფლებამოსილებებისა და ფუნქციების ფარგლებში ეხმარება და შესაძლებელს ხდის გამგებლის/მერის ამოცანათა პრაქტიკულ რეალიზაციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 16 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლიც მ. ჯ.-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მი-

თითება იმ პროცესულურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა – ადიგენის მუნიციპალიტეტის მერამ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 16 ივლისის №გ-63 ბრძანების შესაბამისად, მ. ჯ-ა დანიშნა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ..., ხოლო ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 თებერვლის №44009 ბრძანების საფუძველზე იგი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... - მ. ჯ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 თებერვლის №44009 ბრძანების კანონიერება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მ. ჯ-ა სადავო ბრძანების უკანონობის საფუძველად მის დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს, ხოლო მოპასუხის – ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის მტკიცებით, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება გამგებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა და მას დასაბუთების ვალდებულება არ ეკისრებოდა. სადავო საკითხის შეფასებისას იდენტურია ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნები გასაჩივრებული ბრძანების კანონიერების თაობაზე.

ამდენად, სადავო საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობაზე დანიშვნასა და გათავისუფლებასთან მიმართებაში ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები წარმოადგენს, რა დროსაც გადაწყვეტია დადგინდეს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... სამსახურიდან გათავისუფლება გამგებელს აქტის დასაბუთების ვალდებულებას თუ აკისრებდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება წარმოადგენს იმგვარ უფლებამოსილებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყვე-

ლაზე მისაღები გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში კანონი ერთ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს კი არ განსაზღვრავს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს უფლებამოსილებით, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგი. ამასთან, ამავე კოდექსის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, კერძოდ, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში; ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონის მიზნების შესაბამისად და საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ კანონზე, რომელსაც წარმოადგენს სადავო აქტის გამოცემისას მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. იგი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 52-ე მუხლი განსაზღვრავს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებს, რომლის მიხედვით, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები არიან: ა) გამგებელი/მერი; ბ) გამგებლის/მერის პირველი მოადგილე; გ) გამგებლის/მერის მოადგილე; დ) გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელი/მერი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის/

მერიის მოსამსახურეებს. ხოლო ამავე კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი რედაქცია), გამგეობის/მერიის საჯარო მოხელეა გამგებლის/მერის პირველი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ორგანული კანონით – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გამიჯნულია გამგებლის/მერის მიერ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა და გამგეობის/მერიის სხვა მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება; კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის (რომელიც გამგებლის/მერის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს) პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტი ეხება გამგებლის/მერის მიერ გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებას, ხოლო „ა.დ“ ქვეპუნქტი – გამგეობის/მერიის მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებას. მოცემულ შემთხვევაში, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... – მ. ჯ-ა თანამდებობაზე დანიშნა ზემოაღნიშნული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც თანამდებობის პირი, ხოლო „ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა, მოსამსახურეთა და ხელშეკრულებით აყვანილ პირთა რანგირებისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ 2014 წლის 5 აგვისტოს ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №54 განკარგულების შესაბამისად, დამტკიცდა ზემოაღნიშნულ პირთა რანგირება და თანამდებობრივი სარგოები. გამგებლის ..., რანგირების შესაბამისად, გახდა წამყვანი საჯარო მოხელე, რის გამოც მ. ჯ-ა სამსახურიდან გათავისუფლდა როგორც საჯარო მოსამსახურე (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 54.1 მუხლი, „ა.დ“ ქვეპუნქტი).

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება, გარდა ამ მუხლის 1¹ და 1² პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მოადგილეზე.

სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, გამგებელს მისი ... დანიშვნა-გათავისუფლებაზე მინიჭებული ჰქონდა ფართო დისკრეტია და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის გაუთვალისწინებლად (რომე-

ლიც არ ვრცელდებოდა გამგეობის თანამდებობის პირებზე), მხოლოდ მის უშუალო შეხედულებაზე იყო დამოკიდებული აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, განსხვავებით სხვა მოსამსახურეთაგან, რომელთა შრომითსამართლებრივი ურთიერთობების რეგულაციისას გამოიყენება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 59-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილები. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო აღნიშნულ მუხლთან მიმართებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დამოკიდებულება, რომელიც უშუალოდ ადგენდა საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს და მიუთითებდა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს, გამგებლის ... არ ვრცელდებოდა. აღნიშნული ნორმის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი მმართველობის განხორციელება, რაც გულისხმობს რესურსების გონივრული გამოყენების გზით იმ შედეგის მიღებას, რომელიც პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზაციის შედეგად, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით, 2014 წლის 15 ივლისიდან მ. ჯ-ა დაინიშნა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილების ვადით. მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნა მოხდა სწორედ გამგებლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, კონკურსისა და თანამდებობის დასაკავებლად კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ხოლო ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 თებერვლის ბრძანებით მ. ჯ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის გათვალისწინებით მოცემულ თანამდებობაზე არ ვრცელდება ამ კანონის სხვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, რომელიც თანამდებობის პირის თანამდებობიდან გათავისუფლების დასაბუთებას და სხვა სამართლებრივი პროცედურების განხორციელებას არეგულირებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და საქართველოს შრომის კოდექსის დავალებით. შესაბამისად, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რივი აქტის (გადანყვეტილების) გამოცემის ნება, მუნიციპალიტეტის გამგებლის საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს. ამასთან, ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მითითებულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“, „ე.ე“ ქვეპუნქტები, 59-ე მუხლის მე-2, მე-3 პუნქტები, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მ. ჯ-ა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... დანიშნულია იმავე გამგებლის ბრძანებით, რომლის გადანყვეტილებითაც იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ... წარმოადგენდა გამგეობის თანამდებობის პირს, რომელსაც გამგებელი ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საკუთარი შეხედულებით.

გასაჩივრებული ბრძანება მოტივირებულია სწორედ გამგებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებაზე მითითებით, რომელიც შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, თუმცა არ შეიცავს დასაბუთებას გათავისუფლების ფაქტობრივ საფუძველთან დაკავშირებით, რაც განსახილველ შემთხვევაში, სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი ნორმების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს ბრძანების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც სამართლის ნორმის ადრესატების ერთი ჯგუფი, სხვა ჯგუფთან შედარებით განსხვავებულად განიხილება, მონესრიგების ლოგიკიდან გამომდინარე, ამ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავება უნდა ამართლებდეს დადგენილ უთანასწორობას, კავშირი დიფერენცირების ნიშანსა და განსხვავებულად განიხილვას შორის უნდა იძლეოდეს რაციონალური ახსნის შესაძლებლობას და სამართლებრივად განსხვავებული შედეგები ფაქტობრივად არსებული განსხვავების პროპორციული უნდა იყოს.

სადავო ბრძანების გამოცემისას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი გამგებელს თავისუფლებას ანიჭებდა საკუთარი შეხედულებითა და პასუხისმგებლობით შეერჩია გამგებლის პირველი მოადგილე/მოადგილეები, განესაზღვრა მისი კვალიფიციურობა, ხელმძღვანელობითი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობა, უნარ-ჩვევები და ისე მიეღო გადანყვეტილება მის შერჩევაში. მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის/მო-

ადგილებების დანიშნულებიდან და არსიდან გამომდინარეობდა მათი თანამდებობაზე დანიშნისა და გათავისუფლების განსხვავებული რეგულაცია. აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით (59-ე მუხლი), გამგებლის პირველ მოადგილეს უფლებამოსილება განესაზღვრება გამგებლის უფლებამოსილების ვადით და ეს უფლებამოსილება, სხვა საფუძვლებთან ერთად, უწყდება გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესი, გამგებელს, სადავო ბრძანების გამოცემისას, სრულ თავისუფლებას ანიჭებდა საკუთარი პასუხისმგებლობით შეერჩია გამგებლის ... და ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილება მის თანამდებობაზე დანიშნისა თუ გათავისუფლებაზე – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესისგან დამოუკიდებლად.

ამასთან, აღნიშნული მსჯელობა არ ენინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერ ვალდებულებას, ენაიდან, განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს გამგებლისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელება და საკითხის ამგვარი გადაწყვეტა შეესაბამება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ობიექტურ მიზნებს (მსგავს სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.2017წ. №ბს-894-886(კ-16) გადაწყვეტილება).

განსახილველ შემთხვევაში ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მ. ჯ-ას გათავისუფლებით არ დარღვეულა სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც გამგებლის უფლებამოსილებას წარმოადგენდა თავისი შეხედულებით დაენიშნა და გაეთავისუფლებინა გამგებლის/მერის პირველი მოადგილე/მოადგილეები. ამდენად, გამგებელმა გადაწყვეტილება მ. ჯ-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიიღო მისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზაციის შედეგად, რის გამოც სახეზე არ გვაქვს გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან, სადავო აქტის კანონიერების პირობებში, არ არსებობს მ. ჯ-ას სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მი-

იჩნევს, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ჯ-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ჯ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მოხალის უფლებების დაცვა სამსახურიდან
გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების
გაუქმების შემთხვევაში**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-234-234(2კ-18)

27 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძუ-
ლებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 21 ივლისს ნ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმარ-
თა ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოს, მოპასუხის – ბაღდათის
მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი ბაღდათის მუნიციპალიტეტის
გამგებლის 2015 წლის 10 მარტის ბრძანებით დაინიშნა გამგებლის
... თანამდებობაზე სოფელ ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამ-
გებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 23 მარტის №41317
ბრძანების საფუძველზე უკანონოდ გათავისუფლდა სამსახური-
დან ბაღდათის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინ-
გის სამსახურის დაუსაბუთებელი დასკვნით, რაც გახდა სასამარ-
თლოში სარჩელის აღძვრის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ბაღდათის
მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017
წლის 23 მარტის №41317 ბრძანების ბათილად ცნობა, გამგებლის ...
თანამდებობაზე აღდგენა და გადაწყვეტილების აღსრულებამდე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის იძულებითი განაც-
დურის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის
გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. კ-ე ბაღდათის მუ-
ნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 მარტის №41206 ბრძა-

ნებით დაინიშნა გამგებლის ... თანამდებობაზე, მის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა სოფელი ... იგი 2015 წლის 10 მარტიდან მუშაობდა გამგებლის ... ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მისი დარიცხული ხელფასი შეადგენდა ყოველთვიურად 1000 ლარს. ამასთან, დადგენილია, რომ ნ. კ-ე მუშაობის პერიოდში ადმინისტრაციული წესით არ ყოფილა დასჯილი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 23 მარტის №41317 ბრძანებით, მოსარჩელე ნ. კ-ე გათავისუფლდა გამგებლის ... თანამდებობიდან. ამავე ბრძანებაში გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტები, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2017 წლის 21-23 მარტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირების შესახებ შემომწებული იქნა ბაღდათის რაიონის სოფელი დასკვნის თანახმად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მცხოვრებთა საერთო კრების გადაწყვეტილებით 2014 წლის ზაფხულში სოფელ ... ე.წ. უ-ეების უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოების წარმოებისას სამუშაოს მწარმოებელმა ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით სავალი ნაწილისათვის ზედაპირული წყლების მოსაცილებლად დაიწყო ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი გადამკვეთი ბეტონის სანიაღვრე არხის და მასზე ლითონის ცხაურის მოწყობა. ბეტონის არხის მოწყობის შემდეგ სამუშაოები აღარ გაგრძელებულა, რამაც სირთულეები შეუქმნა როგორც ტრანსპორტს, ისე ფეხით მოსიარულეებს. იმავე წლის შემოდგომაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფელ ... მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით დაიგეგმა ცხაურის მოწყობის სამუშაოების დასრულება. 2014 წლის 28 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №187 ხელშეკრულებით დაევალა ინდ.მენარმე მ. ჩ-ეს, რომელსაც აუნაზღაურდა ცხაურის მოწყობის ღირებულება, რომელიც უკვე მოწყობილი იყო სხვა სამუშაოთა მწარმოებლის მიერ გაკეთებულ ბეტონის არხზე, მიტანილი იქნა 6 გრძივი მეტრის მილი, რომელიც არხს არ მოერგო, ამის გამო იგი არხში არც ჩადებულა.

ამასთან, დასკვნის თანახმად, 2015 წლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ისევ სოფლის დეპუტატის ძალისხმევით, კვლავ

დაიგეგმა ცხაურის მოწყობის დასრულება, ამჯერად უკვე არა უ-
ეების უზნად, არამედ იგივე გზა კ-ეების უზნის სახელწოდებით.
აღნიშნული ერთხელ კიდევ ანაზღაურდა სრულად ისე, რომ ცხაუ-
რი არ მოწყობილა. ცხაურის მოსაწყობად მიღება-ჩაბარების აქტის
საფუძველზე 8448 ლარი იქნა გადარიცხული. ზედმეტად გადარიც-
ხულმა თანხამ შეადგინა 2999 ლარი. ასევე ... ადმინისტრაციული
მართვის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული იყო და არის
სს „...“ წარმომადგენლის ოფისი, რომელსაც 2014 წლამდე გაფორ-
მებული ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება ბალდათის მუნიციპა-
ლიტეტთან. 2015 წლიდან კი აღნიშნული ქონების გადაცემასთან
დაკავშირებით არ არსებობდა რაიმე ხელშეკრულება.

შპს „ჯ...“ 2015 წლის 27 ივლისის №94 ხელშეკრულებით გათვა-
ლისწინებული სამუშაოების შესრულებისათვის სოფლებში: ..., ... და
... დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობის არგუ-
მენტით ერთი თვით, 2015 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით გაუხან-
გრძლივდა სამუშაოთა მიწოდების ვადა. ხელშეკრულებით გათვა-
ლისწინებული ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები, ხელშეკ-
რულების სხვა პირობებთან ერთად, დარჩა უცვლელი. 2015 წლის
11 ნოემბერს შპს „ჯ...“ №5610-40 წერილის საფუძველზე სოფელ
..., ... და ... წვიმიანი ამინდების შედეგად სამშენებლო ობიექტებზე
გარკვეული ხარვეზების აღმოსაფხვრელად კვლავ მოითხოვა და-
მატებითი ვადა – 14 დღე, რითაც თავად დაადასტურა ობიექტებზე
ხარვეზების არსებობა. მუნიციპალიტეტის სამსახურმა მიზანშე-
წონილად მიიჩნია სამუშაოთა წარმოების ვადის კიდევ ერთხელ და-
მატებით გაზრდა და ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწი-
ნებული პირგასამტეხლოს დაკისრების ვალდებულების ამოქმედე-
ბა. 2015 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით ობიექტზე დამატები-
თი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა დაადასტურა
თავად შპს „ჯ...“, მაგრამ სოფელ ... გამგებლის ... 2015 წლის 8 დე-
კემბრის №6162/42 მოხსენებით ბარათში სამუშაოთა დასრულე-
ბის თარიღად მითითებულია 10 ნოემბერი, თუმცა ის დღემდე და-
უსრულებელია.

აუდიტის სამსახურმა შეამონმა სოფელ ..., ე.წ. ლ-ეებისა და ს-
ეების არხები. არხების გამაგრებითი სამუშაოების დათვალიერები-
სას გაირკვა, რომ სამუშაოები მართლაც არის დაწყებული და ნა-
წარმოები, მაგრამ უხარისხოდ. აღნიშნულ მდგომარეობას კი, შე-
ეძლო დაუზიანებინა სახლში მარტოხელა მოხუცი ქალბატონი პარ-
კინსონის დაავადებით.

დასკვნის თანახმად, სოფლის რამდენიმე უბანში გაყვანილი იქნა
ბუნებრივი აირის მილები, რომელიც პროექტის მიხედვით უნდა
განთავსებულიყო მიწის საფარში. გაიჭრა მიწა და ჩაიდო მილი, მაგ-

რამ სამუშაოთა მწარმოებელმა არ დაასრულა საქმე. აღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით, ნალექის მოსვლისას გზა ხდება გაუვალი როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ისე ტრანსპორტისთვის.

ამასთან, შიდა აუდიტის სამსახურმა გადაამოწმა ბაღდათის მუნიციპალიტეტის კანცელარიაში სოფელ ... ტერიტორიული ორგანოდან შემოსულ განცხადებაზე რეაგირების დროულობა. აღმოჩნდა, რომ 2016 წლის 1 ივლისს სოფელ ... მცხოვრებმა ვ. ო-ემ განცხადებით მიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს – გ. მ-ეს. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 2015 წლის ნოემბერში ძლიერმა ქარმა დაუზიანა საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ცხოვრება არ შეიძლება. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, ა. გ-ის სახელზე სოფლის ... დაწერა მოხსენებითი ბარათი 5 თვის დაგვიანებით, რომელშიც დაადასტურა მოქალაქის განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტები, მაგრამ არც მოქალაქის განცხადებაში და არც ... მოხსენებით ბარათში არ არის მითითებული, იყო თუ არა აღნიშნული სახლი სტიქიის მოხდენის პერიოდში შეყვანილი სტიქიით დაზარალებულთა სიაში. განმცხადებელმა მიმართა 8 თვის დაგვიანებით, ხოლო სოფლის ... ერთი წლის შემდეგ წერს მოხსენებით ბარათს. ამასთან, მოქალაქე ვ. ო-ე არის სოფელ ... მკვიდრი და ჩაწერილია დედის ოჯახში, ხოლო აღნიშნული სახლი არის რეგისტრირებული თ. და თ. დ-ეების სახელზე.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია ის სამართლებრივი საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექვემდებარება ბათილად ცნობას. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლოს აღნიშვნით, ზოგადად, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა, რომელიც მი-

მართულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულებისაკენ. საქმიანობის ამ პროცესში აუცილებელია მთელი რიგი ნორმების დაცვა, რომლებიც თავმოყრილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავში და მოქმედებს ადმინისტრაციული წარმოების ყველა სახისათვის.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. შესაბამისად, წინამდებარე დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან. ამასთან, აქტის კანონიერების შემოწმება მისი მხოლოდ ფორმალური შემოწმების კუთხით შეფასებას არ გულისხმობს. აქტი ასევე, მატერიალურად კანონიერი უნდა იყოს, ანუ შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს, უნდა იკვეთებოდეს, თუ რა გარემოებებმა მოახდინეს გავლენა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე.

სასამართლოს აღნიშვნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, აღნიშნული კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

სასამართლოს განმარტებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გამგეობის სტრუქტურა განისაზღვრა მხოლოდ სტრუქტურული, ანუ დარგობრივი პრინციპით. კერძოდ, მითითებული ორგანული კანონის 50-ე მუხლის თანახმად, გამგეობა/მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეული შესაბამისი დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგებლის/მერის დავალებების შესრულებას. გამგეობის/მერიის სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება ჰქონდეს ქვედანაყოფები, რომლებიც განისაზღვრება გამგეობის/

მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებითა და საშტატო ნუსხით.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელი/მერი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის/მერიის მოსამსახურეებს; ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

საქართველოს კონსტიტუციის 101² მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები და უფლებამოსილებანი დგინდება ორგანული კანონით, ხოლო 101^{2.2} მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ორგანული კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებანი ექსკლუზიურია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მუშაკის სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა გაარკვიოს, რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა ადმინისტრაციული ორგანო მოსამსახურის სამუშაოდან განთავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ თანამდებობიდან პირის გათავისუფლების თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ მოსარჩელე ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 23 მარტის №41317 ბრძანებით გათავისუფლდა ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობიდან მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების მოტივით. ვინაიდან განსახილველი დავა შეეხება მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, სასამართლო ამ აქტის კანონშესაბამისობას ამოწმებს ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმების ჭრილში.

სასამართლომ აღნიშვნით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის პრეამბულის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კანონითაა დადგენილი მოსამსახურეთა სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლები. ამავე კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში, წარმოადგენს საჯარო სამსახურის სახეს, ხოლო მე-4 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე არის პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – კანონიერების პრინციპი მოიცავს ორ ასპექტს – გადაწყვეტილების მიღება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ და გადაწყვეტილების მიღება კანონის საფუძველზე და კანონის შესაბამისად.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებამოსილება გააჩნდა გამგებელს, ვინაიდან, მითითებული ნორმების თანახმად, გამგებელი (მერი) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს.

სასამართლოს აღნიშვნით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული გადაცდომისათვის. ამ კანონის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, ხოლო იმავე კანონის 79-ე მუხლის თანახმად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსა-

ხურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა – არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში მითითებული გარემოებები არ შეესაბამებოდა სიმართლეს. სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. მართალია, როდესაც დავის საგანი შეეხება ადმინისტრაციულ აქტს, მტკიცების მოვალეობა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი, ანუ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამტკიცოს თავის მიერ გამოცემული აქტის კანონიერება და წარუდგინოს სასამართლოს ამის დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება, თუმცა კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული მტკიცების ტვირთი არ გულისხმობს მოსარჩელის გათავისუფლებას მოთხოვნის დასაბუთებისაგან და მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან. მოთხოვნა მხარემ უნდა დაასაბუთოს, ხოლო შემდგომ ამ მოთხოვნათა უარყოფისა და საპირისპიროს დამტკიცების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. აღნიშნული კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია ბალდათის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დასკვნა, რომლის თანახმად, 2017 წლის 21-23 მარტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და მოქალა-

ქეთა განცხადებებზე რეაგირების შესახებ შემონმებული იქნა ბაღდათის რაიონის სოფელი აღნიშნული დასკვნის თანახმად, გამოვლენილი იქნა მთელი რიგი დარღვევები. აღნიშნული მტკიცებულებების საწინააღმდეგო რაიმე სახის მტკიცებულება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის მოსაზრება, რომ აღნიშნულ დასკვნაში მითითებული გარემოებები არ შეესაბამებოდა სიმართლეს და სამუშაოები, რომლებიც ჩატარდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ნამდვილად ხარისხიანად და ჯეროვნად იყო შესრულებული.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის მოთხოვნის იმგვარად დარღვევის ფაქტი, რაც შესაძლოა გამხდარიყო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, არ გამოვლენილა და მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას და დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მითითებული ნორმების საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული აქტის დასაბუთება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას – გარკვევით და გასაგებად გამოკვეთოს ის გარემოებები, რამაც გავლენა მოახდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების მოთხოვნა არა მარტო ადმინისტრაციული ორგანოს თვითკონტროლის განხორციელებას ემსახურება, არამედ აქტის კანონიერების შემონმებასაც უწყობს ხელს.

სასამართლოს აღნიშვნით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიცავს მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის როგორც ფაქტობრივ (სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულება), ისე სამართლებრივ (საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი) საფუძველებს.

სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ

აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულად და გასაგებად იყო ასახული ის ფაქტობრივი წინაპირობები და სამართლებრივი საფუძვლები, რამაც განაპირობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის გასაჩივრებული აქტი ნ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ არ ეწინააღმდეგებოდა კანონს. გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. ამასთან, ამ აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებითად დარღვევის ფაქტი, რაც გამოიწვევდა მოცემულ საქმეზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას, არ დადგენილა. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. იმავე კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

მითითებულ ნორმებზე დაყრდნობით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე პირდაპირ დაკავშირებული იყო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტის დადგენასთან და მისი დადასტურების შემთხვევაში წარმოადგენდა თანმდევ შედეგს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არ დგინდებოდა მოსარჩელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი, მისი მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენისა და

იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ იყო უსაფუძვლო.

ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 23 მარტის №41317 ბრძანება ნ. კ-ის გამგებლის ... თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ; დანარჩენ ნაწილში ნ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დამტკიცებულად მიიჩნია იგივე ფაქტობრივი გარემოებები, რაც დადგენილად იყო მიჩნეული გასაჩივრებული გადაწყვეტილებით და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშედარების საფუძველზე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დაუშვებელია აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა ზუსტად ყოფილიყო დადგენილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დასკვნაში მოყვანილ დარღვევებთან მოსარჩელის კავშირი და ბრალეულობა, ასევე გამოყენებული დისციპლინური სახდელის პროპორციულობა; შესაბამისად, უნდა შეფასებულიყო, რაში გამოიხატებოდა მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის იმგვარი დარღვევა, რაც მისი სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი გახდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის აუცილებლობა, კერძოდ, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. დარღვევისა და გამოყენებული ზომის ადეკვატურობის თვალსაზრისით, ბრძანების დასაბუთების მნიშვნელობა იზრდება მით უფრო მაშინ, როდესაც ბრძანების შედეგს პირის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, მოცემულ შემთხვევაში, სადავო ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მითითებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტები (გამგებლის/მერის უფლებამოსილება), „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მისაღები პირები) და „ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი (გამგებლის არყოფნისას გამგებლის მოადგილის უფლებამოსილება).

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანებაში მითითებული არცერთი სამართლებრივი ნორმა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს არ აძლევდა უფლებას, შესაბამისი დასაბუთების გარეშე, უმოტივაციოდ დაერღვია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მოსარ-

ჩელის შრომის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სა-ჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობანი, რომლებიც „საჯა-რო სამსახურის შესახებ“ კანონშია რეგლამენტირებული, დიდნი-ლად გამომდინარეობს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორი-სო ვალდებულებათა სპექტრიდან, საქართველოს კონსტიტუციი-დან.

სააპელაციო სასამართლომ მოიხმო საქართველოს კონსტიტუ-ციის 30-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუ-ციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება, რომლის თა-ნახმად (გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007) კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირ-ჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკ-ლარაციის 23-ე მუხლი კი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს შრო-მის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელ-საყრელი პირობების და უმუშევრობისგან დაცვის უფლება.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთა-შორისო პაქტით გარანტირებული შრომის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყოფილ იყოს პიროვნების მი-ერ სამუშაოს საკუთარი სურვილისამებრ არჩევის უფლება, მათ შო-რის არ მოხდეს პირისათვის მუშაობის უფლების უკანონოდ წარ-თმევა. ამ განსაზღვრებით ხაზგასმულია, რომ პიროვნების და მისი ღირსების პატივისცემა გამოიხატება სამუშაოს თავისუფლად არ-ჩევის და შენარჩუნების უფლებაშიც, რაც ხელს უწყობს პიროვნე-ბის განვითარებასა და მის სოციალურ და ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო აქტის გამო-ცემის დროს მოქმედი „ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილების (შემ-დგომში დებულება) მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გამგე-ბელი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერ-თეულში დანიშნოს გამგებლის ... გამგებლის ... უფლებამოსილება განისაზღვრება გამგეობის დებულებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრულია გამგებლის ... უფლება-მოვალეობები; კერძოდ, გამგებლის ... თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნ-ველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის კავშირს გამგეობასთან, საკრებულოსთან და ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის თანამდებობის პირებთან, აცნობს მათ მუნიციპალიტეტის

თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს; კორდინაციას უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის ქონების აღრიცხვას, აკონტროლებს ამ ქონების დაცვასა და მიზნობრივ გამოყენებას; ახორციელებს კონტროლს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, გამწვანების, გარე განათებისა და კომუნალური მეურნეობის სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებზე; ზედამხედველობას უწევს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში მიმდინარე მშენებლობებს; საჭიროების შემთხვევაში შუამდგომლობს მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და ეკონომიკურად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამიდან სოციალური დახმარების მიღების მიზნით; მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და გეგმების პროექტების შემუშავებაში და ახორციელებს კონტროლს ამ პროგრამების განხორციელებაზე და სხვა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული ბრძანებით არ დგინდება, თუ რა ფაქტობრივი გარემოება დაედო საფუძვლად ამ აქტის გამოცემას, ასევე არასწორადაა მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. მოპასუხის განმარტებით, მისი გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი გახდა ბალდათის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დასკვნა. დასკვნის თანახმად, 2017 წლის 21-23 მარტს შემოწმებული იქნა ბალდათის რაიონის სოფელი ... სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირების შესახებ. დასკვნის მიხედვით, დარღვევად მიჩნეული იქნა: ა) სოფელ ... ე.წ. უ-ეების უბანში 2014 წლიდან დაწყებული გზის და არხების რეაბილიტაციის სამუშაოების ხელშეკრულებით დაქირავებული პირის მიერ უხარისხოდ წარმოება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა; ბ) ... ადმინისტრაციული მართვის ადმინისტრაციული შენობის სს „...“ იჯარით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ვადის ამოწურვაზე რეაგირების განუხორციელებლობა (ვადა ამოწურა 2014 წელს); გ) სოფლის რამდენიმე უბანში ბუნებრივი აირის მიღების არასწორად გაყვანა და სამუშაოს დასრულების გაჭიანურება; დ) სოფელ ... მცხოვრები ვ. ო-ის განცხადებაზე არადროული რეაგირება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სოფელ ... მიმდინარე სხვადასხვა სახის სამუშაოების ხარისხის შეფასება არ წარმოად-

გენდა მოსარჩელის ვალდებულებას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ადასტურებდა გამგეობის მიერ შესრულებული სამუშაოების კონტრაქტორების მხრიდან ჩაბარებას და იმასაც, რომ რაიმე სახის ზიანი სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შესახებ გამგეობას დაქირავებული კერძო პირების მიმართ არ მოუთხოვია. საყურადღებოა, აგრეთვე, ისიც, რომ აუდიტის დასკვნაში გამოვლენილი დარღვევების დროს მოსარჩელე არ მუშაობდა გამგებლის ... თანამდებობაზე, ამასთან, სამუშაოების უხარისხოდ წარმოებასთან დაკავშირებით მოსარჩელემ აცნობა შესაბამის თანამდებობის პირებს, რომელთა მიერაც მოხდა ვითარების ადგილზე შესწავლა, რა გარემოებაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ფოტოსურათებით. რაც შეეხება მოქალაქის განცხადებაზე რეაგირების საკითხს, სააპელაციო სასამართლოში მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ მითითებული განცხადება დაგვიანებით დაენერა რეაგირებისთვის მოსარჩელეს, რამაც გამოიწვია განცხადების განხილვის გაჭიანურება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებები ყოველმხრივ, ობიექტურად უნდა გამოეკვლია, რაც უზრუნველყოფდა მოსამსახურის ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ დაცვას, კადრების სტაბილურობის, როგორც საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპების შესრულებას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო შეეფასებინა და ემსჯელა იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რაც არ განუხორციელებია. მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებულ ისეთი სახის არსებით დარღვევას წარმოადგენს, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიმართ მისი საქმიანობის პერიოდში რაიმე სახის დისციპლინური ზომა გამოყენებული არ ყოფილა, მხოლოდ ერთ დღეში მომზადებულ დაუსაბუთებელ აუდიტის დასკვნაში მოყვანილი გარემოებები საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან გაანალიზების პირობებში არ იძლეოდა ისეთი მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას, რასაც მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო

საჩივარი აღნიშნულ ნაწილში საფუძვლიანი იყო და ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

რაც შეეხება დაკავებულ თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენისა და განაცდურის მოპასუხეზე დაკისრების შესახებ მოთხოვნის საფუძვლიანობას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საკითხი ამ ეტაპისთვის არ ექვემდებარება სასამართლოს კონტროლს, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, აღნიშნული თავად საჯარო დაწესებულების კომპეტენციაა. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონოდ ცნობა საკმარისია მოსარჩელის იმ უფლებებში აღსადგენად, რაც გასაჩივრებული ბრძანების გამოცემამდე გააჩნდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურას წარმოადგენდა, რის გამოც დამატებით ამ მოთხოვნაზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლო უფლებამოსილების ფარგლებს. ამდენად, ამ ნაწილში სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. კ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, თუმცა არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, სასამართლოს მოსაზრებით, გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის შემდგომ მოპასუხე თავად იყო ვალდებული აღედგინა პირვანდელი მდგომარეობა, რომელშიც მოსარჩელე სამსახურიდან განთავისუფლებამდე იმყოფებოდა.

კასატორის მითითებით, სარჩელის აღნიშნულ ნაწილში დაუკმაყოფილებლობამ გააუარესა მისი სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 ივლისიდან, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილია დასახელებული კანონის ამოქმედებამდე. შესაბამისად, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო გამოეყენებინა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის არა ზემოხსენებული რედაქცია, არამედ ის რედაქცია, რომელიც მისი უფლების დარღვევის პერიოდში მოქმედებდა.

ამასთან, კასატორის განმარტებით, მოპასუხისათვის მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის დავალდებულებასა და იძულებითი განაცდურის დაკისრებასთან დაკავშირებით სასამართლო უწყების მხრიდან მსჯელობაზე კომპეტენციის არარსებობა წარმოადგენს არა სასარჩელო მოთხოვნის განხილვისა და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ აღნიშნულ ნაწილში სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა, ასევე, ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. ამასთან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი,

რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, დღეს მოქმედი კანონი, რომელსაც იურიდიული ძალა არ გააჩნდა ნ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტისათვის და, ამავე დროს, არასწორად განმარტა კანონი.

ამასთან, კასატორის აღნიშვნით, ბალდათის მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება მიღებულია კანონის სრული დაცვით, არის იურიდიულად გამართული და დასაბუთებული და ზუსტად პასუხობს კანონის მოთხოვნებს. თავის მხრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 23 მარტის №41317 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში არასწორია, ვინაიდან ბრძანების გამოცემის დროს არ დარღვეულა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 16 მარტისა და 16 აპრილის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. კ-ისა და ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით ნ. კ-ისა და ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის (ამჟამად ბალდათის მუნიციპალიტეტის მერია) საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ნ. კ-ე ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 10 მარტის №41206 ბრძანებით დაინიშნა გამგებლის ... თანამდებობაზე, მის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა სოფელი ... იგი 2015 წლის 10 მარტიდან მუშაობდა გამგებლის ... ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. მისი დარიცხული ხელფასი შეადგენდა ყოველთვიურად 1000 ლარს. ამას-

თან, დადგენილია, რომ ნ. კ-ე მუშაობის პერიოდში ადმინისტრაციული წესით არ ყოფილა დასჯილი.

ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 23 მარტის №41317 ბრძანებით, მოსარჩელე ნ. კ-ე გათავისუფლდა გამგებლის ... თანამდებობიდან. ამავე ბრძანებაში გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტები, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და „ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის №6 დადგენილების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი. მოპასუხის განმარტებით, სადავო ბრძანების გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი გახდა ბალდათის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დასკვნა. დასკვნის თანახმად, 2017 წლის 21-23 მარტს შემონმებული იქნა ბალდათის რაიონის სოფელი ... სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირების შესახებ. დასკვნის მიხედვით, დარღვევად მიჩნეული იქნა: ა) სოფელ ... ე.წ. უეების უბანში 2014 წლიდან დანყებული გზის და არხების რეაბილიტაციის სამუშაოების ხელშეკრულებით დაქირავებული პირის მიერ უხარისხოდ წარმოება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა; ბ) ... ადმინისტრაციული მართვის ადმინისტრაციული შენობის სს „...“ იჯარით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ვადის ამონურვაზე რეაგირების განუხორციელებლობა (ვადა ამონურა 2014 წელს); გ) სოფლის რამდენიმე უბანში ბუნებრივი აირის მილების არასწორად გაყვანა და სამუშაოს დასრულების გაჭიანურება; დ) სოფელ ... მცხოვრები ვ. ო-ის განცხადებაზე არადროული რეაგირება.

ამდენად, განსახილველი დავის საგანს ნ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 23 მარტის №41317 ბრძანების კანონიერების დადგენა, სამუშაოზე აღდგენა და მთელი მოცდენილი პერიოდისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ნ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 23 მარტის №41317 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება

და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; სამოხელეო სამართალი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და, შესაბამისად, სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით, ამავე კანონის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებულია საჯარო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საჯარო მოხელის სამართლებრივი დაცვის პრინციპი წარმოადგენს მისი უფლების დაცვის გარანტიას, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტებით და კანონის საფუძველზე განხორციელდება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აღჭურავს მოხელეს იმ უფლებებით და შეღავათებით, რაც ამ კანონით არის დადგენილი. ასევე აღნიშნული კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ, რომ ის განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, საჯარო დანესებულებაში მუშაობის პერიოდში სწორედ ამ საჯარო-სამართლებრივი ნორმატიული აქტით იქნება დაცული, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც მისი შრომითი მოწყობის, დანინაურების, აგრეთვე, მისი გათავისუფლების საკითხიც.

საქართველოს კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი საკანონმდებლო აქტის, 30-ე მუხლი განამტკიცებს შრომის თავისუფლებას. შრომის თავისუფლება, ე.ი. უფლება თავისუფალ შრომაზე, მოიცავს როგორც ადამიანისათვის მინიჭებულ უფლებას, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

№2/4-24, 28.02.1997), ასევე, „სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს მოქალაქეთა დასაქმებაზე და დაიცვას მათი შრომითი უფლებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითვე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007), კონსტიტუციის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „დაცულია არა მარტო უფლება, აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო ეს სამუშაო“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით რეგლამენტირებული თავისუფალი შრომის უფლების სამართლებრივი დაცვის გარანტიები გათვალისწინებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებითაც. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელსაც თანხმდება, და მიიღებენ შესაბამის ზომებს ამ უფლების დასაცავად. ამასთან, 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევებში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ აღიარონ: ა) ყველა მუშაკის უფლება არ შეუწყდეთ დასაქმება ასეთი შეწყვეტის თაობაზე საპატიო მიზეზების გარეშე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მათ შესაძლებლობასთან ან ქცევასთან ან განპირობებული უნდა იყოს შრომითი დანესებულების, სწარმოს ან სამსახურის ოპერატიული მოთხოვნებით; ბ) მუშაკთა უფლება, რომელთა დასაქმება შეწყვეტილი იქნება საპატიო მიზეზების გარეშე, სათანადო კომპენსაცი-აზე ან სხვა შესაბამის დაკმაყოფილებაზე.

ამ მხრივ მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ მუშაკის, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება შეწყდა საპატიო მიზეზების გარეშე, მიუკერძოებელ ორგანოში საჩივრის შეტანის

უფლება.

აღნიშნულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში ინდივიდთა შრომითი უფლებების დაცვისათვის ქმედითი მექანიზმების შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ხსენებული ვალდებულების ზედმინევენითი განხორციელების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან თავს იჩენს მით უფრო საჯარო სექტორში, სადაც სახელმწიფო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის, კერძოდ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ერთი მხრივ, თავად ქმნის დასაქმებულ საჯარო მოხელეთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავად გვევლინება დამსაქმებლის როლში, რაც საგრძნობლად ზრდის მისი მხრიდან დასაქმებულ საჯარო მოხელეთა უფლებების, განსაკუთრებით კი, შრომითი უფლებების დაცვის სავალდებულობის ხარისხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო მოსამსახურე კონკრეტული გადაწყვეტილების, მით უფრო საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას შეზღუდულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კანონიერების პრინციპით, რომლის მიხედვით, საჯარო მოსამსახურე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. მისი ნებისმიერი ქმედება უნდა ემსახუროდეს კანონის უზენაესობის დაცვას და ეფუძნებოდეს კანონისმიერი დათქმის პრინციპს. ამავე შინაარსის დანაწესი გათვალისწინებულია, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით დადგენილი კანონიერების პრინციპითაც, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშედარების საფუძველზე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა ზუსტად ყოფილიყო დადგენილი, ნ. კ-ის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი დისციპლინურ გადაცდომას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის აუცილებლობა, კერძოდ, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებები ყოველმხრივ, ობიექტურად უნდა გამოეკვლია, რაც უზრუნველყოფდა მოსამსახურის სოციალურ და სამართლებრივ დაცვას, როგორც საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის შესრულებას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო შეეფასებინა და ემსჯელა იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი. მითითებული ვალდებულების შესრულებლობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ ისეთი სახის არსებით დარღვევას წარმოადგენს, რომელიც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელე ნ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების დროისათვის მოქმედი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამსახურიდან განთავისუფლება, წარმოადგენს საჯარო სამსახურის უმკაცრეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომას, რომლის გამოყენება საჯარო დაწესებულების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, გამართლებული და მყარად დასაბუთებული უნდა იყოს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველით. საქმეზე დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბალდათის მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსარჩელე ნ. კ-ის მიმართ სადავო აქტის გამოცემამდე სხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოუყენებლობის ფაქტი და საქმეში არსებული ერთ დღეში მომზადებული შიდა აუდიტის დასკვნა ერთობლიობაში არ იძლეოდა ნ. კ-ის მიმართ უმკაცრესი დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების, მისი სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს, რის გამოც ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება დაკავებულ თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენისა და განაცდურის მოპასუხეზე დაკისრების შესახებ მოთხოვნის საფუძველიანობას, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომლის თანახმად, მოცემული საკითხი ამ ეტაპისთვის არ ექვემდებარება სასამართლოს კონტროლს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონოდ ცნობა საკმარისია მოსარჩელის იმ უფლებებში აღსადგენად, რაც გასაჩივრებული ბრძანების გამოცემამდე გააჩნდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურას წარმოადგენდა, რის გამოც დამატებით ამ მოთხოვნაზე მსჯელობა სცილდებოდა სასამართლო უფლებამოსილების ფარგლებს. ამდენად, ამ ნაწილში სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლო ზემოხსენებულ მოსაზრებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლზე, რომელიც განამტკიცებს სასამართლოსათვის მიმართვის ძირითად უფლებას. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასა-

მართლოს. სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას გულისხმობს, შინაარსობრივად კი, ადამიანის სრულყოფილ, ყოვლისმომცველ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს. დასახელებული მუხლის მე-9 პუნქტის დებულება კი პირისათვის უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურების გარანტიას ადგენს, რომლის თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება, შესაბამისად, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით.

ზემოხსენებულ ნორმასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო, უპირველესად, განმარტავს, რომ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება მოხელის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ წარმოადგენს ექსკლუზიურ, გამომრიცხველი ხასიათის კომპეტენციას. აღნიშნული ვალდებულების ექსკლუზიურობას არ ადგენს არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტი. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მხოლოდ აღნიშნული ვალდებულების დაკისრების ფაქტი არ გულისხმობს სასამართლო კომპეტენციის გამომრიცხვას, იმსჯელოს მოსარჩელის პირვანდელ, უფლების შელახვამდე არსებულ მდგომარეობაში აღდგენის საკითხზე და გადაწყვიტოს იგი. სააპელაციო სასამართლოს შეფასება ად-

მინისტრაციული ორგანოს აღნიშნული კომპეტენციის ექსკლუზიურობასა და მოხელის აღდგენის თაობაზე სასამართლო კომპეტენციის გამორიცხვასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, საჯარო დაწესებულების მხრიდან ხსენებული ვალდებულების განხორციელება/განუხორციელებლობისა და ჯეროვანი თუ არაჯეროვანი შესრულების კონტროლის შესაძლებლობის გამორიცხვას გულისხმობს, რაც თავის მხრივ, არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესს, რომლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, რომლის საფუძველზეც, სასამართლო ხელისუფლება კონტროლს უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ საჯარო სამსახურის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრინციპი, რომლის მიღწევა საჯარო სამსახურის უკონტროლობის პირობებში წარმოუდგენელია. ამავე დროს, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ზემოხსენებულ საკითხთან მიმართებით გაკეთებული შეფასების მიხედვით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების სასამართლო წესით ბათილად ცნობის შემდგომ საჯარო სამსახურის მხრიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის თანამდებობაზე აღდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა მოხელეს, ფაქტობრივად, მძიმე მდგომარეობაში აყენებს, ვინაიდან მან თავიდან უნდა მიმართოს სასამართლოს უფლებაში აღდგენის მიზნით, რაც არაეფექტურს ხდის მართლმსაჯულებას.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტების პარალელურად, წინააღმდეგობრივია ასეთი განმარტების პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგები. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის. აღნიშნული დანაწესის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის განხილვის მიმართ კომპეტენციის არარსებობა არა სასარჩელო მოთხოვნის განხილვისა და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ, აღნიშნულ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, თუკი

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის დაკისრების საკითხის განხილვა სასამართლო უწყების კომპეტენციას არ მიეკუთვნებოდა, იგი ვალდებული იყო ნ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეენწყვიტა საქმის წარმოება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოხელის თანამდებობაზე აღდგენის საკითხთან მიმართებით სასამართლო უწყების კომპეტენციის არსებობა დასტურდება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული არაერთი საპროცესო-სამართლებრივი შესაძლებლობით. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადების საფუძველზე სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე შეუძლია დავის საგანთან დაკავშირებით მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულებს. სასამართლოს დროებითი განჩინების გამოყენება დასაშვებია ასევე სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მონესრიგებისათვის, თუ ეს მოწესრიგება, უპირველეს ყოვლინა, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის, არსებული საფრთხის ან სხვა საფუძვლის გამო.

ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯერ კიდევ სადავო ბრძანების ბათილად ცნობამდე და აღდგენის საკითხის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაქვემდებარებამდე, სასამართლოს შეუძლია მხარის განცხადების საფუძველზე გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარი მონესრიგების შესაძლებლობა და მხარე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დროებითი განჩინების მიღების გზით აღადგინოს თანამდებობაზე აღნიშნული საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენებას სასამართლოს არ უზღუდავს არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტები, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ აღდგენის ნაწილში სასამართლო უწყების კომპეტენციის გამოორიცხვის თაობაზე გაკეთებული განმარტება ცალსახად წინააღმდეგობრივია ზემოხსენებული ნორმის დანაწესებთან მიმართებით, რადგანაც მოხელის თანამდებობაზე აღდგენაზე საჯარო დანესე-

ბულების კომპეტენციის ექსკლუზიურობა იმთავითვე გულისხმობს სასამართლოს მხრიდან საკითხის შუალედური, წინასწარი მოწესრიგების შესაძლებლობის გამორიცხვასაც. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართალწარმოების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი საშუალებებით, ამდენად, საკითხის დროებითი, წინასწარი მოგვარებისა და მხარის უფლებებში დროებითი აღდგენის შესაძლებლობის არსებობა, ავტომატურად, გულისხმობს მისი არსებითად განხილვის და სრული მოწესრიგების შესაძლებლობასაც.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც არ განსაზღვრავს მოხელის გათავისუფლების ბრძანების ბათილობის შემთხვევაში მისი თანამდებობაზე აღდგენის ვადებს. აღნიშნული დანაწესი, ცალსახად, რისკის ქვეშ აყენებს მოხელის სამართლებრივ მდგომარეობას, არაეფექტურს ხდის მისი მხრიდან სასამართლო წესით პირვანდელი, უფლების შელახვამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის სურვილს. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონოდ ცნობა საკმარისია მოსარჩელის იმ უფლებებში აღსადგენად, რაც გასაჩივრებული ბრძანების გამოცემამდე გააჩნდა, გამომდინარე იქიდან, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ხსენებული ვალდებულების შესრულებისათვის ვადების განუსაზღვრელობა ქმნის მომეტებულ რისკს იმისა, რომ უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის თანამდებობაზე აღდგენა საჯარო დანებსებულების მხრიდან მნიშვნელოვნად დაყოვნდება. აღნიშნული რისკი, ერთი მხრივ, საფრთხეს უქმნის მოხელის დარღვეული უფლებების აღდგენის ეფექტურობას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის სახელმწიფოებრივი რესურსის ზედმეტი ხარჯვის საშიშროებას, რაც დაკავშირებულია, როგორც იძულებითი განაცდურის პერიოდული მატებით მოხელის მიმართ სახელმწიფოს ეკონომიკური ტვირთის გაზრდასთან, ასევე მოხელის სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში პროცესის ეკონომიურობის პრინციპის მნიშვნელოვან დარღვევასთან.

საკასაციო სასამართლო, აგრეთვე, მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივი აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება. ამავ კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებული იყო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარის შუამდგომლობით სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს აღსრულების გაუქმების წესის შესახებ. საკასაციო სასამართლო ზემოხსენებულ ნორმებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, როგორც უშუალოდ სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებით, სასამართლო, უფლებაშელახული პირის პირვანდელი, გასაჩივრებული თუ ბათილად ცნობილი აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას ახდენს. განსახილველ დავასთან მიმართებით კი, გათავისუფლების შესახებ ბათილად ცნობილი ბრძანების გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა გულისხმობს სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელის თანამდებობაზე საბოლოო/დროებით აღდგენას. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლოს აქვს მთელი რიგი პროცესუალურ-სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც მას უფლებას აძლევს გადაწყვიტოს პირის უფლებაში აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი გარკვეულია და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის მიმართ.

მითითებულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს შესაძლებლობა, წარდგენილი რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნიდან ერთ-ერთის თაობაზე გამოიტანოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება იმ პირობით, რომ სხვა მოთხოვნაზე/მოთხოვნებზე პასუხი გაცემული იქნება სხვა დროს და სხვა გადაწყვეტილებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, სასამართლოს გააჩნია უფლებამო-

სიღება, ნაწილობრივი გადანყვეტილების გამოტანით ბათილად ცნოს სადავო ბრძანება, ხოლო იძულებითი განაცდურისა და თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში შეაჩეროს საქმის წარმოება და საჯარო დაწესებულებას განუსაზღვროს ვადა მისთვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაკისრებული ვალდებულების შესრულებისათვის. ნაწილობრივი გადანყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აღნიშნული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, სასამართლოს რჩება საშუალება, განაახლოს საქმის წარმოება და იძულებითი განაცდურისა და თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში თავად გამოიტანოს გადანყვეტილება. საკითხის ამგვარი მონესრიგება გამოორიცხავს მოხელის უფლებათა სამომავლო შელახვის ყოველგვარ რისკს და, თავის მხრივ, ქმნის აღნიშნულ უფლებათა დაცვის ეფექტურ, ქმედით მექანიზმს, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს მის სამართლებრივ დაცვას.

საკასაციო სასამართლო ზემოთმითითებულ პროცესუალურ მექანიზმებთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დასახელებულ ნორმათა საწინააღმდეგო დანაწესებს არ ითვალისწინებს არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტები, რომელიც გამოორიცხავდა სასამართლოს მხრიდან ხსენებულ საპროცესო საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ კანონმდებლის ნებას წარმოადგენს აღნიშნული დანაწესით არა უფლებამოსილებათა გამიჯვნა საჯარო დაწესებულებასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის, არამედ, თავად საჯარო დაწესებულებისათვის დამატებითი მექანიზმებისა და სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რითაც იგი შეძლებს, თავადვე უზრუნველყოს უკანონოდ გათავისუფლებულ პირთა უფლებებში აღდგენა და უზრუნველყოს მის მიერ მიღებული უკანონო გადანყვეტილების თანმდევი შედეგების ეფექტური აღმოფხვრა, რაც არ გამოორიცხავს, ერთი მხრივ, მხარის შესაძლებლობას, სასამართლო დაცვის წესით გაიმყაროს სამართლებრივი მდგომარეობა და დამატებით ეძიოს უფლებებში აღდგენის მექანიზმები, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემთხვევაში დაავალდებულოს საჯარო დაწესებულება, შეასრულოს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მი-

ინეცეს, რომ ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ნ. კ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე და 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ნ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება ნ. კ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლებისას ორი თვის
კომპენსაციის გაცემის საფუძველი**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-453-453(კ-18)

4 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, კომპენსაციის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 12 ივლისს ჯ. ლ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2015 წლის 1 აპრილიდან დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ... განყოფილების უფროსად, საიდანაც 2017 წლის 1 მაისის №835 ბრძანების საფუძველზე, გათავისუფლდა სამსახურიდან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით განისაზღვრა მოსარჩელისათვის ორთვიანი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება. 2017 წლის 29 მაისის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის №1193 ბრძანებით უკანონოდ ძალადაკარგულად გამოცხადდა მითითებული ბრძანების მე-2 პუნქტი, რომელიც გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობას ავალდებულებდა გათავისუფლებული მოხელისათვის 2 თვის კომპენსაციის ჩარიცხვას.

ამდენად, მოსარჩელემ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1193 ბრძანების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ჯ. ლ-ის სასარგებლოდ კომპენსაციის სახით ორი თვის სარგოს – 2062 ლარის დაკისრება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჯ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ 2015 წლის 1 აპრილს

ჯ. ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ... განყოფილების უფროსად. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №835 ბრძანებით ჯ. ლ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს დაევალა მისთვის ფულადი კომპენსაციის სახით 2 (ორი) თვის თანამდებობრივი სარგოს ჩარიცხვა.

2017 წლის 2 მაისს ჯ. ლ-მა განცხადებით მიმართა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებელს და მოითხოვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №910 ბრძანებით ჯ. ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ... მოვალეობის შემსრულებლად 2017 წლის 2 მაისიდან 1 ივლისამდე. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1193 ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №835 ბრძანების მე-2 პუნქტი, რომლითაც გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს დაევალა ჯ. ლ-ისათვის ფულადი კომპენსაციის 2 (ორი) თვის თანამდებობრივი სარგოს ჩარიცხვა.

საქმის მასალებით სასამართლომ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 ივნისის №1547 ბრძანებით ჯ. ლ-ი 2017 წლის 30 ივნისიდან დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ... თანამდებობაზე. ამავე ბრძანების მე-2 მუხლით ძალადაკარგულად გამოცხადდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №910 ბრძანება ჯ. ლ-ის გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ... მოვალეობების შემსრულებლად დანიშვნის თაობაზე.

სასამართლომ მიუთითა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1193 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №835 ბრძანების მე-2 მუხლი, რომლითაც ჯ. ლ-ისათვის განისაზღვრა კომპენსაციის სახით ორი თვის თანამდებობრი-

ვი სარგოს – 2062 ლარის გადახდა. აღნიშნული ბრძანების მიღების წინაპირობად ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა მიუთითა მოსარჩელის დასაქმება ამავე დაწესებულებაში, 2017 წლის 29 ივნისის №1547 ბრძანებით ჯ. ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ... თანამდებობაზე 2017 წლის 30 ივნისიდან.

სასამართლომ განმარტა, რომ სადავო აქტის მიღებისას მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო. სასამართლომ მხარეთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული ნორმის გამოყენების დროს ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს ნორმის მიზნობრივი განმარტებით, თუ რა მიზანს ემსახურება კანონმდებლის ნება. კომპენსაცია თავისი შინაარსით წარმოადგენს თანხას, რომელიც შეიძლება გადახდილი იქნეს რაიმეს, კერძოდ, დანაკარგის ან დანაკლისის ასანახაურებლად. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ის სამსახური, რომელიც დაკავებული ჰქონდა მოსარჩელეს, ადმინისტრაციულმა ორგანომ შტატების შემცირების გამო სწორად უზრუნველყო მოსარჩელისათვის ორი თვის თანამდებობრივი სარგოს სახით კომპენსაციის მიცემის საკითხის გადაწყვეტა. ასევე სწორად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ჯ. ლ-ისათვის კომპენსაციის მიცემის გაუქმების თაობაზე ამ უკანასკნელის იმავე დაწესებულებაში სხვა თანამდებობის დაკავების გამო. უფრო მეტიც, ჯ. ლ-ს გავლილი აქვს საკონკურსო-საატესტაციო კომისია, მოსარჩელე არ იმყოფება სამსახურის დაკარგვის საშიშროების ქვეშ, შესაბამისად, მოსარჩელე სამსახურის დაკარგვის გამო არ ჩაფარდნილა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. კანონის მიზნიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ კომპენსაციის მიცემა ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ემსახურება დასაქმებულის ინტერესს, შეძლოს სხვა სამსახურის მოძიება. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოსარჩელე დღემდე აგრძელებს მუშაობას და უწყვეტად იღებს პოზიციისათვის შესაბამის თანამდებობრივ სარგოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტით არ მომხდარა მოსარჩელის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების (კერძოდ, შრომითი საქმიანობის სტაბილურად, უწყვეტად განხორციელების, ადეკვატური გასამრჯელოს მიღების უფლების, პროფესიული

უნარ-ჩვევების შექმნა-განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების და ა.შ. ინტერესების) შეზღუდვა, მოსარჩელეს არ მიუღია იმგვარი მატერიალური ზიანი, რაც მისთვის კომპენსაციის გადახდას დაავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

სასამართლომ აგრეთვე ყურადღება გაამახვილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყო იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა, რომ გასაჩივრებული აქტი კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური და მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით, კანონიერია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი, რაც წარმოადგენს კომპენსაციის გაცემის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით ჯ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1193 ბრძანება; გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობას ჯ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 2062 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება ჯ. ლ-ისათვის ორი თვის კომპენსაციის გადახდის თაობაზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1193 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მიმდინარე რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ის სამსახური, რომელიც დაკავებული ჰქონდა მო-

სარჩელეს, ადმინისტრაციულმა ორგანომ შტატების შემცირების გამო სწორად უზრუნველყო მოსარჩელისათვის ორი თვის თანამდებობრივი სარგოს სახით კომპენსაციის მიცემის საკითხის გადანყვეტა, თუმცა, პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაუსაბუთებელი გადანყვეტილება მიიღო ჯ. ლ-ისათვის კომპენსაციის მიცემის გაუქმების თაობაზე. პალატის მითითებით, ნიშანდობლივია, რომ საჯარო სამსახურში მუშაობა უნდა ქმნიდეს სტაბილურობის განცდას. საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება უნდა იყოს კანონით მკაცრად განერილი რთული პროცედურა.

პალატამ ყურადღება გაამახვილა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №910 ბრძანებაზე, რომლითაც ჯ. ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ... მოვალეობების შემსრულებლის თანამდებობაზე 2017 წლის 2 მაისიდან 1 ივლისამდე. ამდენად, ჯ. ლ-ის დასაქმება გარკვეული ვადით და მოვალეობის შემსრულებლად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ შექმნიდა მისთვის ორთვიანი კომპენსაციის გაცემის თაობაზე მიღებული გადანყვეტილების ბათილობის საფუძველს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი მტკიცებულებების, დასახელებული ნორმების ურთიერთმეჯერებისა და ანალიზის შედეგად პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სადავო აქტი მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს ჯ. ლ-ისათვის კომპენსაციის მიცემის სამართლებრივი საფუძველი. იგი დღემდე აგრძელებს მუშაობას გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში და უწყვეტად იღებს პოზიციისათვის შესაბამის თანამდებობრივ სარგოს. ჯ. ლ-ი არ იმყოფება სამსახურის დაკარგვის საშიშროების ქვეშ და არც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნილა, ვინაიდან იგი იმავე დაწესებულებაში იკავებს სხვა თანამდებობას. 2017 წლის 2 მაისის №910 ბრძანებით ჯ. ლ-ი კვლავ დასაქმდა იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში ვაკანტურ თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებული კონკურსის გავლის შედეგად დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპა-

ლური ქონების მართვის სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ... კასატორის აზრით, არ მომხდარა ჯ. ლ-ის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შეზღუდვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 5 ივლისის განჩინებით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ლ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 1 აპრილს ჯ. ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ... განყოფილების უფროსად, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №835 ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს დაევალა მისთვის ფულადი კომპენსაციის სახით 2 (ორი)

თვის თანამდებობრივი სარგოს ჩარიცხვა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №910 ბრძანებით ჯ. ლ-ი დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ... მოვალეობის შემსრულებლად 2017 წლის 2 მაისიდან 1 ივლისამდე. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1193 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №835 ბრძანების მე-2 მუხლი, რომლითაც ჯ. ლ-ისათვის განისაზღვრა კომპენსაციის სახით ორი თვის თანამდებობრივი სარგოს – 2062 ლარის გადახდა. აღნიშნული ბრძანების მიღების წინაპირობად ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა მიუთითა მოსარჩელის დასაქმება ამავე დაწესებულებაში.

ასევე დადგინდია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 ივნისის №1547 ბრძანებით ჯ. ლ-ი 2017 წლის 30 ივნისიდან დაინიშნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ... თანამდებობაზე.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1193 ბრძანების კანონიერება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე ჯ. ლ-ი სადავო ბრძანების უკანონობის საფუძვლად მისთვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტს მიუთითებს, რადგან იგი გათავისუფლდა განყოფილების ... თანამდებობიდან და დაინიშნა რანგით დაბალ თანამდებობაზე, სადაც მისი ყოველთვიური სარგო უფრო დაბალი ოდენობით განისაზღვრა.

ამდენად, სადავო საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს იმ გარემოების შეფასება წარმოადგენს, ეკუთვნოდა თუ არა მოსარჩელეს კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს მიღება იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე დღემდე აგრძელებს მუშაობას იმავე დაწესებულებაში და უწყვეტად იღებს თავისი პოზიციისათვის შესაბამის თანამდებობრივ სარგოს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო ჯ. ლ-ისათვის კომპენსაციის მიცემის გაუქმების თაობაზე, რადგან გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ის სამსახური, რომელიც დაკავებული ჰქონდა მოსარჩელეს, ადმინისტრაციულმა

ორგანომ კი კანონის შესაბამისად, სწორად უზრუნველყო მისთვის ორი თვის თანამდებობრივი სარგოს სახით კომპენსაციის გაცემა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა არ არის დასაბუთებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის პირობების მოსარჩელესთან მიმართებაში არსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს არა მხოლოდ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1193 ბრძანების დამოუკიდებლად შეფასების, არამედ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 2 მაისის №910 და გამგებლის 2017 წლის 29 ივნისის №1547 ბრძანებების ერთობლიობაში შეფასების გზით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ, მართალია, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 1 მაისის №835 ბრძანებით ჯ. ლ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ამავე ბრძანებით განისაზღვრა მისთვის ფულადი კომპენსაციის სახით 2 (ორი) თვის თანამდებობრივი სარგოს ჩარიცხვა, თუმცა აღნიშნული ბრძანების გამოცემიდან მეორე დღეს, ჯ. ლ-ი კვლავ დაინიშნა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების ... მოვალეობის შემსრულებლად 2017 წლის 2 მაისიდან 1 ივლისამდე, ხოლო 2017 წლის 30 ივნისიდან იგი დაინიშნა იმავე პოზიცი-აზე ... თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა 2 თვის თანამდებობრივი სარგო. საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მითითებული ნორმის გამოყენების დროს ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს ნორმის მიზნობრივი განმარტებიდან გამომდინარე, თუ რა მიზანს ემსახურება კანონმდებლის ნება. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის მიზანია სამუშაოდან გათავისუფლებული პირისათვის სხვა სამუშაოს პოვნამდე არსებობის შენარჩუნების მინიმალური ფინანსური უზრუნველყოფა. აღნიშნული დახმარება უმუშევრად დარჩენილი მოხელის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის ერთ-ერთი ღონისძიებაა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევა-

ში არ არსებობდა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის ანაზღაურების საფუძველი. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სწორად უზრუნველყო მოსარჩელისათვის 2 თვის თანამდებობრივი სარგოს სახით კომპენსაციის მიცემის საკითხის გადაწყვეტა, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულიად კანონიერად იქნა იგი გაუქმებული ჯ. ლ-ის იმავე დაწესებულებაში სხვა თანამდებობის დაკავების გამო. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ჯ. ლ-ს არ შექმნია არასტაბილურობის განცდა, რადგან 2017 წლის 2 მაისიდან კვლავ დასაქმდა იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში ვაკანტურ თანამდებობაზე, ხოლო გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამოცხადებული კონკურსის გავლის შედეგად დაინიშნა ... თანამდებობაზე. იგი უწყვეტად, დღემდე აგრძელებს მუშაობას და იღებს მისი პოზიციისათვის შესაბამის თანამდებობრივ სარგოს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 29 მაისის №1193 ბრძანებას არ მოჰყოლია სისტემიდან მოსარჩელის გათავისუფლება და მისი უმუშევრად დარჩენა, ასევე ჯ. ლ-ი არ იმყოფება სამსახურის დაკარგვის საშიშროების ქვეშ, ის ერთი დღეც არ დარჩენილა უმუშევარი, შესაბამისად, სამსახურის დაკარგვის გამო იგი არ ჩავარდნილა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის დანიშნულებას კი, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს სისტემიდან გათავისუფლებული, სამსახურის გარეშე დარჩენილი მოხელის დახმარება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია (იხ. სუს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება №ბს-487-464(კ-07)).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია. სადავო ბრძანება გამოცემულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო სადავო აქტის კანონიერების პირობებში, არ არსებობს ჯ. ლ-ისათვის კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო საჩივარი, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ლ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ჯ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ
ბრძანების ბათილად ცნობისას ტოლფას
თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის
სრული ანაზღაურება**

**გადანყვებითლება
საქართველოს სახელით**

№ბს-610-610(კ-18)

4 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 2 ნოემბერს ა. ს-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... თანამდებობიდან გათავისუფლდა. მოსარჩელემ აღნიშნული ბრძანება გაასაჩივრა სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და ანალიზის საფუძველზე, ა. ს-ას შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებით, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილება მოცემულ ნაწილში დარჩა ძალაში. მოსარჩელის აზრით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სასამართლოს დავალება არ შეასრულა და დამატებითი გამოკვლევის გარეშე გამოსცა ახალი ბრძანება, რომლითაც ა. ს-ა კვლავ გათავისუფლდა სამსახურიდან.

ამდენად, მოსარჩელემ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 3 ოქტომბრის №3711 ბრძანების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ამავე სამსახურის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე პერიოდში ა. ს-ას სასარგებლოდ იძულებით განაცდურის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 3 ოქტომბრის №3711 ბრძანება; მოპასუხეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ა. ს-ას სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან მისი სამსახურში აღდგენის დღემდე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2013 წლის 24 დეკემბერს, ერთი მხრივ, ქ. თბილისის მერიასა და მეორე მხრივ, შპს „ნ...ს“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენდა ტრანსპორტით მომსახურება. მისი ღირებულება განსაზღვრული იყო 114 340 ლარით, ხოლო ხელშეკრულება 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 მაისამდე იყო ძალაში. ხელშეკრულებით განისაზღვრა ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რომელსაც ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებდა შემსყიდველი – ქ. თბილისის მერია.

ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 1 ოქტომბრის №1781 განკარგულებით, ა. ს-ა დაინიშნა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... თანამდებობაზე კონკურსის შედეგად 2 თვის გამოსაცდელი ვადით.

2014 წლის 3 სექტემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა №10-10/14246952 წერილით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და აცნობა, რომ მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... – ა. ს-ამ წარადგინა სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ნ...თან“ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული აქტით შპს „ნ...ისთვის“ უნდა გადარიცხულიყო 2 480 ლარი განუული მომსახურებისთვის, თუმცა ამ აქტთან დაკავშირებით სამსახურის ... წარმოეშვა შეკითხვები, რაც შემდგომი რეაგირებისა და დასკვნისათვის გადააგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურში. 2014 წლის 15 სექტემბერს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსს მოხსენებითი ბარათით მიმართეს ამავე სამსახურის მონიტორინგის განყოფილების მთავარმა სპეციალისტებმა, რომლებიც მიუთითებდნენ სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... – ა. ს-ას ქმედებებზე. კერძოდ, მათ მიერ შესწავლილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის 2014 წლის 3 სექტემბრის წერილი. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... – ა. ს-ამ, სამსახურის ... თანაშემწის დაუკითხავად სამსახურის ბეჭედი დას-

ვა მიღება-ჩაბარების აქტზე, რომელსაც თავად აწერდა ხელს. ა. ს-ა, შპს „ნ...ის“ მიერ წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით სატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილ კილომეტრაჟს, რის საფუძველზეც განისაზღვრებოდა კონტრაქტორზე გადასახდელი თანხა, ადასტურებდა ყოველგვარი პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის ღონისძიებების გარეშე. ამასთან, წარდგენილი და მოპოვებული დოკუმენტაციით, ასევე არ დასტურდებოდა №10.2/20/490 ხელშეკრულებით – „ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ შესყიდვებზე, „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების პერიოდული ინსპექტირების ფაქტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... – ა. ს-ა, სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანება ა. ს-ამ გაასაჩივრა სასამართლო წესით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანება ა. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილ ვადაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ა. ს-ას მიერ გასაჩივრდა ზემდგომ სასამართლო ინსტანციებში, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინებით ა. ს-ასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 3 ოქტომბრის №3711 ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სა-

ქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... – ა. ს-ა 2014 წლის 23 სექტემბრიდან, სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე და განმარტა, რომ ამავე კანონის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის; ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ თავად არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს ადმინისტრაციული ორგანოს ან შესაბამისი თანამდებობის პირის არჩევანში, რაც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას მიკუთვნებულ ისეთი გადაწყვეტილების მიღებასთან, როგორც არის საშტატო ერთეულზე ამა თუ იმ პირის დანიშვნა/გათავისუფლება, რადგან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, მაგრამ მითითებული მსჯელობა არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით და ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის ფარგლებში, არ უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით – თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში აღინიშნება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქტის გამოცემისას.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ა. ს-ას მიმართ ისე გამოიყენა დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მაღალი ზომა, რომ არ დაასაბუთა იგი. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანების გამოცემისას, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 3 ოქტომბრის №3711 ბრძანების მიღებისას ყურადღების მიღმა დარჩა საკითხი იმის შესახებ, რომ 2013 წლის 24 დეკემბერს, ქ. თბილისის მერიასა და შპს „ნ...ს“ შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.2/20/490 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირებისათვის, რო-

მელშიც შედიოდა ა. ს-ა, არ ყოფილა შემუშავებული და დღეის მდგომარეობითაც არ არსებობს რაიმე კანონქვემდებარე აქტი, რომელიც დაარეგულირებდა ინსპექტირებისა და კონტროლის წესებს. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისე იქნა გამოცემული ა. ს-ას გათავისუფლების შესახებ ბრძანება, რომ არ იქნა გათვალისწინებული თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაშიც არ არის დასაბუთებული ის გარემოება, რატომ იყო აუცილებელი ადმინისტრაციული სახდელის სახით ყველაზე მკაცრი ღონისძიების გამოყენება და რატომ იყო შეუძლებელი გამოყენებულიყო უფრო ნაკლებად მძიმე სახდელი, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ა. ს-ას მიმართ მანამდე არ ყოფილა გამოყენებული არანაირი სახდელი. აქედან გამომდინარე, სახეზეა სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული წარმოების უხეში დარღვევა, რაც იწვევს გამოცემული გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოხელე აღდგენილი უნდა იქნეს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში პირის თანამდებობაზე აღდგენა თავისთავში გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც ის გათავისუფლდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები. კერძოდ, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებია: გ.ა) თბილისის მერიის ადმინისტრაცია; გ.ბ) თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური; გ.გ) თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური; გ.დ) თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური; გ.ე) თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური; გ.ვ) თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური; გ.ზ) თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური; გ.თ) თბილისის მერიის უსაფრთხოების სა-

ქალაქო სამსახური; გ.ი) თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური; გ.კ) თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; გ.ლ) თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური; გ.მ) თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; გ.ნ) თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური; გ.ო) თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება თუ რომელი სამსახური ახორციელებს იმავე ფუნქციებს, საიდანაც გათავისუფლებულ იქნა მოსარჩელე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დაევალოს გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ა. ს-ა აღდგება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა იძულებითი განაცდური. მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ა. ს-ა სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ამდენად, ა. ს-ა უფლებამოსილია მიიღოს იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი 2014 წლის 23 სექტემბრიდან სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ს-ამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ... თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ა. ს-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ა. ს-ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ა. ს-ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ... თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება ა. ს-ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი აქტის გამოცემის დავალდებულების ნაწილში და განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №9-19 დადგენილებით დამტკიცდა „ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულება“. აღნიშნული დებულების 5.2. მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის ერთ-ერთ

სტრუქტურულ ქვედანაყოფად მითითებულ იქნა მონიტორინგისა და შეფასების განყოფილება. 7.5. მუხლის თანახმად კი, მონიტორინგისა და შეფასებების განყოფილების კომპეტენციად განისაზღვრა: ა) სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული მუნიციპალური პროგრამების მონიტორინგი, შეფასება და შესაბამისი წინადადებების და დასკვნების მომზადება, სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობით ნებადართული სხვა დავალებების შესრულება; ბ) მუნიციპალური დაქვემდებარების განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამებისა და საქმიანობის ხარისხის შესწავლა და შეფასება, ამ მიმართულებით შესაბამისი ანგარიშების მომზადება; გ) შესწავლილი საქმიანობის ანალიზის საფუძველზე შესაბამისი პერიოდული ანგარიშების მომზადება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებიდან მოცემულ დრომდე არაერთხელ შეიცვალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იმ სამსახურის დასახელება, რომელშიც მუშაობდა მოსარჩელე. თავდაპირველად სამსახურის სახელწოდება იყო ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, 2014 წლის 23 სექტემბრის მდგომარეობით არსებობდა „ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური“, ხოლო 2017 წლის 24 მარტის მდგომარეობით – „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური“. დღეის მდგომარეობით (2018 წლის იანვრიდან) აღნიშნული სამსახურის სახელწოდებაა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური“. ამავდროულად, უდავოა, რომ ყველა ეტაპზე, არსებითად უცვლელად დარჩა მითითებული სამსახურის კონკრეტული განყოფილების დასახელება („მონიტორინგის განყოფილება“, „მონიტორინგისა და შეფასების განყოფილება“) და როგორც ძველ, ისე მოქმედ დებულებაში გათვალისწინებულია სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (განყოფილების) ... თანამდებობა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება, თუ რომელი სამსახური ახორციელებს იგივე ფუნქციებს, საიდანაც გათავისუფლებულ იქნა მოსარჩელე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოქმედი და ძველი დებულებებით გათვალისწინებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ურთიერთშედარება, მათი შინაარსი იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ სტრუქტურული ერთეული და თა-

ნამდებობა, რომელზეც მოსარჩელე აცხადებს პრეტენზიას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში კვლავ არსებობს, შესაბამისად, შესაძლებელია მოსარჩელის აღდგენა კონკრეტული დასახელების თანამდებობაზე, ასეთად მოქმედი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-12 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულებიდან“ გამომდინარე, მიჩნეულ უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ... თანამდებობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს იმ პროცესუალურ დარღვევაზე, რაც, მისი აზრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი უნდა გახდეს. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოში ა. ს-ას ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ამავე სამსახურის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რაც დაკმაყოფილდა, თუმცა ა. ს-ამ გადაწყვეტილება სწორედ აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... თანამდებობაზე აღდგენა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ა. ს-ა უფლებამოსილი არ იყო სასარჩელო მოთხოვნა შეეცვალა სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს დაუშვებლად უნდა ეცნო მისი სააპელაციო საჩივარი.

კასატორი ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილება წარმოადგენს იმ სამსახურის იდენტურ სამსახურს, სადაც მუშაობდა ა. ს-ა, რადგან დებულებათა ურთიერ-

თმედარებით ცალსახად დასტურდება ის ფაქტი, რომ ახლანდელი და ადრე არსებული განყოფილება სხვადასხვა ფუნქციების მატარებელია. სახელწოდებათა მსგავსება არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეს სამსახურები იდენტურია.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ ტრანსპორტით მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების კონტროლისა და ინსპექტირებისათვის ა. ს-ას მიენიჭა სპეციალური ფუნქცია, რომელიც განერილია ამ ხელშეკრულების 5.1, 5.2 და 6.1 პუნქტებში. ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე კონტროლი და ინსპექტირება მოიცავდა ორ ძირითად პარამეტრს, კერძოდ, რამდენად გააჩნდა კონტრაქტორს ის უფლებები, რომელიც განსაზღვრული იყო ტექნიკურ დავალებაში და რეალურად რამდენ კილომეტრს დაფარავდა ესა თუ ის სატრანსპორტო საშუალება კონკრეტული მარშრუტის შესრულებისას, რის საფუძველზეც კონტრაქტორი კომპანია მიიღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებას. ორივე პარამეტრზე კონტროლი უნდა განეხორციელებინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 3 იანვრის №1/9 ბრძანებით შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს, კონკრეტულად, ა. ს-ას. მიუხედავად იმისა, რომ მითითებულ ბრძანებაში დადგენილი კონტროლის ღონისძიებების პირობები არ იყო ზედმიწევნით განერილი, ამით ა. ს-ას არ გააჩნდა პრივილეგია გადაწყვეტილება მიეღო და კონტროლისა და ინსპექტირების ღონისძიებათა გატარების გარეშე დაედასტურებინა კონტრაქტორის მიერ წარდგენილი ხელმოუწერელი დოკუმენტი. მან ამ შემთხვევაში გადაამეტა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, ხელმოწერით დაადასტურა შპს „ნ...ის“ მიერ წარმოდგენილი, ხელმოუწერელი მიღება-ჩაბარების აქტი. უფრო მეტიც, იგი სამსახურის უფროსის თანაშემწის ნებართვის გარეშე უკანონოდ დაეუფლა სამსახურის ბეჭედს და სამსახურის უფროსთან შეუთანხმებლად, ბეჭდით დაადასტურა აღნიშნული დოკუმენტი, რითაც საფრთხე შეუქმნა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს. ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 29 სექტემბრის დასკვნის შესაბამისად, სამსახურებრივი შემონმებით დადასტურდა ა. ს-ას ბრალეული სავარაუდო დანაშაულებრივი მოქმედებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 2832 ლარის ზიანის მიყენების ფაქტი, რის გამოც საქმის მასალები გადაგზავნილ იქნა პროკურატურაში რეაგირებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 4 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ივლისის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ... თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენისა და ა. ს-ასათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ს-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 1 ოქტომბრის №1781 განკარგულებით, ა. ს-ა დაინიშნა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... თანამდებობაზე კონკურსის შედეგად, 2 თვის გამოსაცდელი ვადით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... – ა. ს-ა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევისათვის გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული ბრძანება ა. ს-ამ გაასაჩივრა სასა-

მართლო წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2014 წლის 23 სექტემბრის №793 ბრძანება ა. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით დადგენილ ვადაში. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეების მიერ გასაჩივრდა როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის განჩინებით უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის განჩინებით ა. ს-ასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა 2016 წლის 3 ოქტომბერს გამოსცა №3711 ბრძანება, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ...- ა. ს-ა 2014 წლის 23 სექტემბრიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევის გამო. კერძოდ, ა. ს-ას სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი გახდა ქ. თბილისის მერიასა და შპს „ნ...ს“ შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენდა ტრანსპორტით მომსახურება, რომლითაც განსაზღვრული იყო აგრეთვე ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება). მას ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებდა შემსყიდველი – ქ. თბილისის მერია. სამსახურებრივ მოვალეობათა უხეში დარღვევა გამოიხატა იმ ქმედებებში, რომ ა. ს-ამ, სამსახურის უფროსის თანაშემწის დაუკითხავად, სამსახურის ბეჭედი დასვა მიღება-ჩაბარების აქტზე, რომელსაც თავად აწერდა ხელს. ა. ს-ა შპს „ნ...ის“ მიერ წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით სატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილ კილომეტრაჟს, რის საფუძველზეც განისაზღვრებო-

და კონტრაქტორზე გადასახდელი თანხა, ადასტურებდა ყოველგვარი პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის ღონისძიებების გატარების გარეშე. ამასთან, წარდგენილი და მოპოვებული დოკუმენტაციით, ასევე არ დასტურდებოდა ხელშეკრულებით – „ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ შესყიდვებზე, „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების პერიოდული ინსპექტირების ფაქტი.

განსახილველი დავის საგანს ა. ს-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 3 ოქტომბრის №3711 ბრძანების კანონიერების დადგენა, სამსახურში აღდგენა და მთელი მოცდენილი პერიოდისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას ა. ს-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 3 ოქტომბრის №3711 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ა. ს-ას მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მაღალი ზომა გამოიყენა დასაბუთების გარეშე და მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშედარების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარე-

მოებას წარმოადგენდა ზუსტად ყოფილიყო დადგენილი, ა. ს-ას მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი სამსახურებრივი უფლებამოსილების უხეშ დარღვევას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩა საკითხი იმის შესახებ, რომ 2013 წლის 24 დეკემბერს, ქ. თბილისის მერიასა და შპს „ნ...ს“ შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდული ინსპექტირებისა და კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირებისათვის, რომელშიც შედიოდა ა. ს-ა, არ ყოფილა შემუშავებული რაიმე კანონქვემდებარე აქტი, რომელიც დაარეგულირებდა ინსპექტირებისა და კონტროლის წესებს. ამასთან, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საგზაო დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილ სავარაუდო მანძილთან (კილომეტრაჟი) დაკავშირებით, რომელსაც დაეყრდნო ადმინისტრაციული ორგანო ბრძანების მიღებისას, არ ასახავდა ზუსტ მონაცემებს და აღნიშნული ინფორმაცია სადავო 2016 წლის 3 ოქტომბრის №3711 ბრძანების საფუძვლიანობას არ ადასტურებდა. ამდენად, მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით ოდომეტრის ჩვენებების მიუთითებლობა (ამოუწერლობა) ა. ს-ას მხრიდან სამსახურებრივ მოვალეობათა უხეშ დარღვევას არ წარმოადგენდა. სატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილი კილომეტრაჟების შესახებ მხოლოდ ზუსტი და სარწმუნო ინფორმაციის მიღების შემდეგ იყო უფლებამოსილი მოპასუხე მხარე, დაეყრდნობოდა აღნიშნულ ინფორმაციას სადავო ბრძანების გამოცემისას, რომლითაც მან დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მაღალი ზომა გამოიყენა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის თანახმად, საჯარო სამსახურში საქმიანობა, საჯარო სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობებისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. საჯარო მოსამსახურე საჯარო სამსახურში განხორციელებული საქმიანობის პროცესში ანგარიშვალდებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე და შესაბამისად, საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევე-

ბისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა და რომლის მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

საკაცაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა – არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. თავის მხრივ, დისციპლინური გადაცდომისათვის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველები განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლით, კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა; ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

საკაცაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევას კანონი არ განმარტავს, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როდესაც დაწესებულებას

მნიშვნელოვანი მატერიალური თუ სხვა სახის ზიანი ადგება ან/და ამით მნიშვნელოვნად ეშლება ხელი ადმინისტრაციულ ორგანოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, მნიშვნელოვნად ილახება მოქალაქეთა უფლებები, სამსახურის პრესტიჟი, დარღვევა გამოიხატება მოხელის მხრიდან მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შეგნებულ უფლებელყოფაში ან უხეშ დაუდევრობაში და სხვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისე იქნა გამოცემული ა. ს-ას გათავისუფლების შესახებ ბრძანება, რომ არ ჩატარებულა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება, არ იქნა დადგენილი ორგანოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი. ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე ყურადღების მიღმა დატოვა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მითითება საკითხის ხელახალი შესწავლისას განსახილველი გარემოებების შესახებ (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 მარტის №3/3847-14 და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 9 თებერვლის №3ბ/1668-15 გადაწყვეტილებები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ივლისის №ბს-400-395(2კ-16) განჩინებით, შესულია კანონიერ ძალაში, რომელთა საფუძველზეც ა. ს-ას მიმართ ხელახლა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება), კერძოდ, მოცემულ შემთხვევაშიც არ არის დასაბუთებული ის გარემოება, რატომ იყო აუცილებელი ადმინისტრაციული სახდელის სახით ყველაზე მკაცრი ღონისძიების გამოყენება და რატომ იყო შეუძლებელი უფრო ნაკლებად მძიმე სახდელის დაკისრება, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ა. ს-ას მიმართ მანამდე არ ყოფილა გამოყენებული არანაირი სახდელი და პირიქით, საქმეში წარმოდგენილია სამადლობელი წერილი შესრულებული სამუშაოს გამო, რომელიც შეეხება 2014 წლის 13 მარტიდან 29 აპრილის ჩათვლით პერიოდს. აღნიშნული გარემოებები, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან გაანალიზების პირობებში, არ იძლეოდა ისეთი მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას, რასაც მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვა, მით უფრო იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს კანონი აძლევდა სხვა, უფრო მსუბუქი დისციპლინური სახდელის გამოყენების შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მითითებებს სადავო აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ კასატორს ამ ნაწილში არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

რაც შეეხება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ... თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენის ნაწილში, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას, რომ აღნიშნული განყოფილება წარმოადგენს იმ სამსახურის იდენტურ სამსახურს, სადაც ა. ს-ა მუშაობდა. სწორედ მოცემული მსჯელობის დაუსაბუთებლობა წარმოადგენს აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილებით დაავალოს, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან თვითონ მოაწესრიგოს სადავო საკითხი. ამასთან, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით და არსებით გამოკვლევას. ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

სადავო პერიოდისათვის მოქმედი ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის დებულების“ 16.1 მუხლის მიხედვით, საქალაქო სამსახური არის ქ. თბილისის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, შესაბამისი დარგის მართვისათვის შექმნილი ორგანო, რომელიც ქ. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულია. ამასთან, ქ. თბილისის მერიის 2006 წლის 26 დეკემბრის №13 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დებულების“ 6.6 მუხლის შესაბამისად, ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების კომპეტენციაა: ა) ქ. თბილისის რაიონის გამგეობებისათვის საბავშვო და ახალგაზრდულ საკითხებში ადგილობრივი პოლიტიკის გატარებაზე მონიტორინგის განხორციელება; ბ) საბავშვო და ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენა; გ) ქ. თბილისის ტერიტორიაზე საბავშვო და ახალგაზრდულ საკითხებში ადგილობრივი პოლიტიკის გატარებაზე მონიტორინ-

გის განხორციელება; დ) ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო და ახალგაზრდულ დაწესებულებებზე მონიტორინგის განხორციელება; ე) ახალგაზრდებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლების ხელისშეწყობა, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში დახმარების განევა; ვ) ახალგაზრდათა დასვენების, ყოფის, შრომითი მოღვაწეობისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ოპტიმალური პირობების შექმნა. „ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის №1-1 გადაწყვეტილება ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებით, რომლის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განისაზღვრა თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ: გ.ა) თბილისის მერიის ადმინისტრაცია; გ.ბ) თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური; გ.გ) თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური; გ.დ) თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური; გ.ე) თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური; გ.ვ) თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური; გ.ზ) თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური; გ.თ) თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახური; გ.ი) თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური; გ.კ) თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; გ.ლ) თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური; გ.მ) თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; გ.ნ) თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური; გ.ო) თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-12 დადგენილებით კი დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულება“. ახალი დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით სამსახურის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფია მონიტორინგისა და შეფასების განყოფილება. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კომპეტენციის ფარგლებში, მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ფუნქციებია: ა) სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ განეული სამუშაოებისა და დაგეგმილი საბიუჯეტო ხარჯების გეგმური შესრულების ანალიზი; ბ) იურიდიული პირების საქ-

მიანობის მონიტორინგი, შეფასება და შესაბამისი ანგარიშების მომზადება; გ) სამსახურს დაქვემდებარებული ობიექტების წლიური ანგარიშების შესწავლა; დ) იურიდიული პირების პრობლემების იდენტიფიცირება და საჭიროებების დადგენა; ე) მუნიციპალური პროგრამების, ღონისძიებების/აქტივობების/პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, შეფასება, შესაბამისი წინადადებისა და დასკვნების მომზადება; ვ) დაფინანსებული პროექტების განხორციელების შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადების კონტროლი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფინანსური და სამართლებრივი მხარის შესწავლა/ვიზუალური მასალის გაცნობა; ზ) მონიტორინგის ოქმების ფორმების შემუშავება, მოხსენებითი ბარათისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება; თ) პროექტების განხორციელების შესახებ დადებული ხელშეკრულებით მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების გაანგარიშება; ი) იურიდიული პირების სამუშაო პროცესის მონიტორინგი; კ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი; ლ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღრიცხვა; მ) ინვენტარიზაციის პროცესის მართვა; ნ) სრულ ინდივიდუალურ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულებების მომზადება; ო) სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის/ორგანოს მიერ შემოწმებული მუნიციპალური ობიექტების დასკვნების შესწავლა და რეაგირება; პ) შესწავლილი საქმიანობის ანალიზის საფუძველზე შესაბამისი პერიოდული ანგარიშების მომზადება.

ამდენად, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებიდან დღემდე არაერთხელ შეიცვალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იმ სამსახურის დასახელება, რომელშიც მუშაობდა მოსარჩელე: თავდაპირველად სამსახურის სახელწოდება იყო „ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური“, 2014 წლის 23 სექტემბრის მდგომარეობით არსებობდა „ქალაქ თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური“, ხოლო 2017 წლის 24 მარტის მდგომარეობით – „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური“. დღეის მდგომარეობით (2018 წლის იანვრიდან) აღნიშნული სამსახურის სახელწოდებაა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური“.

საკასაციო სასამართლო, ზემოაღნიშნულ დებულებათა ურთი-

ერთშეჯერების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მხოლოდ განყოფილებების სახელწოდებათა მსგავსება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმის დასტურად, რომ სახეზეა იდენტური სამსახურები. საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან მიმართებაში იზიარებს კასაციის მოტივს, რომ მითითებული დებულებების შინაარსობრივი შედარებით ცალსახად დასტურდება ის ფაქტი, რომ მონიტორინგისა და შეფასების განყოფილება, განსხვავებით ადრე არსებული მონიტორინგის განყოფილებისაგან სხვა ფუნქციების მატარებელია. ამასთან, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება თუ რომელი სამსახური ახორციელებს იმავე ფუნქციებს, საიდანაც გათავისუფლებულ იქნა მოსარჩელე. ამდენად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დაევალოს გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ა. ს-ა აღდგება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს ა. ს-ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ...თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონოდ ცნობა საკმარისია მოსარჩელის იმ უფლებებში აღსადგენად, რაც გასაჩივრებული ბრძანების გამოცემამდე გააჩნდა. ამავე ნორმის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სხვა საჯარო დაწე-

სებულებაში ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა დასაშვებია უკანონოდ გათავისუფლებული მოხელისა და ამ საჯარო დაწესებულების თანხმობით.

ამდენად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენასთან დაკავშირებით უნდა იხელმძღვანელოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლით დადგენილი პროცედურების დაცვით.

ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს უნდა მისცემოდა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით (იხ. საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/4/735 გადაწყვეტილებით კონსტიტუციური სარჩელი №735 (იხ. საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – მერი გიორგაძე და ფიქრია მერაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებები საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საფუძვლიანია ა. ს-ას მოთხოვნა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ა. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 3 ოქტომბრის №3711 ბრძანების ბათილად ცნობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, რაც წარმოადგენს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების წინაპირობას. ამასთან, ა. ს-ას უნდა აუ-

ნაზღაურდეს იძულებითი განაცდური სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ა. ს-ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ... თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენისა და ა. ს-ასათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და აღნიშნულ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც ა. ს-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ა. ს-ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ და ა. ს-ასათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ... თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენისა და ა. ს-ასათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;

3. ა. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენის შესახებ;

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს ა. ს-ას სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა მონიტორინგის განყოფილების ... ტოლფას თანამდებობაზე ა. ს-ას აღდგენის შესახებ გადანყვეტილების მიღებამდე;

6. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 12 აპრილის გადანყვეტილება ა. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 3 ოქტომბრის №3711 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სსკვა ადმინისტრაციული ორგანოდან გათავისუფლების კანონიერება

სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმით

№ბს-1182-1176(2კ-17)

2 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე ბრძანების ბათილად ცნობა,
სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. მ-ემ 2016 წლის 23 მაისს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის №1/კ-125 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; დაევალოს მოპასუხეს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ნ. მ-ის ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე; დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნ. მ-ის სასარგებლოდ აანაზღაუროს სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან (2016 წლის 20 აპრილი) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე მთელი პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდური იმ პრემიებისა და დანამატების ჩათვლით, რომელიც გაცემული იქნა სადღესასწაულო თუ სხვა დღეებში ყველა თანამშრომელზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სა-

ქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის №1/კ-125 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ; დაევალა მოპასუხეს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ნ. მ-ის ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე; ნ. მ-ის სარჩელი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე მთელი პერიოდის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. აღნიშნული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 სექტემბრის გადანყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 მარტის გადანყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში; ნ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის №1/კ-125 ბრძანება ნ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სადავო საკითხთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის ა. ო-ის 2016 წლის 12 აპრილის №370196 მოხსენებითი ბარათით ამავე დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნა რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს და ეცნობა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის – ნ. მ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016

ნლის 20 აპრილის №1/კ-125 ბრძანებით, შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის ა. ო-ის 2016 წლის 12 აპრილის №370196 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ნ. მ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გასაჩივრებული 2016 წლის 20 აპრილის №1/კ-125 ბრძანება, რომელიც მიღებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონშესაბამისობა სასამართლომ უნდა შეამოწმოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ნ. მ-ე წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის უფლებამოსილებას წარმოადგენს ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე პირის დანიშვნა – განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტა. დადგენილად იქნა ასევე მიჩნეული, რომ ნ. მ-ის სამუშაოდან განთავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლების დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მეორე პუნქტზე, რომლის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნ. მ-ის მიმართ ადრე არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ღონისძიება; სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადასაწყვეტად ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნია იმავე კანონის 99-ე მუხლის მესამე პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინება იმის შესახებ, რომ მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ

მოვალეობებს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომის დაკისრებისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ მკაფიოდ უნდა დაასაბუთოს მისი გამოყენების აუცილებლობა; კონკრეტულ შემთხვევაში, პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ის ფაქტები, რაც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ნ. მ-ის დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნია, არ ქმნის მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების ლეგიტიმურ საფუძველს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ, ერთი მხრივ, სწორად მიუთითა, რომ ნ. მ-ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი მოვალეობის უხემ დარღვევას, რაც საფუძველი გახდებოდა სხვა დისციპლინური სახდელის გამოყენების გარეშე მისი სამსახურიდან გათავისუფლებისა, ხოლო მეორე მხრივ, იმავე სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინსპექტირების შედეგად ამავე ცენტრის უფროსის – ნ. მ-ის საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების სიმრავლე პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას, კერძოდ, სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებას; ამიტომ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. მ-ის საქმიანობაში გამოვლენილი ზემოაღნიშნული გადაცდომები არ უნდა დარჩეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეაგირების გარეშე, კერძოდ, მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სამსახურიდან განთავისუფლების ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიება.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაითვალისწინა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მეოთხე ნაწილის გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება, რომლის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილს სასამართლო იმ შემთხვევაშიც იყენებს, როდესაც ამკარაა და სასამართლოს დასაბუთებიდან ცალსახადაა ადმინისტრაციული აქტის უკანონობა და დარღვეული უფლებების ფაქტი, მაგრამ იმის გამო, რომ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და სასამართლო კომპეტენციას სცილდება დისკრეციას მი-

კუთვნივებულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება, სასამართლო ეყრდნობა 32-ე მუხლის მე-4 ნაწილს და ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, საქმე №ბს-166-165(კ-16) 14 ივლისი, 2016 წელი).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებას წარმოადგენს ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე პირის არა მარტო დანიშვნა – განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტა, არამედ ამ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს ასევე აღნიშნული პირისთვის სხვა სახის დისციპლინური სახდელის დაკისრებაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება საკაცო წესით გაასაჩივრეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ნ. მ-ემ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არ მისცა შეფასება გარემოებას, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ ორგანოს ყოველმხრივ და სრულად ჰქონდა გამოკვლევული საქმეში არსებული მტკიცებულებები და ვინაიდან ნ. მ-ის მხრიდან სახეზე იყო მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევა, მიიღო ნ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება. ამასთან, სააპელაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების დროს, ერთი მხრივ, ასაბუთებს, რომ ვერ ჩაერევა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში, ხოლო მეორე მხრივ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული მსჯელობით (სადაც აღნიშნავს, რომ ნ. მ-ის საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები არ უნდა დარჩეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეაგირების გარეშე და მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სამსახურიდან განთავისუფლების ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიება) გარკვეულწილად ახორციელებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციაში ჩარევას.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავ-

შირებით, რომ ის ფაქტები, რაც სამინისტრომ ნ. მ-ის დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნია, არ ქმნის მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების ლეგიტიმურ საფუძველს. რამდენადაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წარმოადგინა ყველა მტკიცებულება, რომლითაც დაამტკიცა თავისი პოზიციის საფუძვლიანობა, ხოლო მოსარჩელემ ვერ მიუთითა თავისი პოზიციის საფუძვლიანობაზე. წარმოდგენილი მტკიცებულებებით ნათლად დასტურდება, თუ რატომ მიიჩნია სამინისტრომ ნ. მ-ის დისციპლინური გადაცდომა, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების ლეგიტიმურ საფუძველად. სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, სწორად დაადგინა, რომ ნ. მ-ის საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები არ უნდა დარჩეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეაგირების გარეშე, თუმცა მეორე მხრივ, არასწორად მიიჩნია, რომ ნ. მ-ის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სამსახურიდან გათავისუფლების ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიება. სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, კერძოდ, აუდიტის დასკვნასა და ა. ო-ის მოხსენებით ბარათში მითითებულ მთელ რიგ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევებს, რომლებსაც ჰქონდათ არაერთჯერადი ხასიათი და საქმიანობის შესრულების დროს ქმნიდა მნიშვნელოვან რისკებს.

კასატორის მოსაზრებით, სწორედ არსებული რისკებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო ნ. მ-ის მიმართ სხვა, უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, თუმცა შეფასება არ მისცა გარემოებას, იმის თაობაზე, რომ ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინსპექტირების შედეგად გამოირკვა შემდეგი სახის დარღვევები: რესურსცენტრს არა აქვს შემუშავებული/დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა, ხოლო 2015 წლის 08 აპრილამდე არ ჰყავდა განსაზღვრული შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის eplan მოდულში აღნიშნული გეგმის რეგისტრირებაზე უფლებამოსილი პირი. ასევე დადგინდა, რომ 2014 და 2015 წლებში სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული 7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა კანონმდებლობით დადგენილი დღეების მინიმალური ოდენობით (სულ მცირე 30 დღე) არ აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდების/მომსახურების განვეის ვადას, რითაც უგულებელყოფილია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა. 2014 და 2015 წლებში სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით

გაფორმებული ხელშეკრულებების უმეტეს ნაწილში ხელშეკრულების ღირებულება აჭარბებს ხელშეკრულების გაფორმების მომენტში შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ თანხას და შესაბამისი ცვლილება გეგმაში შეტანილია დაგვიანებით, ხოლო რიგ შემთხვევებში, ხელშეკრულების ობიექტის შესყიდვა შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებული საერთოდ არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, რესურსცენტრის შესყიდვების წლიურ გეგმაში არ არის საკმარისი ფინანსური რესურსი კონკრეტული საქონლის/მომსახურების შესაძენად, აღნიშნული მიუთითებს, რომ მათი შედგენა განხორციელებულია კონკრეტული შესყიდვების აუცილებლობის, საჭიროებისა და მათი სავარაუდო ღირებულების სრულად განსაზღვრის გარეშე, ხოლო შესყიდვების წლიურ გეგმაში თანხის კორექტირების დაგვიანებით განხორციელების შემთხვევები მიუთითებს შესყიდვების წლიური გეგმის ფორმალურად შედგენის ხასიათსა და იმ გარემოებაზე, რომ რესურსცენტრი ვერ უზრუნველყოფს შესყიდვების წინასწარ დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად განხორციელებას. გარდა ამისა, 2014, 2015 და 2016 წლებში (2016 წლის 18 მარტის მდგომარეობით) სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების ძირითად ნაწილში, მიმწოდებელთან ანგარიშსწორების საფუძველად ან საქონლის მიღების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტი ან/და ანგარიშფაქტურა, თუმცა კონკრეტულ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელებულია მხოლოდ სასაქონლო ზედნადების საფუძველზე. ასევე დადგინდა, რომ რესურსცენტრის უფროსი, ნ. მ-ე, 2015 წლის 21 აპრილიდან ამავე წლის 6 მაისის ჩათვლით იმყოფებოდა ანაზღაურებად შვებულებაში (ბრძ.№2-18 20/04/2015 წ.), რა დროსაც მის მოვალეობას ასრულებდა რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი, თუმცა აღნიშნული პირისათვის რესურსცენტრის მიერ არ მომხდარა მისთვის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს გარდა, რესურსცენტრის უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დანამატის ან არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგოს მიცემა. ინსპექტირების დროს გამოვლინდა ინვენტარიზაციისა და სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის წესების დარღვევის ფაქტები. გარდა ამისა, ინსპექტირების პროცესში გამოვლინდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის საქმიანობის მარეგულირებელი აქტების არაერთჯერადად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარღვევის ფაქტები: დადგენილი წესის თანახმად, ექსტერნატის ფორმით დაძღვევის გამოცდებზე ექსტერნთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით რესურსცენტრის უფროსი ვალდებუ-

ლია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც უნდა აისახოს იმ საგნების ჩამონათვალი, რომლის დაძლევაც უნდა განხორციელდეს ექსტერნატის ფორმით, ამასთან პირი განცხადებაში უთითებს იმ საგნებს, რომელთა გამოცდით დაძლევაც სურს. მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ ბრძანებაში ჩასაბარებელ საგანთა ნუსხას განსაზღვრავდა რესურსცენტრის უფროსი დაინტერესებულ პირთა განცხადებებისგან დამოუკიდებლად, რადგან არაერთ შემთხვევაში ბრძანებაში მითითებულია განცხადებაში დაფიქსირებულისაგან განსხვავებული საგნები. ასევე, ექსტერნატის გამოცდაზე დასაძლევ საგანთა ნუსხას რესურსცენტრის უფროსი ამტკიცებდა არა დაინტერესებული, არამედ სხვა პირების მიერ შეტანილი განცხადებების საფუძველზე, ისე, რომ აღნიშნული პირები რესურსცენტრში არ წარადგენდნენ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს. მსგავსი დარღვევები გრძელდებოდა ექსტერნატის სხვადასხვა გამოცდებზე და ისინი ქმნიან იმის რისკს, რომ პირებმა ექსტერნატის გამოცდა ვერ ჩააბარონ მათთვის სასურველ ან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებში. აღნიშნული ასევე ადასტურებს, რომ დაინტერესებული პირების განცხადებების შესწავლას აქვს ფორმალური ხასიათი და რესურსცენტრის უფროსის ბრძანებაში მონაცემები ფიქსირდება განცხადებების შინაარსისგან დამოუკიდებლად. გარდა ამისა, დადგინდა წესის თანახმად, პირს უფლება აქვს ექსტერნატის ფორმით ჩააბაროს ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები იმ შემთხვევაში, თუ მისი ასაკი შეესაბამება ან აღემატება ექსტერნატის ფორმით დასაძლევი კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფს და მას დაძლეული აქვს წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამა. ინსპექტირების პროცესში დადგინდა, რომ ექსტერნატის გამოცდაზე პირი დარეგისტრირებული იქნა ისე, რომ რესურსცენტრში არ ყოფილა წარდგენილი წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, მეტიც, განცხადებაში და მასზე დართულ დოკუმენტებში პირდაპირ იყო მითითებული, რომ პირს არ ჰქონდა დაძლეული წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული ხასიათის დარღვევა ქმნის იმის რისკს, რომ მომავალშიც ექსტერნატის გამოცდაზე დარეგისტრირებულ იქნეს პირი, რომელსაც არ ექნება დაძლეული წინმსწრები კლასის/სემესტრის საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე დადგინდა, რომ რესურსცენტრის მოქმედი შინა-

განანესის თანახმად, რესურსცენტრში ყოველდღიურად სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება 9:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო კვირის ბოლო სამუშაო დღეს, აგრეთვე უქმე დღეების წინა სამუშაო დღეს – 9:00 საათიდან 17:00 საათამდე, თუმცა სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალის მონაცემებით ირკვევა, რომ სამუშაო ადგილიდან წასვლის დროდ თანამშრომლები ყოველთვის უთითებენ ზუსტად 18:00 საათს. აღნიშნული შეუსაბამობის გამო, საკითხზე წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოერთვათ როგორც რესურსცენტრის უფროსს, ასევე რესურსცენტრის თანამშრომლებს და დადგინდა, რომ სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალში მონაცემების დაფიქსირება ატარებს ფორმალურ ხასიათს და არ ასახავს რეალურ ინფორმაციას. გასათვალისწინებელია, რომ მოსამსახურეების მიერ შინაგანანესის შესრულებაზე კონტროლი, შინაგანანესის თანახმად, უნდა განეხორციელებინა რესურსცენტრის უფროსს, რასაც იგი არ ახორციელებდა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ დავის გადაწყვეტილების დადგინა ფაქტობრივი გარემოებები. ასევე საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლეოდა სადავო ბრძანების სამართლებრივი საფუძვლის გასარკვევად, შესაბამისად, სახეზე არ არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 მუხლის გამოყენების წინაპირობა. ამასთან, სასამართლომ შეფასება არ მისცა გარემოებას იმის თაობაზე, რომ სახეზეა მოსარჩელის მიერ კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების ისეთი დარღვევა, რაც დასაქმებულის მიმართ დამსაქმებლის ნდობას აქარწყლებდა და რაც ერთმნიშვნელოვნად უხეშ დარღვევას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მიერ ჩადენილი გადაცდომები წარმოადგენს უხეში ხასიათის გადაცდომებს და მის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების გამოყენება არის მართლზომიერი და ადეკვატური სახდელი. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, თუ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და სასამართლო კომპეტენციას სცილდება დისკრეციას მიკუთვნებულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, სასამართლო ამ შემთხვევაშიც ცერდნობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილს და ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამინისტრომ გამოიკვლია საქმეში

არსებული მთელი რიგი მტკიცებულებები, ერთობლიობაში შეაფასა ნ. მ-ის მოქმედება, ბრალეულობის ხარისხი, მიზეზობრივი კავშირი მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, მოსალოდნელი ზიანი, რომელიც შესაძლოა მისდგომოდა ადმინისტრაციულ ორგანოს ან/და მესამე პირს. ვინაიდან, არსებული რისკებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო მის მიმართ სხვა, უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება, სწორედ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო გადაწყვეტილება ნ. მ-ის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინსპექტირების შედეგად, ამავე ცენტრის უფროსის – ნ. მ-ის საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების სიმრავლე პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, ნ. მ-ის საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები არ უნდა დარჩეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეაგირების გარეშე. თუმცა სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ დაადგინა, რომ ნ. მ-ის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, იმ თანამდებობის პირმა ან დანესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომა: სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე.

კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასაბუთება ეწინააღმდეგება ამავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ხოლო გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან.

კასატორი – ნ. მ-ე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ არ არსებობდა ნ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტობრივი და იურიდიული საფუძველი, ხოლო დანარჩენ დასაბუთებას არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ სასამართლოს მსჯელობის საგანი უნდა ყოფილიყო სადავო ბრძანებით სწორად და კანონიერად გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ნ. მ-ე თუ არა. კასატორის მოსაზრებით, საქმის მასალების შესწავლის შედეგად სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში უნდა მიეღო დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება.

კასატორის მოსაზრებით სასამართლომ იცის, რომ ნ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების არანაირი საფუძველი არ არსებობს, თუმცა საკითხის გადაწყვეტას კვლავ ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს. ეს ეწინააღმდეგება უფლების სასამართლო წესით დაცვას. სასამართლოს მსჯელობიდან გამოდის, რომ განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის შეცდომის გამო, მასზედ, რომ ნ. მ-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა სწორად ვერ ან არ შეირჩა (რომელიც არანაირად არ უკავშირდება სამსახურიდან გათავისუფლებას), სამსახურში აღდგენაზე ეთქვა უარი.

კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლო გაცდა, როგორც მოსარჩელის ასევე აპელანტის მოთხოვნას, როდესაც მიუთითა, რომ ნ. მ-ის საქმიანობაში გამოვლენილი ზემოაღნიშნული გადაცდომები არ უნდა დარჩეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეაგირების გარეშე, კერძოდ, მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სამსახურიდან განთავისუფლების ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიება. მოსარჩელის ინტერესი არ ყოფილა სასამართლოს მიერ მსგავსი გადაწყვეტილება და არც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჰქონდა გადაუდებელი კანონიერი ინტერესი სადავო საკითხი კიდევ ერთხელ განიხილოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო, ერთი მხრივ, ეთანხმება საქალაქო სასამართლოს მსჯელობებს, ხოლო მეორე მხრივ, უსაფუძვლოდ არ იზიარებს გადაწყვეტილებას სადავო აქტის ბათილად ცნობასთან, ნ. მ-ის სამსახურში აღდგენასა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რის გამოც კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლებრივად დაუსაბუთებელია და არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნ. მ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივების შემომნების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილე-

ბა, რომლითაც ნ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის – ნ. მ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის №1/კ-125 ბრძანების კანონიერების საკითხი. სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 99-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები და შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის – ა. ო-ის 2016 წლის 12 აპრილის №370196 მოხსენებითი ბარათი.

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 11 მარტის №224 ბრძანებით საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, ამავე დებულების 4¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის – ა. ო-ის 2016 წლის 11 მარტის №246470 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დაინიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს – ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინსპექტირება, 2016 წლის 14 მარტიდან 2016 წლის 18 მარტის ჩათვლით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის №1204161730 დასკვნით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინსპექტირების შედეგად გამოირკვა შემდეგი სახის დარღვევები: რესურსცენტრს არა აქვს შემუშავებული/დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების წესი და ფორმა, ხოლო 2015 წლის 8 აპრილამდე არ ჰყავდა განსაზღვრული შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის EPLAN მოდულში აღიშნული გეგმის რეგისტრირებაზე უფლებამოსილი პირი. ასევე დადგინდა, რომ 2014 და 2015 წლებში სხვადასხვა საქონლისა და

მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული 7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა კანონმდებლობით დადგენილი დღეების მინიმალური ოდენობით (სულ მცირე 30 დღე) არ აღემატებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების/მომსახურების განევის ვადას. ინსპექტირების დროს გამოვლინდა ინვენტარიზაციისა და სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის წესების დარღვევის ფაქტები; შემონმების შედეგების თანახმად, 2014 და 2015 წლებში სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო ხელშეკრულებების უმეტეს ნაწილში ხელშეკრულების ღირებულება აჭარბებდა ხელშეკრულების გაფორმების მომენტში შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებულ თანხას და შესაბამისი ცვლილება გეგმაში შეტანილია დაგვიანებით, ხოლო რიგ შემთხვევებში, ხელშეკრულების ობიექტის შესყიდვა შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებული საერთოდ არ იყო. გარდა ამისა, 2014, 2015 და 2016 წლებში (2016 წლის 18 მარტის მდგომარეობით) სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების ძირითად ნაწილში, მიმწოდებელთან ანგარიშსწორების საფუძველად ან საქონლის მიღების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტი ან/და ანგარიშფაქტურა, თუმცა კონკრეტულ მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელებულია მხოლოდ ზედნადების საფუძველზე.

ასევე დადგინდა, რომ რესურსცენტრის უფროსი ნ. მ-ე 2015 წლის 21 აპრილიდან 2015 წლის 6 მაისის ჩათვლით იმყოფებოდა ანაზღაურებად შვებულებაში. ამ პერიოდში მის მოვალეობას ასრულებდა რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი ვ. ჟ-ი, თუმცა ამ პირისათვის რესურსცენტრის მიერ არ მომხდარა მისთვის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგოს გარდა, რესურსცენტრის უფროსის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დანამატის ან არმყოფი მოხელის თანამდებობრივი სარგოს მიცემა. ამასთან, აღნიშნულთან დაკავშირებით თავად ვ. ჟ-ს არ გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია. შემონმების შედეგად ასევე დადგინდა, რომ 2014 წლის 2 დეკემბრის აქტის თანახმად, ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბალანსიდან მოიხსნა 6156 (ექვსიათას ას ორმოცდათექვსმეტი) ლარის ღირებულების ძირითადი საშუალება – სასკოლო სახელმძღვანელოები, ვინაიდან ისინი 2010 წლის 22 ნოემბრისა და 2010 წლის 9 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტებით გადაეცათ საჯარო სკოლებს (საჭიროებების მიხედვით), მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მათი ბალანსიდან მოხსნა აღარ განხორციელებულა. ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებზე ექსტერნთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით, 2014 და 2015 წლებში, წარდგენილი

რიგი განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის, მათ შორის, შესაბამისი სკოლის მიერ გაცემული ცნობების, ასევე, ქალაქ ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებების ურთიერთშედარების შედეგად დადგენილია, რომ უფლებამოსილი პირების მიერ ექსტერნატის ფორმით ჩასაბარებელი საგნების ჩამონათვალი ამ პირთა ან მათი წარმომადგენლების განცხადებებში, სკოლის მიერ გაცემულ ცნობებსა თუ ბრძანებებში და ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებების დანართებში არაიდენტურია. ამავე მიზნით, ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრში, 2014 და 2015 წლებში წარდგენილ განცხადებების ნაწილზე თანდართულია განმცხადებლისა და ექსტერნის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ნაწილი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე. საქმის მასალების თანახმად, ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრს 2015 წლის 16 თებერვალს განცხადებით მიმართა ე. ჩ-ემ მასთან არანათესაური მინდობით აღზრდის მომსახურებაში მყოფი პირის, ს. ფ-ის, ექსტერნატის გამოცდაზე რეგისტრაციის მოთხოვნით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ პირი სწავლობდა სსიპ – გ. გენაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მე-7 კლასში და სურვილი ჰქონდა ექსტერნად ჩაებარებინა მე-8 და მე-9 კლასის პროგრამა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში. განცხადებას თან ერთოდა განმცხადებლისა და ექსტერნის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები, წარმომადგენლობის დამადასტურებელი ცნობა, ასევე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის – გ. ა-ას 2015 წლის 16 თებერვლის №114981 ცნობა, რომლითაც დადასტურებულია, რომ მოცემულ მომენტში მოსწავლე ირიცხებოდა მე-7 კლასში. სსიპ გ. გენაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ 2014 წლის 13 ოქტომბრის №2 სხდომაზე დამტკიცებული სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დგინდება, რომ ს. ფ-ის, რომელიც 2014-2015 სასწავლო წლისათვის ირიცხებოდა მე-7 კლასში, სწავლება ხორციელდებოდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, ხოლო გეგმაში სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქტივობების ბოლო თარიღად მითითებულია 2015 წლის 18 თებერვალი. ამასთან, სსიპ გ. გენაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის მოსწავლის ს. ფ-ის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის განხორციელების თაობაზე პასუხისმგებელი სკოლის გუნდის საჭიროების განსაზღვრულ 2015 წლის 18 თებერვლის შეხვედრაზე (ოქმი №2) დადგინდა, რომ მოსწავლემ დაძლია მე-7 კლასის ეროვნული სასწავლო

გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და მას შეუძლია გადავიდეს მე-8 კლასის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარდგენის ფაქტი არ დგინდება, ამ უკანასკნელის უფროსის – ნ. მ-ის 2015 წლის 19 თებერვლის №2-08 ბრძანებით დამტკიცებული დანართის თანახმად, ს. ფ-ი რეგისტრირებულ იქნა 2014-2015 სასწავლო წლის ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრების, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებზე ექსტერნად.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. ასევე მიიჩნევს, რომ არ არსებობს ნ. მ-ის მიერ მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მრავლობითი დარღვევების არსებობის შესახებ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების გაზიარების კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა. სააპელაციო პალატამ შესაძლებლად მიიჩნია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება, თუმცა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების დასაბუთებას და ემყარება მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სადავო აქტის გამოცემისას სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში უნდა შეეფასებინა ნ. მ-ის მოქმედება, უნდა დადგენილიყო ის ზიანი, რაც მისი მოქმედებით მიადგა ან შესაძლოა მისდგომოდა ადმინისტრაციულ ორგანოს ან/და მესამე პირს, მისი სუბიექტური დამოკიდებულება ზიანისადმი და ბრალეულობის ხარისხი, მიზეზშედეგობრივი კავშირი მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და სხვა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი ზემოაღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე კანონით გათვალისწინებული ობიექტური შეფასებიდან და დასაშვებად მიიჩნევს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ნ. მ-ე მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე. საგანმანათლებლო რესურსცენტრი „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არის სამინისტროს სისტემაში შემავალი ტერიტორიული ორგანო. დებულების მე-5 მუხლით საგანმანათლებლო რესურსცენტრები იქმნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; საგანმანათლებლო რესურსცენტრების მმართველობის სფერო, უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვარი №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების“ პირველი მუხლით საგანმანათლებლო რესურსცენტრი (შემდგომში – რესურსცენტრი) წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ტერიტორიულ ორგანოს. რესურსცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულებისა და ამ დებულების საფუძველზე. რესურსცენტრი მის კომპეტენციას მიკუთვნებული ამოცანების გადაწყვეტისა და განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს. საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიზნები, ფუნქციები და ამოცანები გათვალისწინებულია მე-2 მუხლით, რომლის პირველი პუნქტით რესურსცენტრის მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რესურსცენტრის საქმიანობას წარმართავს რესურსცენტრის უფროსი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. იმავე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს რესურსცენტრის უფროსის უფლებამოსილებას, მათ შორის: ხელმძღვანელობს რესურსცენტრს, წარმოადგენს რესურსცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს რესურსცენტრის გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს; პასუ-

ხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, კანონ-
ქვემდებარე ნორმატიული აქტების, მინისტრის ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შეს-
რულებაზე; კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამსახურებ-
რივ ზედამხედველობას რესურსცენტრის თანამშრომელთა საქმიან-
ობაზე; ყოველწლიურად, აგრეთვე მოთხოვნის შესაბამისად, მი-
ნისტრს წარუდგენს ანგარიშს რესურსცენტრის საქმიანობის შესა-
ხებ; იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრი-
ვად გამოყენების შესახებ; პასუხისმგებელია რესურსცენტრის სარ-
გებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების დაცვასა და მიზნობ-
რივად გამოყენებაზე; ამტკიცებს რესურსცენტრის შინაგანაწესს;
თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს; ახორციელებს კანონმდებ-
ლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს. იმავე დებუ-
ლების მე-4 მუხლით რესურსცენტრის დაფინანსების წყაროა სახელ-
მწიფო ბიუჯეტი. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წე-
სით ცენტრი ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე გამოყოფი-
ლი სახსრების მიზნობრივად გამოყენებაზე. მე-5 მუხლით რესურ-
სცენტრი თავისი უფლებამოსილების და სამინისტროს მიერ დასმუ-
ლი ამოცანების გადანყვეტისა და განხორციელებისას ანგარიშვალ-
დებულია სამინისტროს წინაშე; რესურსცენტრის საქმიანობაზე
მუდმივ კონტროლს ახორციელებს სამინისტრო; რესურსცენტრი სა-
ბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებას ახორციელებს საქართვე-
ლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოე-
ულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი
ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა
დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-გან-
მარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალე-
ბით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერ-
ტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თა-
ნახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებე-
ბით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.
საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს მხარეთა შორის მტკიცების
ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო
საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებ-
რივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმ-
ტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხა-
რეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო
საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც

ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (სასკ. მუხლი 17.1). მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები). ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე. ფაქტის დადასტურებას აქვს არა მარტო საპროცესო, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. მოსარჩელე სადავოდ არ ხდის, რომ ადგილი ჰქონდა აუდიტის დასკვნასა და ა. ო-ის მოხსენებით ბარათში მითითებულ მთელ რიგ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევებს, რომლებიც ატარებდა არაერთჯერად ხასიათს და საქმიანობის შესრულების დროს ქმნიდა მნიშვნელოვან რისკებს. მოსარჩელე სადავოდ ხდის მისი გათავისუფლების ბრძანების ფორმალურ კანონიერებას და მიუთითებს სადავო აქტის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესის დარღვევით დასაბუთებაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მისთვის სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ 4¹ მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპეტენციის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 3 მაისის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული დეპარტამენტის ძირითადი ამოცანების შესასრულებლად, მე-3 მუხლით დეპარტამენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილებისა და მე-4 მუხლით დადგენილი დეპარტამენტის მოვალეობის შესრულების მიზნით, იმავე დებულების მე-3 თავით დადგენილი ინსპექტირების ჩატარების წესის დაცვით შედგენილი №1204161730 დასკვნით დადასტურებულია, რომ ნ. მ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაცდომას, რაც გამოიხატა მის სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეულ შეუსრულებლობასა და არაჯეროვან შესრულებაში. ამდენად, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის – ნ. მ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. ასევე, მიეცა მითითება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრს დასკვნაში დაფიქსირებულ დარღვევებზე რეაგირებისა და გატარებულ ღონისძიებების შესახებ ანგარიშის წარდგენის (თანდართული დოკუმენტაციით) შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

შესაბამისად, გამოვლენილ მრავლობით დარღვევებზე პასუხისმგებელ პირს, მასზე დაკისრებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, წარმოადგენდა რესურსცენტრის ხელმძღვანელი ნ. მ-ე და მის მიერ მასზე ნორმატიული აქტით დაკისრებული უფლებამოსილების შეუსრულებლობითა და არაჯეროვანი შესრულებით დაირღვა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპი. შესაბამისად, ნ. მ-ის მიერ მისი უფლებამოსილების შეუსრულებლობამ და არაჯეროვანმა შესრულებამ გამოიწვია რესურს-ცენტრის ძირითადი მიზნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის შეფერხება, რაც წარმოადგენს სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედებას.

საკაცაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის განპირობებული სასამართლო ხელისუფლების როლით, სასამართლოს მიერ ობიექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების განხორციელებით, ვინაიდან სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ეს მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული კონფლიქტების (დავები) გადაწყვეტას, არამედ – სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას. მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებების, ხელშეკრულებების, ქმედებების /მოქმედება, უმოქმედობა/ გასაჩივრება საერთო სასამართლოში, რა დროსაც სასამართლოს ობიექტურობას, მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას განუზომელი მნიშვნელობა აქვს, რათა აღადგინოს დარღვეული წონასწორობა პირსა და ოფიციალურ სტრუქტურას შორის. სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე უზრუნველყოფს დარ-

ღვეული უფლების აღდგენას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ნორმებით მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოში მოქცევას, ეფექტური დაცვის რეალიზაციას და ა.შ. სახელმწიფო გარანტირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული აქტების კონტროლით, სრულად ემორჩილებოდეს კანონს და იმავდროულად, უზრუნველყოფდეს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების ეფექტურ მუშაობას. თუმცა მმართველობის არსი არასწორად არ უნდა იქნეს გაგებული, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე სასამართლო კონტროლი არ უნდა ლახავდეს ადმინისტრაციული ორგანოს დამოუკიდებლობის ხარისხს, უნდა ჯდებოდეს მათი უფლებამოსილების ფარგლებში და შეესაბამებოდეს ხელისუფლების დანაწილებისა და ურთიერთგანონასწორების კონსტიტუციურ პრინციპს. ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს საშუალო ერთეულის ოპტიმიზაციის შესაძლებლობა. ხელი არ უნდა შეეშალოს ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონირებას (იხ. სუსგ. საქმე №ბს-166-165(კ-16); 14.07.2016წ.).

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მოსაზრებით საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ შეაფასა საქმის გარემოებები და ისე მიიღო გადაწყვეტილება ნ. მ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩარევის აუცილებლობა არსებობს, როდესაც აშკარაა პირის კონსტიტუციით დაცული უფლებების დარღვევა ან არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებული ვარაუდი. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით აშკარაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის – ნ. მ-ის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვარი №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მთელი რიგი უფლებამოსილებების შეუსრულებლობისა და/ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტი, რაც გამოიხატა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიე-

რების სამინისტროს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მთელი რიგი ვალდებულებების დარღვევაში და ქმნიდა სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს სადავო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 20 აპრილის №1/კ-125 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისად, არ არსებობს სადავო საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი. საქმეზე დადგენილი გარემოებები იძლევა დავის არსებითი გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. მ-ის სარჩელი არის უსაფუძველო და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ამდენად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ნ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.